


108

1901

XI


თვიური ჟურნალი

ქ. ქ.



„დიდება შენის ქვეყნისა  
იგივე შენი დიდებაა“...

წელიწადი პირველი.



№ XI

ნოემბერი



თბილისი

სტამბა იქ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.

1901

შინაარსი № 11:

	გვ.რ.
1. კოჭრის ციხე, სურათით . . . . .	1015.
2. ვერანას-ციხე, სურათით . . . . .	1016.
3. ახტალა, სურათით . . . . .	1018.
4. ას-წლოვანი ნაკერჩხლის ქვეშ, სურათით . . . . .	1019.
5. ჯვარცმა, აფრ. მერკვილაძისა. . . . .	1022.
6. მცირე რამ ქართველთ პირველ დროის ისტორიიდან . . . . .	1029.
7. ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა ჰერეთისა, ინგილო ჯანაშვილისა. . . . .	1037.
8. ბორჩალოს მაზრა და მასში მცხოვრები ქართველები, ბ.—სა . . . . .	1045.
9. რუსუდან, ისტორიული დრამა, მოქმედება მეოთხე. . . . .	1052.
10. ანტონ I, კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი, თ. ჟორდანიასი, თარგმანი კ. ანთაძისა . . . . .	1064.
11. სოლომონ ლეონიძე, კანცლერი მეფე ირაკლი II და სოლომონ II-ისა, ი. მარუშიძისა . . . . .	1077.
12. <b>ბიბლიოგრაფია:</b> „საგულიხმეერო ყრმათა“ . . . . .	1084.
13. მცირე შენიშვნა, კ. გვარამაძის „გურიანზედ“, ტ. ართმელაძისა. . . . .	1089.
14. ნაქერალას მთაზედ, ლექსი, მელიტონ გობეჩიასი . . . . .	1097.
15. სახალხო ლექსები. . . . .	1099.
16. განცხადებანი ხელის-მოწერაზე 1902 წლისათვის ჟურნალ-გაზეთებზე: „მოამბე“-„ცნობის-ფურცელზედ“, „ახალ-მიმოხილვაზედ“ („Новое Обозрение“) და ჟურნალ „მოგზაურზედ“. . . . .	1107.

გორგობისთვე № 11 1901 წელი



# მ ო გ ზ ა უ რ ი

77

— მიიღება სელის-მოწერა 1902 წლისთვის

## ჟურნალ „მოგზაურზედ“

გამოვა იმავე პროგრამით, ზედ-დამატებით წერილებისა: პე-  
დაგოგიილამ, მეურნეობა-მრეწველობილამ, ჰიგიენა-მკურნა-  
ლობილამ და სამეცნიერო კითხვებილამ.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით: წლით—ხუთი მანეთი, ნახევარ  
წლით—სამი მანეთი. ფული და წერილები უნდა გამოგზავნოს:  
Въ Тифлисъ, Редакціи „Могзаური“.

თ ბ ი ლ ი ს ი

სტამბა ეკ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.


1901



*Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го Ноября, 1901 года.*

## კოჭრის-ციხე

აშენებულია ერთს ვერსზე დაბა კოჭრიდამ (ანუ როგორც ეხლა ეძახიან, კოჯრიდამ), ფრიალო კლდის პირზე, საიდანაც მნახველის თვალის წინ გადაიშლება დიდებული სანახაობა მდინარე ალგეთის ვრცელს ველზედ. „ქართ. ცხოვრებაში“ კოჭრის-ციხე მახსენებელია მეფე კონსტანტინე III-ის დროს, 1490 წელს, როდესაც მასში მდგომ ქართველ ჯარს მოსდგომია სპარსეთის ჯარი და თოფების სროლა დაუწყევიათ.



კოჭრის-ციხე.

პირველად ამ დროს არის „ქ. ცხოვრებაში“ მოხსენებული-  
 თოფის ხმარება. იმ ღამეს თოვლი მოსულა და შეცივებული  
 სპარსეთის ჯარი მოსცილებია ციხეს. ქართველებს, როგორც  
 სჩანს, ისე შეჰშინებიათ თოფებისა, რომ უსარგებლიათ სპარ-  
 სელების წასვლით, და თითონაც გასულან ციხიდან. 1688  
 წელს მეფე გიორგი XI-ემ ჯვარი დაიწერა თ. გიორგი მიქე-  
 ლაძის ასულზე ხორეშანზე და აქ დიდი ქორწილი გადაიხადა.  
 ციხე დღესაც კარგად არის შენახული, ხოლო დღევანდელ  
 კოყრის მმართველთ იმდენი ვერ უთავიათ, რომ ცხეზე ძნე-  
 ლად ასასვლელი გზა მცირეოდნადაც არის შეაკეთონ, რომ  
 მით გაუადვილდეს მოგზაურთ მისი დათვალიერება. სომხები  
 და თათრები ამ ციხეს „ქოროლლის ციხეს“ ეძახიან, მაგრამ  
 ქოროლლი მეთვრამეტე საუკუნეში ცხოვრებდა, ეს ციხე კი  
 უხსოვარ დროიდან არის აქ აშენებული! ასე იცის სამშო-  
 ბლოს წარსულის უცოდინარობამ...

### ვერანასციხე

აშენებულია მაღალს განკერძოებულს კლდეზედ, დაბა  
 გომბორის ახლოს, თბილისიდან თელავს მიმავალის გზის პი-  
 რად. სამხრეთ და დასავლეთიდან ციხე სრულიად მიუდგომე-  
 ლია, რადგანაც ფრიალო კლდეა, ხოლო აღმოსავლეთიდან  
 და ჩრდილოეთიდან, საიდანაც შეიძლებოდა მტერი შესული-  
 ყო ციხეში, აგებულია დიდი, გოდლებიანი გალავანი. ციხე  
 ფრიად ვრცელი ყოფილა, დაახლოვებით 7—8 დღიური ად-  
 გილი იქნება მასში მოთავსებული. აშენებელი და ხალხი,  
 ეტყობა, ამ სიერციტაც არ დაკმაყოფილებულა და შიგ მი-  
 წაშიაც მთელი სოფელი თუ ქალაქი გაუთხრიათ. ამისი ნი-  
 შანი, გამოქვაბულები, დღესაც მოჩანან კლდის ნაპრალებიდან.  
 წყლის ამოსატანად ციხეს გვირაბი ჰქონია შიგ მიწაში გა-  
 თხრილი; მისი ნახევარი დღესაც კარგად სჩანს ჩრდილო-და-


საფლავის მხრიდან. ციხეში, ზედ კლდის ნაპირზე, დღევანდ-  
ლამდის დაცულია პატარა, თლიანი ეკლესია, რომელიც  
ჩვენს სურათზედაც მოჩანს. ხალხის გადმოცემით და ბატონი-  
შვილის ვახუშტის სიტყვით ვერანას-ციხე აშენებულია ვახ-  
ტანგ გორასლანისაგან (456—499 წწ.).



ვერანას-ციხე.

## ლაფის ვულკანები ანუ ახტალა სოფელ გურჯანში (კახეთში).

წარმოიდგინე მკითხველო ერთი ასი კალონ ოდენა ადგილი, ღრმად მიწაში ჩაწოლილი. ჩაეარდნილი, რომლის ძირზე აქა იქ, 13—14 ადგილას, ამოჩუხჩუხებს ნავთ და წყალ შერეული ტლაპო, და თქვენ წინ დაგეხატებათ ახტალა. ხალხის გადმოცემით, აქ ოდესმე სოფელი ყოფილა გაშენებული, მაგრამ ფერის-ცვალების დღეს, რომ კალო უღეწიათ. ღმერთი გააწყრომიათ და მთელი სოფელი უფსკრულისთვის მიუცია. . ნამდვილად კი „ახტალა“ სრული ნაყოფია ბუნების



ლაფის ვულკანები ანუ ახტალა სოფელ გურჯანში (კახეთში).



მოვლენისა და ადგილ-მდებარეობისა (მთის გვერდობზეა); იგი წარმოადგენს ვერედ წოდებულს ტლაპოს ანუ ლაფის ვულკანს, რომლის მცირედ ამალღებული ძაგებიდამ ამომდინარებს სამკურნალო მოლურჯო ტლაპო ანუ ლაფი. ახტალა საზოგადოთ ორ-გვარია: ერთია ვულკანური და ჩნდება ვულკანებს ახლო, ხოლო არის იმ გვარი ახტალაც, რომელიც სრულიად დაშორებულია ვულკანებს და ჩვეულებრივ ჩნდება იმ ადგილას, სადაც ახლო ძახლო ნაფთი და სხვა-და-სხვა გაზებია დედამიწის გულში. მიწის გულში მყოფი ნაფთი, წყალი და გაზები ალხობენ მათს ახლო მყოფ თიხა-მიწას და ამ გვარად ლაფის სახით გამომდინარეობენ დედა-მიწის გულიდამ, როგორც წყაროები. აი ამ მეორე სახის ტლაპოს ვულკანებს წარმოადგენს კახეთის ახტალაც.

### ას-წლოვანი ნაკერჩხლის ქვეშ სოფელ ბაკურცინქში (კახეთში).

ზაფხულია. ცხელია. პაპანაქებაა. მზე სწვამს დედამიწას, აშრობს, ახმობს, ხრუკავს მის ზედაპირსა. ბალახს ძირი გაუხმია, ხეებს ფოთლები შეუქნია. ვერას აკლებს მხოლოდ ას-წლოვან ნაკერჩხალსა. იგი ამაყად სდგას კენიან ნინო სოლომონის ასულის ანდრონიკაშვილის წალკატში. კენიან ჩვენს სურათზედ სკამზედ ზის). დიდს მზრუნველს პატრონს ზედ მის ძირში ყოვლის მაცოცხლებელი მთის ცივი ნაკადული გამოუყვანია და ასეთს პირობებში მყოფს ჩვენს ნაკერჩხალს აბარას დააკლებს თუნდა კახეთის შუა-ზაფხულის ცხარე მზე!.. პირიქით მზის ასეთი სიცხოვლე ჩვენს ნაკერჩხალს თითქოს უფრო უხდებოდ, პრეგებსო: დღეს იგი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო ხასხასი და ხშირის მწვანით არის შეფოთილი, ვიდრე სხვა დროს! ასეთია ბუნების წესი: სადაც თანხმობა და კავშირია, წარმატებაც იქ არის. დააშორეთ ერთმანეთს წყა-


ლი და ნაკერხალი, სითბო და სინოტიე, და თქვენს წინ  
 დღევანდელის ალაღებულის ნაკერხალის ალაგას მისი აჩრ-  
 დილიც აღარ დარჩება!

სოფელი ბაკურ-ციხე ძვეს კახეთში, თელავსა და სიღნაღს  
 შუა გაყვანილ გზა-ტყევილზე, 15 ვერსზე უკანასკნელიდამ.  
 როგორც ისტორია და გარდმოცემა მოგვითხრობს, ეს სოფელი



ას-წლფანი ნაკერხლის ქვეშ სოფელ ბაკურციხეში (კახეთში).

პირველათ დაუარსებია მეფე ბაკურსა (231—246 წწ.), ჩვენში ფილოსოფოსად ცნობილსა. იქ, სადაც ბაკურციხის ხევი თავისუფლდება ყოვლის-მხრით შემზღუდავ მთებისგან და გამოდის კახეთის დიდ მშვენიერს ველზედ, ხევის მარჯვენა კუთხით, თიხოვან კლდიდამ გამოსჩქეფს მშვენიერი კამკამი წყარო. რადგანაც წყალი უპირველესი საჭირო საგანია ადამიანის ცხოვრებაში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მეფე ბაკურსაც, რომელსაც ფრიად უყვარდა თვისი ქვეყნის მიმოვლა და მისი ადგილობრივ მართვა-გამგეობა, დიდად მოეწონა ეს ადგილი და ზედ ამ წყლის თავზე ააგო საკმაოდ ვრცელი ციხე, წოდებული ბაკურისად. დღეს მის ნასახიდამ, მართალია, მხოლოდ დანგრეული კედლები-ღა მოჩანან, მაგრამ ბაკურციხელებმა მაინც კარგად იციან, რომ იგია მათი აკვანი. ან როგორ არ უნდა იცოდნენ, როცა დღე ათასია და ესენი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ბაკურის ციხის ძირიდან გამოტეხილს კამკამი წყაროს წყალს ეზიდებიან სახლებში...



## ჯ ვ ა რ ც მ ა .

ჯვარცმის ეკლესია სოფელ ქალატყეში \*) იმყოფება და შესანიშნავია ორიოდ არხეოლოგიურ ნაშთითა, „დიდებული“ თუ „ცხოველი სასწაულის“ სახელით და კოხტა, ლამაზი შეხედულობით.

სხვაგან არ დავიჩემებ და ამ ახლო-მახლო სოფლებში კი აღარ მეგულება მეორე კიდევ ასეთი შემკული გალავნით ეკლესია. ფართო, ასე სამიოდ-ქცევა ზომით, ლეჩაქის ყურივით მოყვანილი, ხელის გულივით გაშლილი ვაკე ადგილი, იქით მჩქეფარე „ჩოლაბური“, აქეთ ჩხრიალა „ურიების ლელე“, — აი მისი გალავანი და ეზო, კოხტა, მოხდენილი მდებარეობით თვალის წარმტაცი და ლამაზი შესახედავად!

საყდარი მდ. ჩოლაბურის მარცხენა ნაპირზე დგას „ურიების ლელის“ შესართავთან. თლილი ქვით არის ოთხ-კუთხად ნაშენები. სოლომონ პირველს ანუ, როგორც აქ ეძახიან, დიდ ნეფე სოლომონს აუგია იგი 1762 წელს. „უწინ დროებაში“ მონასტრად ყოფილა, თუმცა დღეს სამისო აღარაფერი აცხია. ყმა და მამულიც ჰქონია; ზედ-შეწირული ყოფილან: ქაცარიძე, რცხელიშვილი, გურეშიძე და სხვანი და მისი ბეგარა ჰმართებიათ. აქვე უცხოვრიათ ურიებს (მებეგრედ), ლელის პირად, რომლის სახელწოდებაც „ურიების ლელე“ აქედამ წარმომდგარა.

„ზედამდეგი დეკანოზობა“ მერკვილაძეს ჰსჭერია, მაგრამ 1824 წელს დროებით სამმართველოს აქ დეკანოზობა მოუ-

\*) ქალატყე არგვეთის პატარა სოფელთაგანია, ოთხ ვერსზედ მდებარე ჩრდილო-აღმოსავლეთით დ. ყვირილიდამ.

სპია, მონასტერი გაუქმებულია 1838 წელს არხი-ეპისკოპოსის სოფრონის ხელში და ყმა და მამულიც ჩამოურთმევიათ, ურიები დავით მიტროპოლიტის (წერეთლის) მეოხებით გელათზე შეუწერიათ, რის გამოც აყრილან და ქუთაისს გადასახლებულან, გლეხებიც სახაზინოდ ხარიცხულან და ძველი ქონებიდამ მხოლოდ გალავანი-ლა (ერთი სამიოდ-ქცევა ეზოთი) შერჩენია, ამდენიც სახნავი მიწა, რომელიც საღალოდ იცემა და სახელი, სახრავი კი აღარაფერი.

ეკლესია შიგნით ძალიან ღარიბულად არის მორთული, საღაა მისი სამკაული. ერთი ორიოდვე ხატი ასვენია კანკელზე ამ დროის ნახელავი და ორიც ძველი: ჯვარცმა (კარგა მოზრდილი ხატია), ხის ჩარჩოებში ჩასვენებული, ჩრდილოეთის კართან; იქვე, მის გვერდით, ხავერდის ბოღჩაში ჩასვენებული თამა მოციქულის თაჯი; იქვეა ჩამოკიდული ხავერდის ბოღჩითვე პატარა, ვერცხლის კოლოფში თუ ყდაში ჩასმული, სახარება; ერთი ძველი, ფიცარზე დახატული (გამოსახული) ჯვარცმა, სწორედ ისეთივე, როგორიც ჯვარცმის თავსახურავია; და სხვა ძველი სურათები, ქაღალდსა და ტილოზედ გადაღებული გარდამოხსნა ქრისტესი და ზეთის ცხება იოსებ არიმათიელისგან; ახლად კუბოში ჩასვენებულს, გულ-ხელდაკრეფილს მაცხოვარს სხვა დედანიც და კაცებიც მიჩოქვილები თავს ასევიან. ეს ამბავი ირგვლივ სლავიანურად აწერია არშიას: „ჯვარცმა, მეცხრე ჟამი, როცა ბნელ იყო ყოველსა ქვეყანასა... დაბნელდა მზე (სახ. ლუკ. თ. 23, მთხ. 44, 45) და ვარსკვლავები გამოჩნდნენ, მკვდრები აღსდგნენ საფლავით.“ ერთი ძველი გარდამოხსნა, ერთიც ხელთ ნაწერი სახარება და სხვა განძეულობა ძველებური ვერცხლის არის ყველაფერი.—აი მისი შინაგანი მორთულობა, სამკაული, დღევანდელი მისი ავლა-დიდება!.. ამათ შორის შესანიშნავია: გარდამოხსნა, ჯვარცმა, თომას თავი და ხელთ-ნაწერი სახარება.

1. გარდამოხსნა შავ ხავერდზე თეთრ სახეებად ამოღებული, სხვა-და-სხვა ზედ გამოყვანილი სურათებია, აბრეშუ-



მის ძაფით არის ნაკერი და ოქრო-მკედით, სირმით, ხოლო თავის ჩასადები გვირგვინი ვერცხლის სირმით. სიგრძე შვიდი მტკაველი აქვს, ცოტა ნაკლები, განი ექვსი ციდა. ხელით ნაქარგია. როგორც ზედ-წარწერილამ სჩანს, გიორგი აბაშიძეს შეუყვარებია და ქორონიკონიც „ტუგ“ უზის. აი, ეს წარწერაც:

„შწინრმნ . ისაბ . ძელისაგნ . გრდამოხსნა . უხრ-  
წნელი . გუამი . შნი . ქე . და აჩმენაკათა . წითა .  
წრგრაგნა სწელებითა . შემურგადი . ახალსა სწფლასა .  
დაგდვა . ად . ს . ჰქთ . ადგვა . იუ . და შწინჭა ს-  
ფელსა . დიდი . წელაბა (აქ თავდება ზედა არშია)  
შეწეგნითა დვსათა . მე . უფლი წულ . ცისის თავ —  
გვარად . აბაშიძემან . პატონმან . გი . თა (გალატანილია  
ქვედა არშიაზე) მეცხედრემნ . ჩქან . ღორთქიფანის  
ასულმან .....\*) უქან შეაკურგინე . ესე გრდამოხსნა .  
ჩნის . ცოდვიფის . სულის . სასად . და ძისა ჩნისა  
ღვეანისა . და ბეჟანისა . აღსაზრდელად . გინცა (აწ იწ-  
ყება განის არშია) ჩნ . თს . შენდაბა ბრძანათ დნ .  
თქნცა . შეგნდს . რამნც . ძემნ . კწესმნ . ჩნს .  
შგლს — ანუ საფლავს . ეს გწმოუხნას . შგრედ . მასგ-  
ლას . ჩნი . ცდის . ზასუხის . მიმცემი . იყოს . დისა .  
შეიკერა . თა . ნნბრსა (RR-XXIX) ქკსა ტუგ“ .

„ძისა ჩვენისა ლევანისაო“ — იხსენიებს და აქ მოხსენე-  
ბული ლევანი თუ მეფე სოლომონ პირველის ბიძაა, ქორო-  
ნიკონი „ტუგ“ უნდა იყოს 1705 წელი. ზეპირგადმოცემით  
კი თვით „დიდ მეფე სოლომონის“ გადიას შეუყვარავს, რომ-  
ლის სახელი და გვარი არ იცის ხალხის მეხსიერებამ.

ნაწერი ხუცურია, ასო-მთავრულით, ასოებიც სირმით  
არი ნაკერი. თვით გარდამოხსნა ალაგ-ალაგ შებღალულია,  
ზოგან ნაკერიც ამოქმულია.

\*) აქ სამი ასო ვერ ამოვიკითხე.



2. ჯვარცმა. ეს უმთავრესი ხაჯია და სახელიც მისი ჰქვია ეკლესიას, მის სახელობაზეა აგებული. ხატი სიგრძით სამი ჩარეკი იქნება თითქმის და განითაც ამის ნახევარი. სხვა-და-სხვა წმიდანების ნაწილებია ზედ რამდენიმე რიგად, ოთხ-კუთხ უჯრედებში ჩასვენებული (რიცხვით თორმეტი და თორმეტს საუფლოს ეძახიან მიტომაც). თავ-სახურიც ხისაა და ჯვარცმაა ზედ დახატული: გოლგოთის მთა და ზედ ჯვარცმული ქრისტე, კისერ-მოკირწული, და მის გვერდით ჯვარცმული ავაზაკები და ხელში გრძელ-ტარიანი შუბით თუ ლახვრებით რომაელი ყარაულები.

ეს ხატი წინედ „სუროიან საყდარში“ სვენებულა, მარჯვენა ნაპირზე დგას იქვე. დაქცეული სუროებითლაა შებურვილი და სუროიანიც მიტომ ჰქვია. ეს ჯვარცმა ამ საყდარში ყოფილა. ეს რომ დანგრეულა, თუ მანამდისაც, მგონია, მერე ამ ეკლესიაში გადმოუსვენებიათ... მაგრამ აი, ამის ლეგენდალური ისტორია:

დიდ ნეფე სოლომონს დადიანი მოუკიდია სიძედ. დადიანს მიქელაძე ხლებია, თურმე, თან. ესენი ხშირად დადიოდნენ სასახლეში და ძალიან დაახლოებული კაცი შეიქნა ნეფესთან მიქელაძე. ნეფის ქალი ისეთი ღვთის-მოყვარე, მლოცველი იყო თურმე, რომ შუა-ღამეზე გააღვიძებდა მოძღვარს, გავიდოდა საყდარში და ლოცულობდა. დადიანს მოსწონებია ეს ხატი და მისი მოპარვა მოუნდომებია. გაუტყდა, თურმე, მიქელაძეს და ერთ ღამეს მოაპარვია და თავისს სასახლეში წაასვენა... ხატი გაპარული ეგონათ სადღაც, თავისს ადგილს რომ ვეღარ ნახეს მეორეს დღეს. ვეღარაფერი ვერ გაიგეს... რომ მოიყვანა დადიანმა ქალი, მეფის ასულს თავისი ხატი იქ დაუხვდა. იკითხა და ყველაფერი შეიტყო. თავი დაიკლა, ქმარს ერთი ყოფა დაუწია: „ეს როგორ გაბედე? რავე ქენი? ხომ გაგვწყვეტს ყველასო!..“

ერთ ღამესაც ნახა სიზმარი:

თუ ახლავე ჩემს ბინაზე არ წავისვენებიავარ, შენს ბა-

რობაზე არას გავუშვებო“. გათენდა თუ არა დილა, დაიბარეს მიქელაძე, დაასაჩუქრეს ხატი და გაისტუმრეს: „ჩუმიდ წაასვენე და სადაც იყო, იქვე დაასვენეო“. ამანაც წამოასვენა და პირვანდელ ბინაზე კი აღარ მიასვენა, — თავის კარის ეკლესიაში დაასვენა ს. კულაშს. ერთი შვილის მეტი არა გააჩნდა-რა მიქელაძეს, გაუხდა ავად და უკვდებოდა. აღდგომა დღეს ავადმყოფთან გადია დასტოვეს და თვითონ კი, ცოლ-ქმარი, წირვაზე წავიდნენ. რო დაბრუნდნენ წირვიდან, შვილი მკვდარი დახვდათ. შეწუხდნენ. — „არ იტიროვო, — უთხრა ცოლს მიქელაძემ: — ეგ ხატის ბრაღია, დეილოცა მისი ძრიელობა! კვერცხი მიუმკვლიოთ და ისვე აღგვიდგენს, დღეს ტირილს ღმერთი გვიწყენსო“. დაიხოქა და შესთხოვა: „ცხოველ-მყოფელო ჯვარცმა! თუ ე იმას გამიცოცხლებ, ექვს გვარს კაცს შემოგწირავ და მეც, რაი გამიცოცხლებ, შენი მწირველი და პატივის-მცემელი ვიქნებო“. და მართლაც სთქვეს „ქრისტე აღსდგა“ თუ არა და მიუმკვლიეს წითელი კვერცხი, ბავშვმაც „ქეშმარიტად!“ უთხრა და ნამძინარევით თვალები ამოიფშენიჭა მაშინვე...

ხალტი ტილოზე გადუღებინებია, თავისს ეკლესიაში მის ნაცვლად ტილოზე გადაღებული დაუტოვებია და თითონ ხატი კი დიდის ამბით და პატივით წინანდელს ადგილს წამოასვენეს... მეფესაც ძალიან იამა: იმას დაკარგული, გაბარული ეგონა. მაშინ ეს ეკლესია აუგია და ის ხატიც ახალ ეკლესიაში გადმოუსვენია.

დასწერა ღრამატა მიქელაძემ და ექვსი გვარის კაცი შესწირა: ახუბაძე, ნიკურაძე, ნინუა, სტურუა, შენგელია და . . . . სანამ ცოცხალი იყო, ისიც მიდიოდა თავისს ფეხით და სწირავდა, და მერე მისმა შთამოგებამ ხატის სამსახურზე ხელი აიღეს და, როცა ხაზინამ გაანთავისუფლა საეკლესიო ბეგრადამ საეკლესიო ყმები, ისევ თავისს ნაყმევები გამოუდღვნენ. ხოლო გლეხები დღევანდლამდი არ გადასდგომიან მამა-პაპის ჩვეულებას, „არ დაუგდიათ, არ დაუკარგავთ ძვე-



ლი გზა“, ხატის სამსახური არ დაუვიწყნიათ, არ გადუგდიათ, თუმცა ხაზინამ რომ გაანთავისუფლა საეკლესიო ბეგრიდან, ისევ ძველ ნაბატონრებს დარჩათ, თუმცა დღეს საყდრისაც აღარაფერი მართებთ, მაგრამ მისი პატივი, სამსახური მაინც არ დაუვიწყნიათ კიდევ, თავის ჩვეულებას წმინდათ ინახვენ. ქალი თუ კაცი და გათხოვილები ვინ იცის საიღამ არ მოდიან: აფხაზეთიღამ, ოდიშიღამ, ლეჩხუმიღამ, ვაკე-იმერეთიღამ და სხ. და სხ. ყოველ სამ წელიწადს მოვლენ თითო გვარის წარმომადგენლები და ვერცხლს, ცხვარს და მოზვერს თუ უშობელს სწირავენ.

ის ღრამატა ჯვარცმას დებია უბეში, მაგრამ ის ახლა გლეხებს წაუღიათ; ბატონებს რომ ედავებოდნენ, საბუთად დასჭირვებიათ.

3. თაქმას თავი. მარტო შუბლია თომა მოციქულისა გაყვითლებული, ხეში ჩადებული. ეს მერკვილაძეების საკუთრებას შეადგენდა და „საკვირაო“-ში ესვენა. კვირაში ერთხელ, კვირას ამოდიოდა ღვდელი ჯვარცმიღამ და სწირავდა, „საკვირაოც“ მიტომ რქმევია. საკვირაოს ნახევარი კედარობა, უკეთ, სამი კედელი, ორი მთელი და ერთიც გაბზნილი, ჯერ კიდევ დაუცილებელია; მხოლოდ წინა კედელია დარღვეული და ცა ჩამოქცეული. ეს გაუთლელი დიდრონი ქვებით (ზოგი ძირიღამ მალლა ცამდი უწევს) აშენებული ოთხ-კუთხი პატარა შენობაა, კედლებში უჯრების ნაცვლად თიხის ქოთნებდატანებული. კედლებზე მხატვრობა ყოფილა, წითლად დღესაც ემჩნევა (დიდრონი ნახატებიც ყოფილა), მაგრამ რა ყოფილა დახატული, ამის გამოცნობა აღარ შეიძლება, რადგანაც კირი ჩამოფხეკილია კედლებზე (კედლები ჩამორეცხილია და კირიც ჩამოცვიფნილა). ბოლოს აღარ უძებნიათ ამ „საკვირაოს“ შეკეთება და ხატიც ისევ ჯვარცმაზე გადუსვენებიათ. ამ ორს ხატს დღესაც მერკვილაძეებისას ეძახის ხალხი. „მერკვილაძეების ჯვარცმაო“, — ასე ახსენებენ. „შენი ჯვარცმა არ გამიწყრეს!“ „შენი ჯვარცმის მადლმა!“ „მტყუანს მერ-

კვილაძეების ჯვარცმამ რისხოს!“ ასე ფიცულობენ მას. დღესაც ამ ხატის, თომა მოციქულის სახელობაზე აქვს დადებული დღეობა, მთელმა სოფელმაც „ახალ-კვირე“ (კვირაცხოველობა) იცის და „ძრიელ სასწაულად“, „ცხოველ ხატადაც“ მიიჩნიათ, საფიცრად ყველა აქ მორბის და სამართალსაც იმას აჭრევენებენ. „ჯვარცმის მაღლი არ გამიწყრეს!“ „მტყუანს რისხოს მისმა მაღლმა!“ ასე ფიცულობენ მას... მაზე ცემენ და აფიცებენ ერთი-მეორეს. „ცხოველ-მყოფელი ჯვარცმაო“, — მოწიწებით იხსენიებენ ყველა და ერთად-ერთი ეს დიდი სასწაულის, ცხოველ-მყოფელი ხატის სახელი-დაშერჩენია ძველის დიდებიდამ. აღარც ყმა და მამული, აღარც სხვა რამე სიმდიდრე, თითო-ორილა შემწირველი და მოფიცარი თუ მოიგონებს და რქა-მოჭედილ მოზვერს, ან ვერძს მოართმევს, ან და ღამის მათეგარი ვინმე შენაპირებს აუსრულებს.

აფრ. მერკვილაძე.



# მ წ ი რ ე რ ა მ

ქართულთ პირველ დროის ისტორიიდან.

მეზობლობას ავ-კარგი. ქართველნი და ქალაქეველნი. სომხების  
შოკერებული ისტორია. სომხებისა და ქართველების ანბანები.  
მიხითარ ანელის და სომეხი სიფნელი სტეფანოს ენისკაზოზის  
არბუჯიანის მატურადა. ჯენარმანის შენიშვნა.

უთქვამთ: „მახლობელი კარგი მეზობელი სჯობია შო-  
რეულ ძმასაო!“ ამიტომ, რომ კაცი მუდამ ხელს გაიძარტამს  
რაც მსჭიროდეს საციქელის დროს სიადვილით კარგის მეზო-  
ბლისაგან; საქმე-ყოფაში მოიხმარს, გაჭირვებაში მოიშვე-  
ლიებს, ჭირსა და ლხინში დაისწრებს ხშირად, მის დროს  
მივა-მოვა მისას, გულს გაუშლის, გაუმხელს თავის დარდ-  
ნაღველს, დაიცლის თავის სულ-გულის მაჭირვებელს კაეშანს  
მასთან და ეგრეთ ნანუგეშებელ-მოსვენებული მობრუნდება  
თავის სახლში; ერთის სიტყვით, ყოველს დროს, ყოველს შე-  
მთხვევაში ერთი-მეორის შემწე-მომხმარო, მანუგეშებელნი და  
დიდად სასარგებლო-გამოსადეგნი იქმნებიან. უფრო მეტად  
მაშინ თუ ერთი-მეორის მსგავსი იყვნენ გულ-უხენი, გულ-  
კეთილნი, სწორე და მართალნი, ყოველ სიტყვასა, საქმესა  
და ყოფა-ქცევაში; თუ არა და უცხვირ-პირო, მეთავისე, მე-  
შურნე და გულ-ძვირი მეზობელი ღვთის რისხვაა და ძელი  
გასატანი. მე კაცთ-მოყვრობის რიგით, სხვის სიყვარულით  
ვერ ვძღვებოდე და სხვა კი ჩემის სისხლის სმით ვერ ძღვებო-  
დეს, რა გამოსადეგი იქმნება... მოხდება ზოგჯერ, რომ მტრის  
გარდაკიდული შიშიანობისაგან, მეზობელი თავის სახლ-კარს,

მიდამოს დასტოვებს და თავის მეზობლისას თავს შეიფარებს, მიეკედლება სტუმარსავით ერთხანს, ან ვთქვათ, დიდხანს შემთხვევისამებრ. რა სირცხვილია, „ჩიტი ეკალს შეეხიზნება და კაცი კაცს როგორ არა“, იქამდის, ვიდრე საქმე დაბრუნდებოდეს, მშვილობა ჩამოვარდებოდეს და ისევ ქვეყანა ქვეყნად იქცეოდეს, რომ სხვის კარს მიმდგარი მეზობელი ისევ თავის სახლ-კარს მიუბრუნდეს და თავისუფალი ცხოვრება დაიწყოს თავისთვის! მე მგონია, კაცი ვიდრე თავის მეზობლისას არის, როგორც გულ-კეთილი მასპინძელი პატოსანს სტუმარს მოეპყრობა კრძალვით და პატივისცემით მის გაჭირების გამო, ისე თავშეფარებული მეზობელი უნდა ეპყრობოდეს თავის სახლის პატრონს-მეზობელს ყოველთვის უნ თუ გარეთ, ადგომ-დაჯდომაში, წასვლა-მოსვლისას თუ საქმე-ყოფაში.

წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკეთის დანახვის მაგიერ მეზობელმან მეზობელს რომ უმადურობა დაუწყოს, აეშალოს, სახლ-კარი მიუნგრ-მოუნგრიოს, მეთავისობა დაიწყოს ყოველიფერში, აღარ შეეპოოს, თავს დააჯდეს, თვალი აღარ გაახელინოს, ცდილობდეს ყოველ გზა-კვალის შეკვრას და მის მორჩობა-მოსპობასა, რას ეტყვიტ ამისთანა უკუღმართ მეზობელსა? სწორეთ ასრე გახლავს სომხების მეზობლური მიმართულება ქართველებთან!

თავდაპირველად ჩვენი ტომობის ქართველი წოდება ქალღმერთს არის წარმომდგარი. საღმრთო წერილში და საქვეყნო ისტორიაში ხმარებული ქალდეველნი ქართველები არიან, როგორც ექადება ამბაკუმი ბაბილონენელთა: „აჰა ესე რა აღკადგენ მე ქალდეველთა ნათესავსა მწარესსა და კისკასსა მავასსა სიბრტყეთა ზუდა ქვეყანისათა დამკვიდრებად და საკანავებულთა არა მისთა, საშინელ და საჩინო არს, მისგან არს მსჯავფი მისი, და მისადებელი მისი მისგან მოვიდეს“ (ამბაკ. ა. 6, 7). თქმა არს ისინი მოვიდნენ იუფლონ შენზედა და სწორე სამართალი იმათ უნდა გასწავლონო.


აი რასა სწერს ამაზედ რენანი. მე-VIII საუკუნეს ქრისტეს წინათ ქალდიის მთებითგან გარდვიდნენ ქალდი და დაიჭირეს ეფრატის და ტიგ რის მდინარეთ მხარენიო. ეს შემთხვევა შეუნიშვნელად დარჩენილა ისტორიაში, ამათ გაემარჯვათ და დაიჭირეს ბაბილოანი. ებრაელნი ამათ იხსენიებენ, როგორც მეომარ ტომსა და ჰეროდოტოს მიხედვით ბერძნები სთვლიან ქურმულ-სასულიერო სწავლულ მეცნიერ ტომად. ამას ამტკიცებს დანიელის საწინასწარმეტყველოც. ამ ტომში სახელოვანი არიან ნაბადიანები, არაბების მოწმობისაებრ, მიწის შემუშავებაში, მკურნალობაში და მოგვობითს მეცნიერებაში... ამათმა გონებით შემუშავებულმა მეცნიერულმა სწავლამ მოაწია ქრისტიანობამდის, დასავლეთ აზიიდგან დიდი გავლენა იქონია საბერძნეთსა და რომაელების ტომზედა, ბევრი რამ ყოფილა მათ წერილებში, რომელიც დღეს დაკარგულია და აღარსად სჩანს (ძველი მწიგნობრობა, 158, 159 გვერდი, დაბეჭდილი ვენეტიკში 1898 წელს).

ჩვენს მოძმე ქაჯებს კლარჯს ვეტყვით და მოკლედ ქაჯსა. კლარჯეთი და ქაჯეთი ერთი და იგივეა. აი როგორ სწერს მათ ზნე-ხასიათსა ჩვენი შოთა რუსთაველი, თავისს „ვეფხისტყაოსან“-ში:

„ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი, კაცნი გრძნებისა მკოლნენი, ზედა გახელოვნებულნი, ყოველთა კაცთა მავნენი, იგნი ვერ ვისგან ვნებულნი, და მათნი შემბმელნი წამოვლენ დამბრალნი, დაწბილებულნი!

იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრძობენ, ქართა აღძვრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ, ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალსა წმიდათ დააშრობენ, და სწადდესთ დღესა ბნელად იქმენ, სწადდესთ ბნელსა ანა (ჩსპ, ჩსპა, „ვეფხისტყაოსნისა“).

როცა შეასრულეს ქალდეველებმან თავიანთ ხელმწიფების-მიერ ნაბუჰალასორისა და ნაბუქოდონოსორისა ღვთის ბრძანება ასრეთლებზედა ბაბილოვანში, ეზეკიელ წინასწარ





მეტყველი ამ წოდებით უკან აბრუნებს მათ თავიანთს ადგილას ასრე:

„ამთ იტყვის უფალი ღმერთი, ქო კაცისაო, განიმტკიცე ზირო შენი გოგსა ზედა და ქვეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარს როსს, მასოხს და თობელსა და წინასწარმეტყველებდი მას ზედა და არქუ მას: აჰა მე შენზედა გოგს მთავარსა, როსს, მასოხს და თობელსა, და გარე მოგაქციო შენ მრგვლივ და მივსცე ადვილი დაწვთა მიმართ შენთა, და შეგკრბო შენ და უფველი ძალი შენი და ცხენნი და ცხენოსანნი შემომსველნი სსჭურველთანი“ (ეზეკ. ლც. 2, 3, 4).

როგორც ისტორიული ნამდვილი წყაროებითგან სჩანს ჰაოსიანები მე-V საუკუნის წინ ქრისტეზედ გამოჩენილ არიან მეფე კივროს დროს, რომელნიც ჩვენ სომხის სახელით მოგვინათლია, ე. ი. სემუხი, სემის ტომების მოდგმისანი გვეგონებია, როგორც არიან პარსნი, ასორები, ებრაელები და არაბები.

ამათ მუდამ თავიანთ ქება-დიდებას და ჩვენს დამცირებას: ყოვლითფერში რომ თავი დავანებოთ, იკადრეს და დაყარეს ხმა, რომ ჩვენმა წმ. მესროპმან სომხურ ანბანთან ერთად ქართველებსაც ანბანი შეუდგინა ჯაყელის ხელმძღვანელობით. ეს ანბანი კორვინმან ყრუთ გადასცა სხვებს, ლაზარ ფარპელმან, მოსე ხორენელმან და სხვათაც ერთი-მეორეს უზიარეს. ჩვენ წინაპართ ამაზედ ხმა-კრინტი რომ არ დასძრეს არაფერი არ გასასანდა, საქმე იმაშია, რომ ამაზედ ექვი შეუვიდათ სომხის ისტორიკოსებსაცა. მე-XII საუკუნეში აი ვარდანმან რა სთქვა: „როგორც სჩანს სომხის მომთხრობნი ამბობენ, მესროფმა მოიპოვა ჯერ სომხური ანბანი და მერმე ქართული ანბანიო; დასაჯერია, რომ მას არც სომხური და არც ქართული ანბანი არ მოუპოვებია; არამედ იმ დროინდელ წარმართების გრძნეულებში, რაც გრძნეულებისათვის ძველათგანვე ხმარებული ასოები იყო მიწვენილი იქამდის, ისინი იხმარა მესროფმა ანბანის გასაწყობათ, ხოლო ქართ-

ველთაც მას მიჰბაძეს და გაიჩინეს თავიანთთვის ანბანით; აგერ ამითი აიხსნება სომხებისა და ქართველების სხვა-და-სხვა სახის ანბანთ შედგენაო“. (იქავ მწიგ. 56 გვერდი).

უფრო უკეთესად ჰსწერს მეცნიერი ფაულმანი: „სომხური ანბანი ქართული ანბანივით არის შედგენილი, ამითი წყარო სემიტური და საკუთრად არამიული ანბანიაო, რომელსაც აღრე პარსები ხმარობდნენო; მესროფის შრომა ის არის, რომ ბერძულის რიგად გაუწყვილაო“ (იქავ, 64 გვ.).

სომხებს რომ მეფობა მოესპოთ მე-X და XI საუკუნოებში, მაშინ მათ სიმრავლით იწყეს გადმოსახლება უფრო სამეხეთოსაკენ, აავსეს ქალაქ-დაბები, ხეობები ახალციხის, ასალქალაქის და არტან-კოლის მხარენი, მოიდგეს სული, მოიკრიბეს ძალ-ლონე ჩვენს ქვეყანაში და მერმე აღდგენ და გარდასახლდნენ 60,000 სულზედ მეტნი რუსეთისა და პოლონიისაკენ, სადაც ღღესაც გამრავლებულნი არიან.

ჩვენმა მეფე-მთავრებმან ჩვეულებისაებრ კაცთ-მოყვრობით ყოველგან მამაშვილურად მიიღეს, მაგრამ განსხვავებული სარწმუნოების გამო არ ჰქონდათ ქართველთ საზოგადოებაში პირი, რომ არა მარტო ქალკედონის მსოფლიო წმ. კრების უარყოფელნი იყვნენ, არამედ იმავე სხვა-და-სხვა მწვალებლობასაც მისდევდნენ. ქართველების სულ-გულისგან ასეთი სარწმუნოებრივი უსიამოვნების ასაცილებლად და გულის მოსაგებლად დასწერა პირველად მიხითარ ანელმან თავის ისტორიაში, რომ სომხების მამამთავარს ჰავოს შვიდი ძმა ჰყავდა: ქართლო, ბარლო, მოვაკან, ჰერო, ლეკან, კავკასო და ეგრო, რომელთ შემწევობით იყო, რომ ის შეეება ნებროთგმირს, დაამარცხა და მოჰკლაო. ასეთი ხმა დაიყარა ბევრგან და გაკვირვებითაც შეხედეს მას! ანელის ნაწერები მე-XIII საუკუნეში ჩაუვარდა ხელში სიენელს სომეხს სტეფან ეპისკოპოსს ორბელიანსა. მან თარგმნა ქართულად და გადასცა ქართველებს ძვირფას საუნჯეთ, რაც იქამდის არც სომხის



და არც ქართველების მეისტორიეთ არაოდეს არც ენახათ  
საღმე და არც არა გულში გასტარებოდათ!

აი რას სწერს მამა იოანე შავთელი თამარს შესხმა-ქებაში:  
„მაშინღა ნებროთ, ჭკვისს სამის ებროთ, გოდოლი ხელ  
თუნი ვადმოიქრა, სული გაიქრა, სატანჯველთ მიხვდა სას-  
ტიკთა, ძნელთა“ (91 მუხლი).

ეს შავთელი ჯერ მეფის მწერალთ-უხუცესი იყო 1180  
რიცხვებში და მერმე ბერად შედგა ეს ამტიკებს, რომ ბა-  
ბილოვანის ციხე-გოდოლის შენებასა, როცა ღვთის რისხვის  
მოვლენით ის ციხე-გოდოლი დარღვეულა, ნებროთიც იმავე  
წამს გადმოიჩენილა და მომკვდარა. მაშ რომელიღა ნებროთი  
უნდა იყოს ჰაიკის მოკლული? ეს ხომ იოანე შავთელსაც  
ეცოდინებოდა, თუ მართალი ყოფილიყო; როცა მისთანა  
სწავლულმა კაცმა არა იცის-რა ჰაიკის სიმხნისა, ცხადი სი-  
ცრუე არის!

ქალდი რომ გარდმოვიღოთ ამ მოკერებული სახელ-  
წოდებისგან, სითვანაც წარმომდგარია წოდება ქალდეველი  
და ქართველი, მეორე მოგონილი შაოს ძმის სახელები, სულ  
ადგილების ძირეული სახელებია: ქართველი (ქართა ველი),  
ბარდო (ფართო), მოვაკან (ვაკე, მოვაკე ადგილი), ჰერო  
(ფხვიერი ადგილი), ლეკან (ნალეკი, წალეკილი ადგილი),  
კავკასო (კავკავი, მიგრებ-მოგრეხილი მთა-გორა) და მისთანა.  
ნახეთ მთელი კავკასიის ტომების ძმები ხდებიან სომხები,  
რომ ყველგან თავშესაფარი ადგილი ჰქონოდათ! ასე ჰქუასაც  
მოგონება სდომებია!

ეს ცალბაზნური მუხლი და სხვა ამისთანები, დღესაც  
ჩაკერებულია ჩვენს ქართლის ისტორიის სათავედ ერთხელვე  
და დაუდევრობით ვეღარ ამოგვიშლია!

აი რას სწერს ბ. ლენორმანი ურარდიულ ლურსმნულს  
თავის გამოკვლევაში სომხებსა და მათ ისტორიაზედა: „პირ-  
ველი წოდება ჰაი, თავიანთ პირველი ტომის ზეპირ გადმო-



ცემისაგან აქვთ, რომელიც უძველესია უფროს თავიანთ გარდ-  
მოსვლისა სასომხეთოდ, როცა ცხოვრობდნენ თავიანთ ძმებს  
ფრიგიელებთან. მეორე ნაწილი მათი ისტორიისა, კალარადი-  
ანთ დროს სამახსოვრონი არიან, რომელნიც უთუოთ დაკუ-  
ლან პაების მოსვლის ბოლოსაც. ძველი ადგილობრივი ერის  
ერთი ნაწილიც შეპრევია იმათში და მათი ისტორია შეუთვი-  
სებიათ, ამავებისგან რამდენსამე ვპოულობთ სწორეთ მოსე  
ხორენელის აბასმიდისგან აღებულს ნაკვეთებშიცა, როგორც  
არამს, რომელმან ბარშამი და სხვანი დაამარცხა; ურსას მა-  
გიერ ჰრაჩიას, რომლის დროსაც ამბობს ურიების ტყვეთ  
გარდმოყვანას სასომხეთოდ ნაბუქოდონოსორისაგან, რომე-  
ლიც უფრო წინად იერუსალემისა და სამარიის აყვანილი  
ორთავ ტყვეობის ერთ-მეორეში არევისაგან წარმომდგარია.  
ის ურიანი გალაღადის და ნეფთალიმის გვაროვნობისანი  
იყვნენ (831 წ. ქ. წ.) და თავლათფალასარ მეფემ დამასკით  
ასურეთს წაიყვანაო (ნეშტთა კც. 5 და 20), რომელნიც შე-  
მდგომ მტკვრის ნაპირას დაბინავდნენ. მათ ბაგრატიანების  
წინაპარ შამბატზედ ყოფილი ზებირგადმოცემანი და ურიის  
ტყვეები დიდ დამტკიცებას გვაძლევენ, რომ ჰრაჩია და ურსა  
ერთი და იგივე არიან; აგრეთვე სკავორთი და არგისეტიც  
ერთნი არიან, ამის მეფობისა მოიკლა სენაქერიმი შვილებისა-  
გან და სასომხეთოდ გარდმოვიდნენო!“

ზოგიერთები არ დასჯერდნენ ჩვენის მამა-პაპების სისხლით  
დაკულს პოხიერ მიწა-წყალსა, მისგან მიღებულ მრავალნაირ  
სიკეთე-სიმდიდრესა, გაძლენ, გაღონიერდნენ, გაიმაგრეს ურ-  
თიერთისაგან ზურგ-მხარი და უწყეს ნგრევა ჩვენ სათაყვანო  
ეკლესია-მონასტრებსა, სადაც შეიძლეს დაისაკუთრეს, ხუცური  
წარწერები წაშალეს და თავიანთებურს ჯღაბნა დაუწყეს, არა  
მარტო ეკლესიებზედ, იგივე ნაოხარ სოფლების ლოდებზედ  
და ქვებზედ; სადაც ვერ გაიტარეს ხელთ ეკლესიები, ნაწე-  
რი, ნახატი ქვები დაგლიჯეს და სასაფლაოები დაიმშვენეს,  
ბევრგან ქართული ნაწერით სასაფლაოები დაღეწეს, ეკლეს-

სიების ძველი სასაფლაოები დათხარეს და ძვლები დღე-ღე-  
ვებში გადაყარეს, როგორც საძელს კათოლიკეთ სასაფლაოანი  
ეკკლესიის გარემო აღარ გააბოგინეს ისე სხვაგან. დღემდის  
ქურთები, თურქმენები, თარაქამები, მაჰმადიანები კრძალვით  
და პატივისცემით ეპყრობიან ჩვენს ეკკლესიებს და ზოგიერთი  
სომეხთაგანი-კი მტრულად გვეპყრობიან. სიმართლით წყინობს  
ბ. კლდია მათ დაუნდობლობასა მღვდლით ერამდის, მაგრამ  
გამგონი არა გვყავს. თბილისსაც ისაკუთრებენ, ასპინძა და  
აბასტუმანი რაღა სახსენებელია?..

ვინმე მესხი.

ქ. ახალციხე.



ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

## ჰირსისა

(შემდეგი \*).

ფიფინეთისა და ზაქათალის პირის-პირ, 12 ვერსის სიშორეზე, ალაზნის ველზე, არის ტყეში დიდი გუმბათიანი ეკლესია. ის აუშენებია მე-XVI საუკუნეში კახეთის მეფეს ლეონს. ეკლესია ძალიან კარგად შენახულა. იგი არის აგებული მშვენიერად გამომწვარის, მტკაველ ნახევრის სიგრძის აგურით.

ალაგს, საცა ეს ეკლესია არის აშენებული, ინგილო ქართველები ეძახიან „ბაზარი“, ხოლო ქარელი ლეკები სახელს სდებენ „თორთახ-ყალა“, იმ შემთხვევის გამო, რომ თემურ-ლენგს აქ აუარებელი ქართველნი დაუხოცნია და მათის თავებით დიდი ყორე აუგია. ეს ყორეც აქვე არის. ლეკები ამბობენ, რომ ყორეში რამდენიც ქვაა, იმდენი თავი მოუჭრია თემურ-ლენგს ქართველისა და მიუყრია ერთს ალაგასაო. მაგრამ ბაზარი შესანიშნავია უფრო მით, რომ აქ მოჰკლა გამაჰმადიანებულმა კოსტანტინემ თავისი მამა ალექსანდრე (1605 წ.) და სხვანი, და მერე თვითონაც დაიღუპა (იხ. ქ.-ცხოვ. გვ. 113).

ბაზარი ყოფილა ქალაქი. თუ არ იყო, მაშ რათა ჰქვიან „ბაზარი?“ აქ ყოფილა გაჩაღებული ვაჭრობა. მცხოვრებლები ყოფილან: ქართველნი, სომეხნი და ურიანი. ამას ამტკიცებს მცხეთის გუჯარი. იქ არის მოხსენებული, რომ სვეტი-ცხოველს (მცხეთის ეკლესიას) ჰყოლია ამ ქალაქში 27 კომლი

\*) იხ. „მოგზაური“ №№ 8 და 9.

ვაქარი, სომეხნი და ურიანი (იხ. ქრონიკები ჟორდ., წიგ. 2, გვ. 197). აქვე უნდა ჰქონოდათ მეფეთ სასახლეცა. უეჭველია, რომ უბრალო ადგილას არც მამის მკვლელი კოსტანტინე დადგებოდა, არც მეფე ალექსანდრე მოვიდოდა თავისი წარჩინებულებით, თუ ის მართლაც შესანიშნავი ადმინისტრაციული ადგილი არ ყოფილიყო. რადგან ეს ბაზარი ენისელის სამოურაოს (აწ აღიაბათის საბოქაულოა) შუაშია, ვფიქრობ და ვამტკიცებ, რომ აქა სცხოვრებდნენ აგრეთვე ენისელის მოურავები მერაბ, აბელ და სხვანი (იხ. ქ.-ცხოვ. მე-2 ნაწ., გვ. 133, 134) და ძლიერად ებრძოდნენ ლეკებს.

ამ აზრს გვაფულისხმებს, სხვათა შორის, ის ფაქტიცა, რომ მეფე ლეონს ბაზარში აუშენებია მშვენიერი გუმბათიანი ეკლესია. იგი მეფობდა კახეთში 1530-1574 წლამდე. ეკლესია უთუოდ სასახლეს ეკუთვნოდა. ისე კარგად არის შენახული ის დღემდე, რომ შორიდან რომ უყურებთ, გგონიათ, უთუოდ ახლაც წირვა-ლოცვა სრულდება შიგაო. მას მხოლოდ კარები აქვს გამონგრეული და გუმბათიდან ჯვარია მოგლევჩილი. ვინმემ რომ მოისურვოს, 20 დღეზე იმის გასუფთავება შეიძლება საქონლისა და ცხვრის პატიკისაგან, დაიდგმის კანკელი, იკურთხება და გაიძარტება ვედრება უფლისა. ის აშენებულია უბრალო გეგმაზე. გრძლად, ღვთისმშობლის სახელზე. კედლები დახატული ჰქონია. ახლაც ეტყობა ზოგიერთი ხატი, მაგრამ თვალები ამოჩიქნილი აქვთ ხანჯლის წვერით. არც ერთი ეკლესია არ შენახულა ოლქაში ისე კარგად, როგორც ესა. მის აშენებას ლეონ მეფისაგან ამტკიცებს პ. იოსელიანი (იხ. Описание Дагестана). ვგონებ ამასვე ამტკიცებს ის ხარი, რომელიც ზენის დროს იბოვეს აღიაბათელ ინგილოებმა 1858 წელს ტაძრის ეზოში. ხარს აწერია მხედრული ხელით, რომ ის შეუწირავს ბაზარში მყოფ ღვთისმშობლის ეკლესიისთვის კახეთის მეფეს ლეონს. \*)

\* ეს ხარი დღეს ინახება თბილისს, კავკასიის მუზეუმში. \*

1856 წელს ამ ეკლესიასთან იდგა რუსის პოლკი და დეკანოზი სოლომონ გრიგორიევი, თურმე, ამ ეკლესიაში ულოცავდა სალდათებს. ასრე მითხრა დეკანოზმა თვითონ 1871 წელს; ხოლო ზაქათაის ოლქის უფროსმა სერაფოვიჩმა, დედით ქართველმა, შამით რუსმა, მიამბო, რომ მე ოლქის არხივში ვნახე 1830 წ. საქმეებიო, და იქ ვპოვე ერთი ქალაღი, რომელშიაც ეწერა, რომ აღიბათელებს მიუტანიათ ბაზარში მღვარ პოლკის მღვდელთან ხსენებულ ეკლესიას შესამოსლები, ჯვარი და წიგნები, უჩვენებიათ, და მერე ისევ წაუღიათო. ეკლესიური წიგნების ჩვენებით ინგილოებს სდომებიათ, დაუმტკიცონ სამღვდელოებას, რომ ისინიც ქრისტიანები არიან, მაგრამ დახე აღამიანის ჰკუის უკუღმართობას, რომ ვისიც იმედი ჰქონდათ, იმათვე დაღუპეს ქრისტიანობა და ქართველობა სახელოვანს ელისენში.

არ იქნებოდა ურიგო, რომ ბაზრის ეკლესია განეახლებინათ და მისთან დაესახლებინათ ქრისტიანული ქართველები ან მონათლული ინგილოები, რომელთაც დიდი სისხლი დაუღვრიათ საზოგადოთ საინგილოში და კერძოდ ელისენში ქრისტიანობის დასაცველად. მისი განახლება მით უფრო უმეტეს საჭიროა, რომ ქრისტიანობის გავრცელებაზე ინგილოთა შორის დიდი გავლენა ექნება. მაგრამ ვინაა პატრონი: გარეშე მტერთაგან თავი დავიცვით, ხოლო აწ შინაურნი მტერნი გვანადგურებენ და გულშემატკივარი არავინა გვყავს.

შესანიშნავია ქ. ბაზრის შესახებ ერთი გაღმოცემა ხალხისა: „ბაზარში იდგა დედოფალი ქეთევანიო, — ამბობენ მუსულმანები, რომელსაც ისინი ეძახიან „ფერი ხანუმ“, — ის ძალიან ლამაზი და ჰკუიანი დედაკაცი იყოო. შაჰაბაზმა მონდომა მისი ნახვა, მაგრამ უცხო კაცს მასთან არ უშვებდნენ, რისა გამო შაბაზმაც ვერ მოახერხა მისი პირისპირ ნახვა. ერთ დროს სპარსეთს მივიდა სარუბაშელი (სოფელი სარუბაში ძვეს სოფელ კახს ზემოთ) ლეკი — მკალავი. შაბაზმა ის მიიწვია ჰურჭლების დასაკალავად. როცა

მან დაიწყო მოკალვა ქურქლისა, მასთან მივიდა შააბაზი და გამოჰკითხა სადაურობა და ვინაობა. მან მოახსენა, გურჯისტნელი ვარო. მტარვალს გაუხარდა და გამოჰკითხა კახეთის გარემოებანი და სხვათა შორის: „ქეთევან დედოფალი როგორი დედაკაციაო“. მან ძლიერ უქო მისი სილამაზე და ჰკუის გამჰრიახობა. — „მეც ვგრე მსმენიაო, — დაეთანხმა შააბაზი, — მსურს პირის-პირ ნახვა, მაგრამ ვერ მომიხერხებიაო“. „მე გიჩვენებო, — დაჰპირდა მკალავი, — ყოველ წელიწადს მე მას ქურქელს ვუკალავ სასახლეში, და როცა ფულს მაძლევენ, თვითონ ჩამოდის და თან ანგარიშს ესწრობაო. გამამყე შეგირდად და მე გიჩვენებ მასო“. დასთანხმდა ველიარი — შააბაზი. მოჰყვა მკალავს შეგირდად ბაზარში, საცა ქეთევანს ჰქონია სასახლე. გაათავეს ქურქლის კალვა. მობრძანდა დედოფალი, უნგარიშა მკალავს ფასი და რაც ერგებოდა მისცა. ამ დროს აქ იყო შააბაზიცა და უყურებდა დედოფალს პირში. გაბრუნდა ფერი ხანუმი, გამოვიდა შააბაზიც, ცხენები მზათა ჰყვანდა კაცებითურთ და საჩქაროდ გასწია სპარსეთისაკენ. დედოფალი სასახლეში რომ ავიდა, მხლებელმა მოახსენა: „ის შეგირდი შააბაზი იყოო“. მაშინვე ჩაკეტეს სასახლის ეზოს ალყათის კარები, მაგრამ ველარც მკალავი იბოვეს, ველარც ცბიერი შააბაზი. გამოუყენეს მას მღვეარი, მაგრამ ვერ მიაგნეს მის გზა კვალს, რადგან შააბაზს ცხენები უკუღმა ჰყოლოდა დანალული. ის მშვიდობიანად მივიდა სპარსეთს. მეორე წელს მან გამოილაშქრა საქართველოზე. მოვიდა დიდის ჯარებით, მოადგა ბაზარს და გარს შემოერტყა. დიდხანს იბრძოლეს. ქართველებმა ჰვერჯელ დაამარცხეს სპარსელები, მაგრამ ისინი ბევრნი იყვნენ, ქართველები ცოტანი და ამისათვის უკანასკნელნი ბოლოს დამარცხდნენ. მაშინ ფერი-ხანუმმა (ქეთევანმა) სიკვდილი ირჩია „სიცოცხლესა ნაზრახსა“, გადმოეშვა სასახლიდგან და თავი მოიკლაო“. — ასეთია ისტორია ქალაქ ბაზრისა.

აქედგან ახლა აუუხვიოთ ზემოთკენ და მივიდეთ კავკასიის

მთის ძირას. აქ არის მუხახის ხეობა. წინათ აქ ყოფილა ქართველთა სამი სოფელი: ფერჯაანი, მუხახი და მამრეხი. პირველი სრულიად გამქრალა. მას მოგვავაგონებს მხოლოდ სახელი მინდვრისა: „ფერჯაან-ჩოლ“ (ფერჯაანის მინდორი). ხოლო ორი უკანასკნელი ახლაც არის, მაგრამ იქ სცხოვრებენ ლეკები, და არა ქართველები. ძველს დროში კი აქ ქართველთა ცხოვრება სდულდა. აქაურ ქართველებს, როგორც სჩანს გუჯრებიდამ და სიგელებიდამ, დიდი ერთობა ჰქონიათ წახურისა და აფარიის ერისთავებთან. არის ზოგიერთი არქეოლოგიური ცნობანი, რომ ქარელების შემდეგ პირველად მუხახის ხეობაში ჩამოთესლილან მე-XVII საუკ. წუქეთის ლეკები და ქართული კულტურა აუოხრებიათ და გაუნადგურებიათ. ამის შემდეგ ქართველობაც გასულა აქედგან და ეკლესიებიც დაკეტილან და შერე აოხრებულა კიდევ.

ეს უკანასკნელნი (ეკლესიანი) 1310 წელს მიმოუხილავს საქართველოს კათალიკოზს ეფთვიმეს. ასრე სწერს მისი თანამედროვე მთავარ-ეპისკოპოსი გიშელ-ქურმუხელი კირილე დონაური. ეკლესიის სახელები არ არიან მოხსენებულნი და საერთოდ ასრე უწოდებს იმათ: „იხილა კათალიკოსმა ეკლესიანი ფერიჯან-მუხახ-მამრეხისაო“. ერთი მათგანი არის მუხახის მთის სუკზე, მეორე მამრეხში. უკანასკნელი, ვგონებ, ყოფილა დიდი მშვენიერი მონასტერი. მასა ჰქონია სახალხო, სათემო დღესასწაული. ჩემს ხსოვნაში, ამ მახლობელს დრომდე, კახში ბევრს ინგილოს ოჯახობას ჰქონდა მამრეხის „ზედაშა“, როგორც, მაგალითად, ზედაშა კვირაცხოვლობისა, მარიამობისა, დიდ-მარხვისა, ქურმუხის წმ. გიორგისა და სხვ. მაგრამ როდის დაინგრა აქ ქართველთა ცხოვრება, მოიშალა ქართველური ცხოვრების წეს-რიგი, დაიკეტა ეკლესიები და ქართველთ დაუთმეს მუხახ-მამრეხის ხეობა ლეკებს, ამის შესახებ ნამდვილი ცნობები ჯერ-ჯერობით არა გვაქვს. გადაქრით და დანამდვილებით შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ აქაური არე-მარეების გამაჰმადიანება დაიწყო შაბაზის

დროიდგან მე-XVII საუკუნეში. მე მაქვს ხელში ბრძანება ამ ხმწიფისა. იმას მიუცია მუხანის ხეობის ბატონობა ვილაყა დალისტნელ ლეკისათვის. იმას ჰრქმევია შეიხ-სულთან მახმუდ-ბეგ ახმედ-ოღლი. იგი ყოფილა მცხოვრები სოფლისა აპტალისა, რომელიც მუხანის მთების ზევით, დალისტნის მხარეს, არის დღესაც. იმას დიდი სამსახური გაუწევია შაჰ-აზისთვის და იმასაც გამგეობა მიუცია მუხანის ხეობისა. 1830 წლებში ამ შეიხ-სულთან მახმუდ-ბეგის შთამომავლობა ჩამოთესლილა მამრებსში და ეხლა ხსენებულ გუჯრით ედავება მთავრობას მიწებს, ალაზნის ტყვარში შესართავთან, მაგრამ იმედია, სამშობლოს მოღალატეს არაფერი ერგება.

მამრების ქვემოთ, მუხანის ხეობის მარცხენა გვერდზე, მთის ძირას, დაფენილია სოფელი გუთბარახი. მცხოვრებნი არიან ლეკნი, რომელთაც დაუქცევიათ აქ მყოფი ეკლესია. ამბობენ მონასტერი ყოფილაო.

სოფელი გუთბარახი შეერთებულია გულლუგთან, რომელსაც ქართულად ჰქვიათ „ვარდიანი“. აქაც ლეკები სცხოვრებენ, მაგრამ ურევიათ მათში მთვის ტომის დამკარგველნი ქართველნიც. ერთს მათგანს გურჯი-ოღლის ეძახიან. გულლუგი შესანიშნავია ეკლესიებით. იმის პირდაპირ მთაზე, მშვენიერს მოვაკებულ ალაგას, ყოფილა აშენებული დიდი, მშვენიერი ეკლესია. მას ჰქონია სენაკები, აუზები, სხვა-დასხვა შენობები და გარშემოვლებული ყოფილა გალავნით. ლეკეკი ეძახიან მას თამარ დედოფლის ციხეს (ფერი-ყალა). მას მისასვლელი გზა ჰქონია მამრებიდამ, რომელიც მთის სერებზე ყოფილა გადატარებული. აწ ოხერია ყოველივე ეს და არ მოიპოვება არავითარი წარწერა შენობათა კედლებზე.

სოფელს გულლუგში აწ აღარ მოიპოვება ნიშანი ეკლესიისა. მაგრამ ყოფილა-კი. 1310 წელს აქ ეკლესია უნახავს კათალიკოსს ეფთვიმეს. მე ვიცი მხოლოდ ერთი პატარა ეკლესია. ის არის აგებული მშვენიერს კვერნაკზე, რომელიც ისე მოჩანს, თითქო მიწიდგან თავი ამოუყვია ვაკე მინდორ-





შიო. ამ მინდორს ლეკები ეძახიან „ჯორ-ჩოლ“, ესე იგი „ჯვარის-მინდორი“. ამ წოდებიდან ცხადია, რომ მინდორი ეკლესიის მამული ყოფილა და თვით კვერნაკზე მყოფ ეკლესიასაც სახელად ჰრქმევია „ჯვარის ეკლესია“. აქაური ლეკები მას დიდს პატივსა სცემენ. ამ პატივისცემას ჰხატავენ მით, რომ ახალი დაბადებული ყმაწვილები თავიანთ დედებს მიჰყავთ მეორმოცე დღეს ამ ეკლესიაში და აბანავებენ შიგ. „რომელი ყმაწვილიც ამ ეკლესიაში გაიბანება, ის ჯან-სალი იქნებაო“, — ამბობენ ისინი. ეტყობა, ამ ჩვეულებას მისდევენ უფრო ის ოჯახები, ვინც ქართველნი ყოფილან და შემდეგ გამაჰმადიანებულან. მათი ასეთი ქცევა ნათლობას მოგვაგონებს. ექვი არ უნდა გვქონდეს, რომ ბავშვების ეკლესიაში გაბანავებით აქაური დედაკაცები გულს იოხებენ და გვიამბობენ, რომ ერთ დროს მათი მამა-პაპანიც ქრისტიანები ყოფილან და იმათ დღესაც სწამთ ნათლისღების საჭიროება.

1868 წლამდე ამ მარტვილთა (ქართულად — ყმაწვილებისა, ლათინურად — მოწამეთა) ეკლესიის გარშემო დიდ-ძალი ბზის ხეები ხარობდნენ, მაგრამ აწ გადაუჭრიათ გულლუგის ლეკებს და სახნავ-სათეს მიწად უქცევიათ ეკლესიის ეზოც და მისი არე-მარცხ... მართლაც რომ დრონი მეფობენ და ჩვენი წარსული უბატრონოა!

სოფ. გულლუგს კარგად ვიცნობ. ყოველი მისი კუთხეც კი მოვლილი მაქვს, მაგრამ, ვერსად ვნახე ეკლესია წმ. აბოსი, რომელიც 1310 წელს იხილა კათალიკოსმა ეფთვიმემ. თეიმურაზი სწერს, რომ ლეკები ზოგიერთ ეკლესიებს შეჩითად აქცევდნენო. იქნება წმ. აბოს ეკლესიაც გულლუგის მეჩითის ალაგას ყოფილიყოს?! ის სოფლის შუაგულშია და ეტყობა ძველი შენობის საფუძველი.

ქართველობის დროს გულლუგი კარგი სოფელი უნდა ყოფილიყოს და ამისათვის მას ჰრქმევია შესაფერი სახელიცა „ვარდიანი“. აწ წარმოადგენს უშნოსა და უმზავსო სახეს. არსად ოლქაში არ არის ისეთი სოფელი, რომ იმდენი ვერა-

ნა მამულები იყოს, რამდენიც ამ სოფელშია. აშენებენ ახალ-ახალ მამულებს და სახლებს, მაგრამ ორი-სამი წლის შემდეგ ნახავთ, რომ ოჯახობა ამოწყვეტილა და მამულები ვერანად დარჩენილან. ეს შესანიშნავი მოვლენა იქ უფრო ეტყობა, საცა დიდი მეჩეთია წმ. აბოს ეკლესიის ნაცვლად.

სოფ. გულლუგი შესანიშნავია სამხედრო ისტორიაშიაც. კახეთიდან და ქიზიყიდან ქართველნი რომ გამოილაშქრებდნენ ქარზე, მოდიოდნენ ჯერ სოფ. ფადარს, ალაზნის პირზე, მერე აქედგან სოფ. ალიაბათს, საიდგანაც გზა იყო გავანილი გულლუგამდე. ამ გზას ლეკები ღღესაც „გურჯი იოლ“, — ქართველთა გზას უწოდებენ; მაგრამ მისი მხოლოდ ბილიკილაა დარჩენილი ღღეს. 1706 წელს ამ გზაზედ გამოატარა თავისი ლაშქარი კახეთის მეფემ დავითმა (იმანყულიხანმა), იმას ომი არ ეწადა, მაგრამ კახელებმა მას ძალა დაატანეს და იძულებული ამხედრდა. „განაზრახეს კახელთა დავით მეფე, რათა შემუსროს ჰარი და დააცხროს ჰირი კახეთისა“, — ამბობს მატთანე. — ამ დროს მეფე სახლობდა ყარაღაჯში. შეიკრიბა ჯარი კახეთისა, წამოიყვანა თუმ-თშავ-ხევსურნი, მოვიდა ენისელში (საინგილოში), დადგა სოფ. ვარდიანს და მიუსია ჯარები ჩარდახს (მუხახის ხეობაში). ქართველებმა ჯერ დაამარცხეს ჰარელნი, მაგრამ, მეფის გაუფრთხილებლობისა გამო, მერმე დამარცხდნენ. „ამის შემდეგ გაძლიერდნენ და ჰქმნეს ჭარულთა სიმაგრე“. მათ დაიპყრეს ელისენიცა და დაიწყეს ლაშქრობა, რბევა, კირთება, ტყვენვა, ოხრება და კაცთა კვლა და მოაოხრეს მრავალნი დაბნებნი. მაშინ მეფე დავითიც აიყარა ყარაღაჯიდგან და გადასახლდა თელავს (იხ. ქ.-ცხოვ. ნაწ. მე-II, გვ. 132—133). ეს ამბები მოჰხდა 1707 წელს.

ინგილო ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).



# ბორჩალოს მაზრა

და მასში მცხოვრები ქართველები

ქალაქიდან მიახლოვდებით თუ არა ეხლანდელ არა-  
ხლოს, სადაც სულ თათრები სცხოვრებენ და შუაზე გად-  
მოქუხს მდ. ხრამი, დავინახავთ დასავლეთისკენ ორს ხეობას;  
ერდ ხეობაზედ ჩამორბის მდ. მოშავერი და მეორეზედ ლო-  
ქოს წყალი, რომელთა სათავეებში მარცხნივ მოჩანს დიდი  
ლოქოს მთა, ხოლო მარჯვნივ—თრიალეთის მაღალი და  
გრძელი მთა. არახლოდამ პირდაპირ სოფელ ყოჩილოზედ  
გადავივლით და ახლოს დავინახავთ მთელს ლოქის-წყლის  
ხეობას. პირველად ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება მარცხ-  
ნივ გორის ძირში ხატის-სოფელი (პატარა ბოლნისი), სადაც  
მართლ-მადიდებელთ შიძინების ეკლესია სდგას სოფლის შუა,  
ხოლო წმ. გიორგის ეკლესია სოფლის თავში, მაღლა გორა-  
ზედ, რომელიც, როგორც პირველ წერილშიაც მოვიხსენეთ,  
დღეს სომხების ხელშია. სოფლის ბოლოდამ ქვევით ლოქის  
წყლის ნაპირამდის გაშენებულია ვენახები და ძვეს სარწყავ-  
სახნავე მიწები. მეტი ნაწილი მამულისა შეადგენს, როგორც  
აქ მცხოვრებნი უწოდებენ, ბატონების საკუთრებას, დანარჩენი  
სახელმწიფოა, რომლის მეტი ნაწილი თათრებს უჭირავთ  
(მიღრილოვებს). ხატის-სოფელს სამი ვერსი რომ გავშორ-  
დეთ, ხეობის მარჯვნივ ძვეს ს. კახანაქი და მერე ბოლნისი,  
სადაც სდგას ძველი ეკლესია. აქედამ ერთი ვერსის სიშორეზე,  
კლდიან მთის ძირში, ძვეს სომხების ახალი სოფელი, „ბოლ-  
ნის-ხაჩინა“, სადაც სცხოვრობს სამასამდე კომლი. ამ სო-  
ფელშიაც და მის ირგვლივ ბევრი ძველის-ძველი ნანგრევი

ეკლესიებია. ხაჩინიდან ორ ვერსის სიშორეზე, იმავე ხეობაზე, მარცხნივ ძვეს სოფელი სამწვერისი, სადაც სცხოვრებენ ქართველნი, მისდევენ მებაღეობას. მთელი ეს ალაგი ეკუთვნის შანშიევეს. აქ, მაღლა, ბაღების თავში, არის პატარა სამების ეკლესია, რომელიც გაუახლებიათ 1870 წელს ბ. გრ. და ნინო შანშიევეს. თვით ამ ეკლესიის განმაახლებელმან ქ. ნინო შანშიევისამ მითხრა, რომ მას სწადებია ამ ნანგრევი ეკლესიის განახლება სომხურ წესზედ, მაგრამ სიზრმის წინადადებისამებრ ქართულად ვაკურთხებინეო. აქედან სამი ვერსიცი რომ გავიაროთ, მივადგებით ამ ხეობის თავს და ვნახავთ, რომ ლოქის წყალი შესდგება ორი ნაკადულისგან: ერთი მთგანი ჩამოუბრის მარჯვნივ, მეორე მარცხნივ. აქ ჩვენ დავინახავთ მარცხნივ დიდ მთებს, რომლებიც ძალიან შავათ გამოიკვირებიან; ესენი თუჯის ქვის მთებია. ამათ ძირას არის თუჯის (ჩუგუნის) ქარხანა, სახერხი მაშინა, აგურის საქრელი, სახარატო და სხვა. ქარხანის პირდაპირ სდგას ორ-სართულიანი მაღალი სახლი, სადაც ახლაც სცხოვრებს პატრონი ამ ქარხნისა—ინჟენერი ი. ბოგაჩი. მარჯვნივ მთის ძირში აშენებულია ლუდის ქარხანა, გერმანიელის გ. მადერისა, რომელიც აკეთებს მშვენიერ ლუდს. იგი სადღება აქვე ადგილობრივ და საკმაოდ ძვირადაც.

აქაური მთის წვერები რომ გადავიაროთ, გადავალთ ს. ბალიქში, კაზრეთში. ეს მამულები ეკუთვნის თ. ქობულოვს. ამ მამულების ძირში მდ. მოშავერი მორბის დმანისის გვერდზედ, სადაც ფრიად ძველი ტაძარია დღესაც მინგრეულ-მონგრეული, ორბელიანთ მამულებზედ აშენებული.

აქედამ რვა ვერსი ზემოდ რომ წავიდეთ მოშავერის ხეობაზედ, მივალთ ერთ დიდ მთის ძირში, სადაც ორად იყოფა გზატკეცილი; ერთი მიდის მარჯვნივ ბაშკიჩეთ-წალკისკენ, ხოლო მეორე გადადის ვარანცოვკაზე, დჟელალ-ოღლს, და რუსეთის სოფელს გერგერს შუაზე გაუვლის, ადის ბამბაკის დიდ მთაზედ (აქ საზღვარია ბორჩალოს მაზრისა) და კარაკ-

ლისიდან მიდის გუმბრში. აი აქ, სადაც გზა ორად იყოფა, არის გამართული შუშის (მინის) ქარხანა. უნდა მოვიხსენიო, რომ, როგორც შემინიშნავს ჩემი მოგზაურობის დროს 1890 — 1891 წლებში, ამ მთიდან ვიდრე ბამბაკის გორამდე, აღარავითარი ძველი საქართველოს ეკლესიები და ნაშთები აღარ სჩანს. ს. არახლოდან გზა-ტყევილი პირდაპირ შემოდის კოლონია ეკატერინფელდში, სადაც დასახლებულნი არიან გერმანიელები. მინამ კოლონიას ხუთ ვერსამდე მივახლოვდებოდეთ, პირველათ ჩვენ შეგვხვდება მთის ძირში პატარა მკავე წყარო, რომლის წყალს აქვს „ზელტერის“ წყლის გემო. მერმე იქიდან დაწყობილი ახალშენამდე, გზის აქეთ-იქით ნაპირებზედ გაშენებულია მშვენიერი ვენახები. ვარდა გერმანიელებისა აქ ქართველებიც სცხოვრობენ და სომეხნიც. აქ, მოწადინებით ადგილობრივ მღვდელისა და ნებართვით საქართველოს ექსარხოსისა, შენდება ეკლესია მშვენიერ შესამჩნევ შუა ალაგას. ახალშენს მარცხნივ აკრავს მაღალი გორა, ზედ პატარა ძველი დანგრეული ეკლესიით, რომელსაც ახლა „ელი ბაბას“ უწოდებენ. მის დღეობას ქართველები დღესასწაულობენ მეორე კვირას წმ. აღდგომისა, ხოლო ბერძნები, რომლების სიტყვით, აქ ძველის-ძველათ წმ. წინასწარმეტყველი ილიას ეკლესია ყოფილა, დღესასწაულობენ 20 ივლისს. ხატობის დღეს აქ იკრიბება მრავალი ბერძენი სოფ. წალკიდან, წინწყაროდან და სხვა მხრიდანაც. ამ ოთხი წლის წინეთ, აქაურ „ტერტერებს“ სდომებიათ ამისი დაჩემებაც, მაგრამ ბერძნებს, როგორც გაიჭერა ხალხს, მკლავი უხმა-რიათ და ტერტერები ამ ვეება გორის წვერიდან მდ. მოშავერამდე ტყაბა-ტყუბით ჩამოურეკიათ. ახალშენს შუაზე ჩამოურბის მდ. მოშავერი; ელი-ბაბის მთის ძირას, მარჯვნივ, თაფანის მთაზე არის კიდევ ძველი ეკლესია; იგი და ელი-ბაბა გაჰყურებენ ერთმანერთს და როგორც ამ თაფანის ეკლესიის კედლებს, ისევე ს. სამწვერისისა და ხატისოფლის წმ. გიორგის ეკლესიებისას. ძველი წარწერანი აღარა ეტყობა-რა,

ხოლო, ზოგ ალავას, ეშმაკობით ახლად ნაჩიქნია სომხური ასოებით.

გერმანელები ფრიად შესანიშნავი ხალხია. იქნებიან ოთხასამდე კომლი. თვითეული მათგანი იმდენად ხენა-თესვას არ მისდევს, რამდენადაც მევენახეობას, და შრომაც უფასოდ არ ურჩებათ. ყოველი მათგანი კი მოსავლის დროს ორმოცი თუმნის ღვინოს ჰყიდის. ამდენი ხნის ჩემს აქ ყოფნაში არც ჩხუბი გამოვიდა ამათი, არც ხმა-მაღალი ლაპარაკი. მთვრალი ხომ მის ღღეშა ძნელად იქნება ვინმე ნემეცთავანი. ძროხები მეტად ბევრი ჰყავთ; აქვთ ყველისა და ერბოს ქარხნები, არცისაც იმართება. მეტად სამაგალითოა ხალხია. ერთი ეს მახსოვს, რომ როდესაც აქ ეკლესიის აშენების კომიტეტი დაარსდა და ხალხის დაუკითხავად 300 ოთხ-კუთხი საყენი მიწა მიუზომეს მართლ-მადიდებელთ ეკლესიას, დიდი ყაყანი შესდგა მთელს ახალშენში. ყოველის მათგანის შუბლზე უკმაყოფილებას წაიკითხავდით.

ახალშენიდან რომ გაემგზავროთ დასავლეთისკენ მოშავერის ხეობაზე გზა-ტყეცილით, ორ ვერსზე კიდევ ვენახებია, მესამე ვერსზე კი, მარჯვნივ მთის ძირში, დაინახავთ პატარა სოფელს, რომელშიაც სცხოვრებს 26 კომლი ქართველი და 7 სომეხი. შუა გორაკაზე სდგას პატარა, მაგრამ ფრიად კოხტა ეკლესია სამ გუმბათიანი, ჯვარის სახის გეგმაზედ. აი ეს სოფელი გახლავთ რატკუჯანი. ეს მამული სოფელითურთ ძველად ყოფილა თავ. ბარათაშვილისა. ოდეს მას მოუწადინებია გაყიდვა თავის მამულისა, იგი ვიღაც ფითოვეს უყიდნია. მამულის ყიდვისათნავე ეკლესიის კანკელი მოუშლია, დაუდგამს სომხური და უკურთხებინებია იგი სომხურად. მერე ეს მამული უყიდნია ბ. მანთაშევს და ღღესაც მის საკუთრებას შეადგენს. როდესაც თ. ბარათაშვილი გარდაცვლილა, იგი ამ ეკლესიაში დაუმარხავთ და ძეგლიც დაუდგამთ. ეს ეკლესია რომ ნამდვილად ქართველების იყო და ფითოვემა გადააკეთებინა და აკურთხებინა სომხურად, ამას ჰმოწმობენ არა მარტო ქართ-

ველები, რატევანში მცხოვრებნი, არამედ თვით სომხებიც. ამანვედ არის ოქმი შედგენილი 1900 წელს 11 გიორგობას და წარდგენილია მთავრობასთან.

საქიროდა ვსთვლი გავუზიარო მკითხველს რაც ჩემს ყურებს შემოესმა პირველად აქეთ ჩემი წამოსვლის დროს. 8 ივნისს 1899 წელს, სოლოლაკის აღმართზე მივდიოდი დაფიქრებული სამსახურში და მოვიფიქრე შევსულიყავ იქვე ახლად ნაკურთხ ამალგების ეკლესიაში. ეკლესია გაღებული იყო, ვილოცე. მარჯვნივ, კანკელის ახლო ვნახე პატარა ხატი შემდეგის წარწერით: „ესე არს ხატი იგი, რომელითაც მიულოცა მეფემან თეიმურაზ, შვილის შვილსა თვისსა გიორგის და მისცა სკიპტრა ქართლის მეფობისა მცხეთის ეკლესიასა შინა“. დღესაც იქაა იგი სიწმიდე. დავიწყე მომზადება და სწორეთ 30 ივნისს რიყეზედ ჩავეღო დილიენის დასაქერად. დილის 8 საათი იყო, რომ ჩავსხედით დილიენში ჩემით ექვსნი. ჩემ გვერდზე ერთი ისეთი რუმბსავით სირაჯი დაედო, რომ იმის ქშინვამ მთელი ქალაქის ხმაურობა სულ დააყრუა. მინამ სოღალღულში ამოვიდოდით, ვცდილიობდი გამეგო, რა ხალხთან ვიჯექ, თუმც კრინტი არ დამიძრავს. ოთხნი იყვნენ სირაჯნი ქალაქიდან, ახალშენს მიმავალნი ღვინოების სავაჭროდ, მეხუთეც ერთი მოურავთავანი ჩვენის თავადების მამულებისა, ბორჩალოს მაცრაში. ეს რომ გავიგე, მალლა აღარ ავიხედე, მარტო ვისმენდი მათ ლაპარაკს. ერთმა მათგანმა მკითხა: „ძმაო, ქართველი ხარ თუ რუსია?“ ბერძენი გახლავართ, — ვუპასუხე რუსულად. ქართული იცია? არა-მეთქი. აი იმ წამს მოადგა პირზე ერთ მათგანს და დაიწყო ქართულად: „ეს ბერძენი ძალიან გაიჭერა ხალხია, გეურქ! ისეთი დღე დააყენეს ჩვენ ტერტერებს ელი-ბაბის გორაზე, რომ მართლაც „ლავე!“ — მუნჩკაც ტო, ქართველი არ იყოს და ახრა არა წამოროტო რა! — არა და, მე რას ვამობ? — არა, მოდი, ძმაო, ნუ მალამ, რაღაც პალტო წამოვისხავ, ჩვენი ქართველი ხარ, ლუკმა პური გატეხე, რას მალავ თავს, — მითხრა მეორემ. მე ხმაც

არ გავეცი და დამტკიცდნენ, რომ ბერძენი ვიყავ. ესე გა-  
სინჯეთ მათი გაჩარხულობა, რომ როცა მარნეულში ჩავედით,  
საიდღამაც ბერძნული წიგნი მომიტანეს და მითხრეს: „აბა,  
ძმაო, ერთი ეს წაგვიკითხეო“. გადვუკითხე რამდენიმე სტრი-  
ქონი. ახლა კი დარწმუნდნენ და სუფრაზედ რომ დასხდნენ, მი-  
მიწვიეს და ქართულად სულ აღარავინ დამლაპარაკებია, რუსუ-  
ლად მელაპარაკებოდნენ ვინაობაზე. სადილი რომ გაათავეს,  
ჩავსხედით დილიჯანში. მე ძილს მივე, ვითომც, თავი. ოც-  
და-ხუთი ვერსი იყო კიდევ ახალშენამდე. მართლაც, ისეთი  
სომხური მასლაათი გააბეს, რომ თქვენი მოწონებული, მკი-  
თხველო! არახლოს რომ მიფუახლოვდით და დილიჯანი ქციის-  
ხიდზე შედგა, ცხენების ბრაგა-ბრუგზე გამომეღვიძა და შე-  
მომესნა: „ამ ოხერ-მუნდრეგებს სულ სძინავთ“. ეს რო გა-  
ვიგე, დავხუქე თვალი, მინდოდა გამეგო, ჩემ ძილზე ლაპარა-  
კობდნენ თუ არა. ისევ გააგრძელა რუმბის მგზავსმა სირაჯმა:  
„კაცო, რას ამობ, ტიფლიზ ქალაქში რომ ჩავიდე და გაზეთი  
ვიყიდო, პირველ „ჰაე-ბიმში“ ამას ამოიკითხავთ: მამული იყი-  
დება კნიაზისა ვალში, მამული დააგირავა კნიაზმა ვალში-  
ვა, გიჟია მუნდრეკი, ბარემ თავიც დააგირავე და“. — არა, ეგ  
რათ გინდა, — უთხრა მეორემ, — მამულებს ვილა ჩივის, ეკლე-  
სიებსაც ჰყიდიან. აი რატევენის ეკლესიაც ქართველისა არ  
იყო? ვინ არი პატრონი, თუ კი პატრონებს სძინავთ?“ აქ  
გავიგე ვის ძილზე ლაპარაკობდნენ. — „ვართან! მერე, მერე?  
მერე ისა რომ ამ წინაზე ჩვენმა ოსეთამ ჩვენებურად აკურ-  
თხებინა, ახლა საწყალი რატევენელი ტყაპუქები ბევრი იციან-  
ვისი იყო, ვის დარჩა“?! — აი ესენცა აი პარონ! — უთხრა მე-  
სამემ. არა და რალაც ეგ ჩინთა-ფინთო ქართველები არიან,  
მაგ მძინარე თავადებს კიდევ „ამშენებლებს“ ეძახიან და?!  
რაც არ დაანგრიეს, რა აუშენეს?! — არა, ღმერთმა აღდგეძე-  
ლოს კიდევ ეგ „ამშენებლები“, — უთხრა პირველმა, — ეგენო  
რო არ იყვნენ, ჩვენ ულუკმა-პუროდ დავიხოცებოდით. მამა-  
ცხონებულები კიდევ ჩვენ თავს რჩეულობენ თავიანთ სისხ-  
ლით ძმაზედ. ბემურაზი ვიყო, თუ იმთენი კნიაზის ჯიბისთვის



მეშრომოს, რამდენიც ჩემთვის, როცა აქეთ მხარეს მოუტრავად ვიყავ. მახლას, რაც იყო, იყო; ახლა ჩემი საქმე არ არი, მამული ვალში ეყიდება, თუ ვახჩში. ტო მუნდრეკ—თვალი გაახილვ და, შენც უფლის გაჩენილი არა ხარ?!

ამ ლაპარაკმა ისე განხრწნა ჩემი გული, რომ მეორე დღესვე ყასიდათ აველ ს. რატევანში და რაც სომხებმა ილაპარაკეს, საქმით დამტკიცდა. ამას წინად ერთი მოხელე დაეკითხა „მეფევი პრისუტსტიის“, დაარსებულს 1867 წ. საქართველოს მამულების დასაყოფად, რათა ეცნობებინათ მისთვის, რატევანის ეკლესიას რამდენი მამული აქვს მიზომილი და აქვს პლანი თუ არაო. პასუხად შემდეგი მოსწერეს: „Церковь стоит на помещичьей землѣ и нѣтъ ровно ни какого плана на помянутую церковь“. გაგიგონიათ?! ეკლესია თავის დღეშიაც და არც ახლა არა მდგარა და არცა სდგას „პომეშიკების“ მამულზე. ყველა ეკლესიას აქვს თავისი საკუთარი მამული. ეს ისტორიიდანაც სჩანს და ახლანდელი არსებულის კანონების ძალითაც. ეკლესია რომ ააშენოს მემამულემ თავის მიწაზე, იგი მიწა მის საკუთრებას აღარ შეადგენს, არამედ საკუთრებას საეკლესიო უწყებისას (Духовнаго вѣдомства). რატევანის ეკლესიაც ეკუთვნოდა კანონისამებრ სასულიერო უწყებას და არც მდგარა „პომეშიკის“ მამულზე; ამიტომ უნდა ჰქონდეს პლანი და თავ. ბარათაშიელსაც მისი გაყიდვისა არავითარი კანონიერი ნება არ ჰქონდა. აგრეთვე, საეკლესიო მამულები და ქონება, არავის შეუძლია დაინარჩუნოს ახლანდელის კანონების ძალით დიდი ხნის მფლობელობით, როგორადაც სახელმწიფო მამული. ამისა დაგვარად არც რატევანის ეკლესია და არც ხატის სოფლისა არ უნდა შერჩეთ სომხებს, რის იმედიც უტყუვარი ჰეშმარიტებაა ქართველთათვის.



# რუსუდან \*)

მოქმედება მეოთხე

## ჩვენება I

ტფილისი. რუსუდანის სასახლე. დარბაზში სუფრას შემოსხდამან თვით დედოფალი და მისი უმახლობელესი მეგობრები იტყულის-შვიდათურთ.

**რუსუდ.** ჩემი ძმა ლაშა მიებარა მამა-პაპათა სავანეს და მოი-სვენა. რომის პაპსაც სათანადო პასუხი გავუგზავნეთ. თათრებიც გავაზვევეთ. და ძლივს მოგვეცა დრო ღზენისა და მხიარულებისა. მიირთვით, ძვირფასო მეგობრებო, ღვთით, ყოველივერი უხვად გვაქვს!

**სტუმრები.** იცოცხლეთ, დიდო მეფეო, მრავალ ეამიერ (სცადიან ჯადისფერ ღვინით სავსე ჭიქებს).

**რუს.** გაამოსთ! აბა გამხიარულდით! ძმანო, სიკვდილის შვი-ლები ვართ ყველანი, ჩვენც უნდა დავიხოცნეთ და, ვიდრე ცოცხალი ვართ, დრო გავატაროთ!

**ერთი სტუმართაგანა.** ჭეშმარიტად, ყოველივე სოფლისა ამის ამაო არს!

**მეორე სტუმართაგანა.** თვით დიდობაცა და გვარაშვილობაც.

**რუს.** ნუ ფილოსოფოსობთ! ცხოვრება მხიარულობით დავა-ტკბოთ!

**სტუმრები.** თქვენი მხიარულება ჩვენი სიცოცხლეა, ხელმწი-ფეო! იცოცხლეთ მხიარულებით წელსა უამრავს!

\*) იხილეთ «მოგზაური» 10.

რუს მიირთვით! „მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა რგულია!“

სტუმრები. გაუმარჯოს ჩვენს უხვას მბრძანებელს! ვაშა რუსუდან დედოფალს!

რუს. მეტი რა საგზალი წაგყვება ამ წუთისოფლითგან. აბა ერთი სიმღერა!

სტუმრები. მეფე მშვენიერ,  
 იყავ ნებიერ,  
 მრავალ ჟამიერ  
 სკიპტროსან, ძლიერ,  
 და გაუმარჯოს  
 ვინც დაღვეს ღვინოს,  
 დღევრძელიმც იყოს,  
 ვინც აქ იღხინოს! (სცდის ჭიქებს).

ერთი სტუმრთაგანი. დედოფალო, ორტულისშვილს მოწყენილობა ეტყობა!

სხვა სტუმრთაგანი. ორტულისშვილო, დალიე,  
 ნაღველის ძირი გალიე,  
 ვინცა გიყვარს, ნუ მოლიე,  
 ამკვე და უსურნელიე!

რუს. (დაბნეული და წამოწითლებით) ორტულისშვილო, გამხიარულდი!

ორტულ შ. (ხელში იღებს დაბდებს, უკრავს და მღერის)  
 ვინცა მიყვარს, მან დამლია,  
 მოლოდინით მთლათ გამლია,  
 დამაქნო, ვით მზემ მოლია,  
 არ მაფრქვია სურნელია!

სტუმრები. ვაშა, ორტულისშვილო!

ორტულ შ. სიყვარული ვიწინამძღვრე,  
 ზღვა, ხმელი გადმოვიარე,  
 საქართველო მოვიარე  
 და ჩემს სატრფოს შევეყარე!

**სტუმრები.** ოხაჲ ორტულისშვილს!

**აღტყუდიშ.** მე იგი შავარდენი ვარ,  
 რომელ მზის მონადირე ვარ,  
 და, ვიცი, მზესაც უნდივარ  
 და მითცა ბედნიერი ვარ!

**სტუმრები.** შაბა-შაბა!!

**აღტყუდიშ.** სიხარული მწუხარების  
 უნახავად არ იქნების,  
 ჭირით ღვინ მოიპოვების,  
 სახელიც მოიხვეჭების!

**სტუმრები.** ვაშა შენს სიბრძნეს!

**აღტყუდიშ.** რა კაცსა ვინმე უყვარდეს,  
 მას იგი ვერღა მოშორდეს,  
 რაზომცა ვინ აძულვებდეს  
 და გინდ თავსა ქვა უწვიმდეს!

**სტუმრები.** მადლი შენს გამჩენს!!

**აღტყუდიშ.** მიჯნური არ შეშინდების,  
 მას უფრო შეუყვარდების,  
 მისთვის უფრო გახელდების,  
 ტრფობაც გაუორკეცდების!

**სტუმრები.** აფერუმ! გაუმარჯოს!

**აღტყუდიშ.** მე ვბოვე იგი სვიანი,  
 აწ ვუჭვრეტ მას ეშხიანი,  
 მასვით ღვინო ფეროვანი,  
 დამლოცეთ, მაქვს გზა მზიანი!

**სტუმრები.** დაგლოცოს უფალმან!

**აღს.** (აღტყუდიშით) კიდევ ერთი, ორტულიშვილო!

**აღტყუდიშ.** რუსხმული სიყვარულისა  
 შრიდად მივსო ტრფობისა,  
 სუდარც უიმედობისა  
 შტყვეს აღარ მეფარებისა;  
 დიდი კოცონი ცეცხლისა

აშუკს, ტე, მომედებისა,

ნეტა მას გული ეწვისა?!

**სტუმრები.** ვაშა უებარ მგოსანს, ორტულისშვილს გაუმარჯოს!!

**მარტუღიშ.** გმადლობთ! (სამს ღვინოს).

**რუს.** (რეტ დასხმუღივით) ორტულისშვილო, იკმარე,

შენ ერთი სიტყვა იხმარე,

სატრფოს გამოუხმობარე,

სატრფოც შენთვის არს მკენესარე;

იყავი მასთან მჯდომარე,

მარად ეამ მასთან მდგომარე.

**ერთი სტუმართაგანი.** დიახ, სიტყვიდამ „რუსხმული“ სიტყვამდე „ნეტა“ კიდურ სიტყვად წაიკითხება „რუსუდან“!

**მარტუღიშ.** მართალია, მე ვუგალობ რუსუდანს, მე მისი სიყვარული მდაგავს აგერ შვიდიოდ წელიწადია!

**სტუმრები.** ვინ არის ეგ რუსუდან?

**რუს.** (უფკლ მხრე სიჩუმის შემდეგ) მე ვარ! ჩემნო საკუთარნო, ჩემნო ძმანო და დანო, ეგ რუსუდან მე ვარ! ორტულისშვილი მე მიყვარს ისე, როგორც მიყვარს სული ჩემი! მაგასაც, როგორც მიხვდებოდით მაგის სიმღერის ნაწყვეტებიდამ, ვუყვარვარ აგრეთვე. ნება დავგვრთეთ შეუღლებისა! თუ ეგ არა, მე სხვა მამაკაცი არ მინდა, გინდ იგი იყოს ბიზანტიის იმპერატორი!

**სტუმრები.** (აღტაცებით და შოწახებით) თქვენი ნება არ არის, ხელმწიფეო! ნება ცხებულისა ზენაარობით წარმოსდინდების! ჩვენ წინადაც ვიცოდით, რომ ერთმანეთი გიყვარდათ! გაგვაბედნიერეთ და ორტულიშვილი გვერდთ მოისევით! (რუსუდანი ანაშნებს მარტუღისშვილს).

**მარტუღიშ.** ღირსი არა ვარ მაგ ბედნიერებისა, დიდებულნო! გარნა ხელმწიფე მანიშნებს, რომ მისი ნება აღვასრულო და მის ახლოს დავჯდე (დგება და რუსუდანის მარცხენათ ჯდება ტახტზედ).

**სტუმრები.** გაუმარჯოს მეფე-დედოფალს!! გაუმარჯოს!! ღმერთ-  
 თმან ადღეგრძელენ რუსუდან და საყვარელი მეუღლე  
 მისი ორტულისშვილი! გაუმარჯოთ!! ვაშა!!

(შემოდის შკაპრე)

**შკაპრე.** ხელმწიფეო, შიკრიკი მოიქრა, სასწრაფო სიტყვა  
 მაქვსო!

**რუს.** შემოიყვანე.

**შკაპრე.** (შემოდის ქაქანათ, თავს უკანავს დედოფალს) ხელმწი-  
 ფეო!

**რუს.** გეტყობა, შიკრიკო, დაღალულებარ! საიდგან მოისწრაფი?

**შკაპრე.** შორითგან, ხელმწიფეო, სამხეთიდგან.

**რუს.** ამბავი?

**შკაპრე.** თათარი შებშია ყაენს, დაუმარცხებია, ხორასანი,  
 სპარსეთი დაუპყრია, ყაენი ჯელალ-ედ-დინ 140,000  
 კაცით ჩვენკენ გამოქცეულა, არეზს გადმოსულა და  
 გარნისს ჩამომდგარა. ფეხ-და-ფეხ მას თათარი მოსდევს!

**რუს.** ეგ რა უბედურება მომხდარა!

ერთი სტუმართაგანი. დავილუბებით, თუ შემოგვესივნენ!

**მუარე დედოფლთაგანი.** გაბედონ ერთი! სულ თავზე კაკალს  
 დავამტვრევთ!

**ორტულიშ.** მე აქ არა ვარ! კუდით ქვას ვასროლინებ!!

(შემოდის შკაპრე)

**შკაპრე.** ხელმწიფეო, შალვა ახალციხელის იფრინდა გიან-  
 ლათ.

**რუს.** შემოვიდეს!

**იფრინდა.** (შემოდის) დიდო ხელმწიფეო, შალვა ახალციხელი  
 თავს გიკრავს!

**რუს.** მადლობელი ვარ!

**იფრ.** თავს გიკრავს და მოგახსენებს.

**რუს.** რას?

**იფრ.** მას, რომე დიდძალი მტერი კარს მოგვედგომია და სა-  
 ქართველოს აოხრებას ნატრულობს.

**რუს.** მერე ჩვენი ლაშქრისა არ ეშინიან?

**იფრ.** რომ მოდის განძინებულო, სჩანს, არ ეშინიან.

**რუს.** ვანანებთ კადნიერებას!

**ერთი დიდებ.** შევმუსრავეთ, შევეტქვავეთ!

**მეორე დიდებ.** ნაცრად ვაქცევთ.

**მესამე დიდებ.** აღვევით პირისაგან ქვეყანისა!

**ორტუღიშ.** გავანიავებთ და ქარტეხილს გავატანთ!

**იფრ.** შალვამ თუ: დახანება აღარ უნდაო, სწრაფათ ამირ-სპასალარი მოგვაშველეთო!

**რუს.** იფრინდაო, აწვე მიფრინდი და შალვას უთხარ, მოწინავე რაზმით შეაკავოს მტერი, ამირსპასალარიც მოვა სისწრაფით. ვსასოვებ, მტერს დავძლევთ. სამეფო საჯი ნიბედგან ყველაზე უკეთესი ცხენი გამოიყვანე და გაფრინდი, გადაიარე მთა და ველი და შალვას ჩვენი სიტყვა მიუტანე!

**იფრ.** იცოცხლენ, ხელმწიფეო! (თავს უკრავს და გადის).

**რუს.** ნუ მოიწყენთ, ძვირფასო სტუმრებო! იმხიარულეთ! საცა ივანე ათაბაგი მყაეს, მტერი რას დამაკლებს!

**ერთი სტუმართაგანი.** ხელმწიფეო, რახანია მამალმა იყივლა, დროა დავიშალნეთ! გვეკმარის ღვინი, აწ დავითხოვე!

**რუს.** ბქვენი ნებაა! (წამოიშლებიან ეგველანი და გადის ორტუღისშვილს კარდა).

**ჩვენება II**

ბრძოლის ველი გაჩნისის მდინარის ნაპირზე. მჩანს კარგები და ღაშქარი.

**ივანე ათაბაგი.** (თავის კარგის წინ დადის ჩაფიქრებით) დედოფალი შემომგებევწა, სირცხვილს ნუ გვაქმევო, დავითიანს უძლეველს დროშას იუ შეგვირცხვენო. ახირებული აღამიანია, თავხედი ძმასავით. აქ მოიმდურა მთავრები, იქ შემომიწყრალა შარვანშა და სულთანნი ხლათისა,

ქმრად დაისო ვილაც ორტულისშვილი და ახლა მე მე-  
 ხვეწება, დროშა არ შემირცხვინო. შერცხვენისს შე-  
 რცხვენისა ეშინიან! რათ ავიტკიებ უტკივარს თავს!  
 შალვა და მისი ძმა ივანე, ბოცო ბოცოს ძე, მემნა და  
 თორელნი უყვარდა და ახლა მათვე დაუცვან საქართვე-  
 ლო! როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო,—და მეც  
 მაშინ მომიგონეს, როდესაც გაუჭირდათ! ამირსპასალარი  
 ხარ და ლაშქარი შენ წაიყვანეო. აგერ მოვიყვანე, გარ-  
 ნა ფეხსაც არ გადავდგამ! მე ხომ არ დამამარცხებენ,  
 გაონავრებულს შალვას დამამარცხებენ, მე ხომ არ ამი-  
 კლებენ, საქართველოს ამიკლებენ. მტერს კიდევ გაუხარ-  
 დება, თუ გამოგუცხადე: გადვუდგები დედოფალს და მე  
 ჩემს სამფლობელოში მამთავრეო. მაგრამ ეს რა ხმაუ-  
 რობაა! (იხედება ბრძოლის ვეჯისკენ) ოჰო, შალვა შებშია  
 ჯვალა-ედ-დინს. პა-პა-პა! რა ცხარედ იბრძვიან თო-  
 რელნი! ღმერთო, რა ძლიერად იქნევს ხმალს ივანე  
 ახალციხელი! უყურეთ ერთი შალვას და! სწორედ ლო-  
 შია, ლომი! რა ლეწაა! რა ქრა-კაფვაა! ვაშა, ქართვე-  
 ლებო! ესენი სძლევენ! არა, ისინი იმარჯვებენ! აგერ  
 ვილაც გამოაქცია შალვამ. ალბად შევლას ითხოვს. ფეხს  
 არ მოვიცვლი!

(იფრინდა მონაბის დიდის სისწრაფით ივანესთან)

იფრინდა. ათაბაგო, ხომ ხედავთ რა ამბავია (უთითებს ბრძოლის  
 ვეჯისკენ), რა ცეცხლი ტრიალებს, რა წვიმა წვიმს!  
 შალვამ გთხოვათ, საჩქაროთ მოგვეშველეთო, დაყოვნე-  
 ბა აღარ იქნებაო, მტრის სიმრავლე გეძლევეს ერთ მუჭა  
 ქართველებსო.

ივ. ათაბ. გასწი, ახლავე-თქო!

იფრინდა. ვენაცვალე შენს მარჯვენას, ამირსპასალარო! (თავს  
 უკრავს და შიშის).

ივ. ათაბ. (ბრძოლის ვეჯისკენ ვეუკრება) ეგრე, ეგრე! იბრძო-  
 ლეთ! კათეთ! ჰყარეთ! სჭერით! იფრინდა კიდევ მივიდა.



დახე, როგორ გაფიცდნენ, ჩემმა დაპირებამ გაამხნევათ, უეჭველია. იბრძოლეთ, ძმებო! ესენი სძლევენ! არა, ისინი იმარჯვებენ! კიდევ იფრინდა მოდის! არ დაეძვრი! იფრინდა. (მოდის) ამირსპასალარო, ჩქარა, ვილუბებით!

იგ. ათაბ. გასწი, ახლავე-თქო!

იფრინდა. ვენაცვალე შენს მარჯვენას, ბატონო (შირბას უკანვე).

იგ. ათაბ. რა ომია, რა ომი! სწორედ დევებია ეს ქართველები, დევები! ერთობა რომ ჰქონდეთ (არა, რომ გვექონოდა! მეც ხომ გაქართველებული ვარ!) რა დაგვძლევდა! პა-პა-პა! რამდენი ჩამოყარეს, რამდენი გამანგლეს! ერთი ჩემი მოჩვენება და მტერი მთლათ დაილევებოდა! მაგრამ ამას არ ვიზამ, არა და არა! კიდევ იფრინდა მორბის! ვერა, ძმანებო, ვერა! მე ქურთის სისხლისა ვარ, ვერ მომატრუებთ!!

იფრინდა. (მოიჭრება) ამირსპასალარო, ნუ ღალატობ ქართველობას! თუ პირად თქვენ გეშინიათ ან უძლეური ბრძანდებით, ლაშქარი მაინც მოგვაშველეთ!

იგ. ათაბ. გასწი, ახლავე-თქო!

იფრინდა. თუ ახლავე არ მოგვეშველე, ვაჰ შენს ტყავს (შიტრიალდება და შირბის).

იგ. ათაბ. (წერხმით) კიდევ მემუქრება ლაწირაკი! ყურებზე ხახვი არ დამაქრათ! (ბრძოლასვე უუწყებს) განწირულების წამია! დაჰკათ, ქართველებო! დაჰკათ მაგ ურჯულოებს! ცე, წახდა საქმე! ივანე ახალციხელი კონცხებში შეივლტო! მტრები გამოუდგნენ! ვაჰ, ივანე წაიქცა, ქვით განტვინეს! აგერ დანაშთენი თორელნიც ძირს დაეცნენ! დედავ, რა უღმობელად ჰკაფვენ სპარსები! შალივასაც შემოეხვივნენ! დაღალულა, ველარ არღვევს მტრის გუნდს! ვაჰ, ხმალიც გადაუტყდა! შემოაჰკრეს, დაიქირეს! იქით მიათრევენ, აღბათ უნდა აწამონ! მე რაღას გავჩერებულვარ! დროა ავიბარგო, თორემ გაცოფებული მტერი მეც კარგს არას დამაყრის (მოუბრუნდება ლაშქარს

და უეიფლებს) სარდლებო და სპასპეტებო, აღიკაზმენით, დახანება აღარ შეიძლება, წავიდეთ, მე ბიჯნისს გადავალ და თქვენ ტფილისი გაამაგრეთ (დაიძვრის დაშქარი და ფეს აჩქარებით გამარბის ათაბაგის წინამძღვრებით).

### ჩვენება III

ბიჯნისის სასახლე ივანე ათაბაგისა.

ავაგ ავანეს მე ათაბაგა. მამა ჩემს უანგი გადაეკრა გულზე, ნალველი შემოაწვა და თან გადიუალთა (საუკუნო იყავნ ხსენება მისი!) ან როგორღა იცოცხლებდა! ბერდუჯზედ დამარცხებაც მას დააბრალებს! იქითგან რომ გამოიქცა, ბორბო განმზრახველებმა მის ცხენს უკანა ფეხების ძარღვები დააქრეს, კინალამ თათარს არ ჩაუვარდა ხელში. მარტო სასწაულმა გადაარჩინა იგი მაშინ! ეხლაც გარნისის მარცხი მოახვიეს კისერზე! ყველანი გაუკადნიერდნენ, ყველანი უკიჟინებდნენ მოლალოტე ხარო, თორელებისა და შალვას ცოდვა შენ მოგეკითხებაო! ამდენმა ვარამმა და ბოღმამ დააქკნო იგი, დაასუსტა, დააღონა; ბერადაც შესდგა, — თუ ცოდვები რამ მაქვს, მოვინანებო, მაგრამ არ ეშველა, წავიდა იქ, საიდგანაც არაფერ მოსულა! საუკუნოდ იყავნ ხსენება ჩემის კეთილის შობლისა! დავრჩი მე მარტოკა. სხვა ძე არა ჰყვანდა მას. დედოფალმა ამირსპასალარობა და ათაბაგობა მე დამიმტკიცა. ახლა ჩემი ყოფაც ფრიალ ძნელია და გახლართული! ჯელალ-ედ-დინი არბევს დვინს, ანისს, შანქორს, საცაა ტფილისსაც მოადგება! დედოფალი მეხვეწება ვიხსნა იგი განსაცდელისაგან. როგორ მერე? ძალი შეგვწევს?! უკეთესი ძალი ქართველებისა დაიღუბა ბერდუჯზედა და გარნისზედ, ვინც დაშთა, მათი უმეტესი ნაწილი თვის-თვისად წავიდნენ. მართალია, ამათი შემოგროვება სწრაფად შეიძლება, მართალია, ძალმიძს მტერს

წინ დავუყენო 60,000 მდე მეომარი, გარნა ჰხამს ასრე მოვიქცე! მაგონდებიან ნეტარ-ხსენებულის მამი ჩემის სიტყვები: შვილო, ბიჯნისს ნუ გასცილდებიო; თუ მოსეულს მტერს მოყვრულად მოექეცი და ხელი შეუწყეო, იცოდე, ბედი გეწევიაო! ახლა, არ ვიცი, რომელ ერთს ვულალატო, საქართველოს დროშას თუ მამიჩემის ანდერძს! ღალატი, რაფერიც უნდა იყოს, ცოდვაა, გარნა მამის ანდერძის დარღვევა მისი სულის შეწუხება იქნება. მაშ რა ვქნა?! არ ვულალატებ არც ერთს! ვეცდები ჯელალ-ედ-დინი და დედოფალი შევარიგო! თვით ჯელალ-ედ-დინი ითხოვს, გავიდე ბიჯნისის ხრამის პირს და მოველაპარაკო აწინდელ ვითარების შესახებ. მაშ წავალ (შიდის).

#### ჩვენება IV

ბიჯნისის ხრამი. აქეთ ნაზირას დგას ავაგ ათაბაგის ძე და იქით ნაზირას ჭელალ-ედ-დინი.

ჭელალ. ავაგ, საქართველოში პირველი კაცი დღეს შენ ჰყევხარ დედოფალს და მაკვირვებს თქვენი შორს განუქვრეტელობა?!

ავაგ. როგორ, არ მესმის?

ჭელალ. დღეს ქართველსა და სპარსს ერთი მტერი გვყავს, ერთი მტერი გვაწუხებს. მე, პატრონი სპარსეთისა, ადარბადგანისა და ხვარასნისა, მფლობი არეზიდამ ჯიონამდე, თათარმა უკვე შემმუსრა. იგი ახლა საქართველოზე იღესავს კბილებს, და თქვენ კი მე მებრძვით! განა თქვენთან საბრძოლველად მოვედი, რომ თქვენ ჩემ წინააღმდეგ ამხედრდით! ტყუილად მებრძვით! მე მინდა ზავ ვყო თქვენთან. ვიცი ქართველთ გულმაგრობა, ლომგულად ბრძოლა. ვიფიქრე, წავალ და მათ შევუერთდები, მათს დედოფალს ცოლად შევიერთავ და თათარს

დიდძალ ლაშქარს თავს დავასხამ და შევემუსრაფო. ის კი არა, თქვენ მომესიენით და უბრალოდ სისხლი დასთხივთ. ახლა ჩემი თხოვნა ეს არის: თუ მშვიდობა გინდათ და თათარზე გამარჯვება, თქვენი დედოფალი მე მომთხოვდეს და მე გამამეფოს, თუ არა და თქვენს სამშობლოში ქვას ქვაზედ აღარ გავუშვებ. ესეა ჩემი მტკიცე გარდაწყვეტილება.

**აგაგ.** თქვენს გარდაწყვეტილებას, დიდო ყაენო, ახლავე შევატყობინებ ჩემს დედოფალსა და მეფეს, და ეს კი იცოდე, ხვარაზმშას შეილო, რომ არც ცხონებული მამაჩემი ყოფილა თქვენი წინააღმდეგი და არც მე ვარ დღეს. მამაჩემს მკლავიც არ გაუნძრევია გარნისის ომში და არც მე ვაპირებ ბრძოლას, თუ დედოფალმა თქვენი თხოვნა შორს დაიჭირა.

**ჯელაღ.** იმედი მაქვს, რომ შენ ვერე მოიქცევი, ათაბაგო, თუ გსურს უფრო სახელოვანი მთავარი შეიქმნე. აწ მშვიდობით! პასუხი სწრაფად შემატყობინე!

**აგაგ.** მზათ ვარ გემსახურო, დიდო ყაენო! (მადი-მოდახ).

## ჩვენება V

ბაჯნისი. იგაჟე სსახლე აგაგისა. დარბაზში მარტო აგაგია.

**აგაგ.** ეს არის, ეხლა მივიღე წერილი დედოფლისაგან. რასა მწერს, ჯერ არ ვიცი (ხსნის წერილს და ჭკითხულობს):

„ნებითა ღუთისათა, რუსუდანისაგან ბაგრატიონიანისა, მეფისა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შანშა და შარვანშა, მფლობით მპყრობელისაგან ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ათაბაგსა და ამირსპასალარსა ავავს. შენ მიერ წარმოგზავნილი წიგნი წარვიკითხე, განვცვიფრდი და განვეკირდი! კადნიერება ჯელაღისა უმაღლეს არს თავხედობისა მისისა, შემოთვლილობამან მისმან დაავალნა ყურნი ჩემნი. მაკვირვებს

ქცევაცა შენი! არ გსმენია განა, რომე ქმრადა მყავს მე  
 დიდებული და ვაშაკაცი ორტულისშვილი, რომელსაც  
 ფრიად ჰშენის გვირგვინი დავითიანი. ვით გაბედე ეგ-  
 რეთი კანდიერება, რომე თავხედის კაცის მოგონილი  
 თხოვნა მაუწყე! გიბრძანებ ყოვლისა საქართველოს დე-  
 ლოფალი ახლავე აღმართო დროშა ჩვენი მძლეველი და  
 ჯელალ-ედ-დინს აწყევლინო გაჩენის დღე. ბოცო და  
 მემნა ბოცოს ძენი შენი მშველელნი არიან.

რუსუდან.“

(წერილს მაგიდაზედ სდებს და მერე) რიხიანი წიგნია! მეც  
 მიწყრება და ჯელალ-ედ-დინსაც არაფრად აგდებს! ამის  
 შემდეგ საქართველო რომ დაიღუბოს, მე ვერავინ და-  
 მემღურება! ხომ ვცდილობდი მშვიდობით გამეთავებინა  
 საქმე! ამ წერილს ახლავე ჯელალ-ედ-დინს გაუფგზავნი  
 და მე კი ჩემს ბიჯნისს არ მოვშორდები. რაც მოხდე-  
 ბა, მოხდეს და აღსრულდეს ნება უფლისა (გაგაფს წე-  
 რადს და გადის).

(შემდეგი იქნება)

*[Faint, mostly illegible handwritten text, likely bleed-through from the reverse side of the page. Some words like 'წერილი' and 'გადის' are partially visible.]*

მნ ძეგლს ადრინდეს ნათობ, ამდგ ამდგანდ რა ანიუნს ჟეფელს  
 კასტუნობს, ჟეფელსაოუტობობ, იკეტნე, ჟე, იფუნდრედ  
 -გნ ჟეფელს, დიგ, იმპირიგაჟ იმპირიგინდგ მამდგან ფარტ  
 იფინიგინტონ, მისეს, მათეძეცია, ნობობ, ანტრინიშეჟა, დიგ  
 -გუ მათეძეციათს, მათეძეციათს, მათეძეციათს, მათეძეციათს, მათეძეციათს

# ანტონი I

## კათალიკოს-პატრიარქი საქართველოსი

(თ. ჟორდანიასი \*).

ანტონის რომ კათალიკოსობას აძლევენდენ სამიტროპო-  
 ლიტო ქალაქ ქუთაისში, მაშინ ქუთაისი თურქებისა და გი-  
 ორგი მეფის ხელში იყო. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ  
 უკეთუ კათალიკოსი ტფილისში დარჩებოდა, აქ ის იქნებოდა  
 საკუთარს ოჯახში, მახლობელ ნათესავებში და ექნებოდა  
 მფარველობა ნათესავის მეფის და ბიძისშვილის დედოფლისა-  
 გან. ერთის სიტყვით, ანტონის უარის თქმა მართალია და  
 ამისათვის „ქართლის ცხოვრებას“ უნდა დავუჯეროთ, რადგან  
 იქ სწერია, რომ კათალიკოსობაზე ანტონისგან უარის თქმის  
 მიზეზი მისი სიმშვიდე და სიბრძნე იყოვეო. ახალგაზდა 22  
 წლის მიტროპოლიტი, რასაკვირველია, უღირსად ჩასთვლიდა  
 თავის თავს კათალიკოსის კათედრის მიღებაზედ შემდეგ მსკო-  
 ვანის კათალიკოსისა და არც მომზადებული იყო მიეღო მძი-  
 მე ტვირთი—მმართველ-გამგეობა ივერიის ეკლესიისა.

დაბრუნდა თუ არა ანტონი ამის შემდეგ იმერეთში, თუ  
 დარჩა აღმოსავლეთ საქართველოში 1742—1744 წლამდე,  
 როდესაც მას მისცეს კათალიკოსობა? ზოგიერთებს ჰგონიათ  
 დაბრუნდომ<sup>1</sup>). ანტონი იმავე 1742 წ. არ დაბრუნებულა  
 იმერეთში. როგორც ვიცით, ანტონის ქართლში მოსვლამ

\*) იხ. „მთაწაური“ №№ 6 და 7.

1) „ივერია“ 1879 წ. № 9, 47 გვ.

ჯამოიწვია ალექსანდრე მეფის გაძევება იმერეთიდან და ქუთაისის აღება მტრებისაგან. მაგრამ 1741 წ. ალექსანდრეს საქმე გამობრუნდა. შაჰ-ნადირმა თეიმურაზის შუამდგომლობით მიიღო მეფე ალექსანდრე, გააგდო გიორგი მეფე და ვაამეფა იგი იქ. ამ დროიდან ის აღარ მოსცილებია ტახტს სიკვდილამდე 1751 წ. <sup>2)</sup>). აქედამ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეფის-მიერ ტახტის დაბრუნების შემდეგ, ანტონმა მიიღო თვისი კათედრა. ანტონი ამდენს ხანს არ მიატოვებდა სამწყსოს და არც იმერეთის სამღვდელეობა იზამდა ამას. ტფილისის ძველთ-საცავეის ერთს ხელთ-ნაწერში სწერია: „ანტონმა დასტოვა რა სამწყსო და ეკლესია თვისი 5 იანვარს 1743 წ., იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოში დაბინავდაო“, რომელიც შორავს ტფილისს 60 ვერსზედ <sup>3)</sup>). რა მიზეზი იყო ანტონის-მიერ მიტროპოლიტობის დატოვებისა, ამას მოგვითხრობს მისი ბიოგრაფი ტიმოთე. იგი ამბობს: „ანტონის სული სწუხდა სამღვდლო ხარისხის მიღების გამო, რადგან იგი მიისწრაფვოდა მყუდროებისა და კეთილ-მსახურების დეაწლისადმი; ამისათვის მან დასტოვა თვისი ხარისხის ტახტი და მიიქცა დავით გარესჯის უდაბნოში; უარ-ჰყო აგრეთვე მისი ზიძის დომენტი III ნაანდერძევი კათალიკოსობა და რადგან მან დასტოვა სოფელი, ეძებდა ნაცვლად დიდებისა სიგლახაკესა; მწყემსი თვისის ნებით გარდაიქცა მონად და მორჩილად იოანნე ნათლის-მცემლის უდაბნოსიო“ <sup>4)</sup>).

<sup>2)</sup> „ქართლის ცხოვრების“ (II, 257) სიტყვით გიორგი კარდაიცავდა 1752 წელს, მაგრამ ერთს ხელთ-ნაწერში 1751 წ. ნახვენები.

<sup>3)</sup> კატალოგი სეკ. მუზეის წიგნთ-საცავეის № 123.

<sup>4)</sup> 1742 წ. კარდაიცავდა აფხაზეთის კათალიკოსი გრიგოლი და კათედრა დაიკავა გერმანემ. იქნება ამ ცუდილებამ მოახდინა კაჟღენა ანტონზედ (ქართ. ცხ. II, 256).

1744 წ. ანტონი იყო კახეთში დედოფლის თამარის სასახლეში და არა მონასტერში. ამის მიზეზი იყო 1644 წელს მომხდარი ამბავი. ამ წელში, ივლისის თვეში, შაჰ-ნადირმა უბოძა მეფე თეიმურაზ II ქართლის ტახტი <sup>5)</sup>, რომელიც ეკუთვნოდა ვახტანგის მემკვიდრეებს და რომელზედაც ვახტანგის და მისი ძმის იესეს სიკვდილის შემდეგ არ მჯდარა ამ დრომდის არც ერთი საზოგადოდ აღიარებული კანონიერი მეფე. მეფე ემზადებოდა დიდის ამბით ტახტზედ აბრძანებასა. ეს წელი იმითაც იყო შესანიშნავი, რომ შაჰის ბრძანებით კახეთი მიეცა სამეფოდ ირაკლი II და ამ ნაირად საუკუნოებით დაცილებულნი ორი სამეფო შეერთდნენ მამისა და შვილის მმართველობის ქვეშე 1744 წელსა. მაშასადამე, ეს წელიწადი ორ-ნაირად სასიხარულო და საგანგებო უნდა ყოფილიყო. ანტონმა ალბად თვითონ მოიწადინა მონაწილეობის მიღება ამ საერო სიხარულში და ან შეიძლება დედოფალმა თამარმა თვითონ მოიწოდა იგი <sup>6)</sup>.

როდესაც ანტონი სცხოვრებდა თელავში, დედოფლის სასახლეში, ტფილისში ამ დროს შემთხვევით ვიღაც ბოროტგამზრახველმა ხანჯლით მოჰკლა კათალიკოსი ნიკოლოზი <sup>7)</sup>. ამის გამო მეფენი და ერნი დიდს მწუხარებას მიეცნენ. ეს მოხდა 1 აგვისტოს 1744 წ. <sup>8)</sup> დაიცალა ხელმეორედ კათალიკოსის კათედრა. აღიძრა კიდევ კითხვა შესახებ კათალიკოსის დაყენებისა.

<sup>5)</sup> „წუ. სიტყვაობა“.

<sup>6)</sup> იქვე, გვ. 272. ნ. იოსელიანის „წეობილ სიტყვაობის“ წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ანტონი გამოიწვიეს იმერეთიდან კათალიკოსის ნაკლდობის სიკვდილის შემდეგ („წუობ. სიტ.“ გვ. VII).

<sup>7)</sup> იქვე.

<sup>8)</sup> იხ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთ-საცავის ხელთ-ნაწერი № 1.



დედოფალი თამარი ქმრის მოწოდებით გადავიდა სამუდამოდ ქართლის სატახტო ქალაქში დიდის ამბით, სამღვდლოების თანადასწრებით და ავიდა თვისი მამის ვახტანგის ტახტზედ<sup>8)</sup>).

თელავიდან დედოფალს ახლდა სხვათა შორის ანტონიცა. დაიწყო დღესასწაული<sup>9)</sup>).

თვითონ მეფე თეიმურაზი ტფილისს ჯერ კიდევ არ მისულიყო და დმანისის ციხიდან მოიწერა ასე: „ანტონი, ქუთაისის ეპისკოპოსად ყოფილი, აღყვანილ იქმნას კათალიკოსის ხარისხზედაო“. რადგან საერო დღესასწაულისა გამო ყველა წარჩინებული სამღვდლოება ქართლისა და კახეთისა ტფილისში იყო, ამისათვის კრების მოხდენა აღარ იყო საჭირო. სამღვდლოებამ, რომელიც შესდგებოდა ეპისკოპოსთაგან, ჰქმნეს ყრილობა და შეუდგნენ მსჯელობას. ყველას ყურადღება, როგორც 1742 წ., მიქცეული იყო ანტონზე, რომელიც ერთხმად ამოირჩიეს კათალიკოსად. ანტონმა ახლაც უარი განაცხადა კათალიკოსობის მიღებაზედ, მაგრამ დედოფალმა და კრებამ სთხოვეს მას დასთანხმებულყო მეფისა და სამღვდლოების თხოვნაზედ. ანტონი კრძალულებით დასთანხმდა ივერიის ეკლესიის კათალიკოსობაზედ. ეს მოხდა დედოფლის სასახლეში აგვისტოს თვის 1744 წელსა.

იწყეს დიდის ამბით ანტონის კათალიკოსობის ხარისხზედ აღყვანა. ხელ-წერილი ჩამოართვეს ანტონს და მოიტანეს მეფის სასახლეში, მოიტანეს საპატრიარქო თეიორი ბარტყულა ჯვრით და სერაფიმებით მორთული, კვერთხი და მანტია პატრიარქისა. მეფის მხლებლებით, სამღვდლოებისა და ურიცხვი ხალხის თანადასწრებით პატრიარქი სამეფო სასახლიდან შებრძანდა საპატრიარქო სასახლეში. ეპისკოპოსნი უგალობდნენ ფსალმუნებს, მთავარ-ღიაკვნები შემოსილნი

8) იქვე.

9) იქვე.

უკმევდნენ წინ და უკან. აქვე ბრძანდებოდა ახალგაზრდა მეფე—გმირი ირაკლი II, პატარა კახი, ამალითურთ. ანტონი აღყვანილ იქმნა პატრიარქ-კათალიკოსის ტახტზედ <sup>10)</sup>, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ხელ-დასხმულ იქმნა ძველს სატახტო ქალაქ მცხეთის ცხოველ-მყოფელის ჯვრის საკრებულო ტაძარში <sup>11)</sup>.

ამის შემდეგ (1744 წ.) ანტონი იქმნა დამტკიცებული ამ ხარისხზედ სპარსეთის შაჰის ნადირისაგან, რომლის მფარველობის ქვეშე იმყოფებოდა იმ დროს აღმოსავლეთის საქართველო. შაჰის სიგელში სხვათა შორის იყო ნათქვამი, რომ „უწყებულ ვიყავ ყოფად სამღვდელოს აღრჩევაში საზოგადო კრებისა მიერ მისის უმაღლესობის (მეფის თეიმურაზ II) ძმის წულისა, რომლის, როგორც ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატების მცოდნე, პირველობაში დამყარებული არიან ყველა და შუამდგომლობენ, ამისათვის იგი (შაჰი) უნიშნავს მას ჯჯმაგირს 1000 თუმანს (ე. ი. 10,000 მანეთს) და წინა დაუდებს ახლად არჩეულს ღირსეულად მწყსოს სამწყსო, როგორც ამას მოითხოვენ წესი და ჩვეულებანიო“ <sup>12)</sup>. ამასვე ამტკიცებენ იმის შემდეგ მყოფნი შაჰნი, მაგალითად, შაჰ ისმაელ 1747 წ. <sup>13)</sup>, შაჰ იბრაჰიმი 1748 წ., რომელმაც გამოუგზავნა კათალიკოსს ერთი ხელი შესამოსი <sup>14)</sup> და რო-

<sup>10)</sup> იქვე.

<sup>11)</sup> ქართ. ცხ., II 372, ბ. იასკელანის („წე. სიტ.“, გვ. VII), ბროსეს (Nistoria de la georgia Brosset 628; Adifiou IX) და ჩუბინაშვილის (ქართული ქრისტიანობა 1846 წ. გვ. VII) შეცდომით ჰგვანიათ ანტონის მიერ კათალიკოსობის მიღება 1746 წ. ანუ 1747 წ.

<sup>12)</sup> ქართული საეკლესიო გუჯრები, გვ. 14. Описание древ. г. Тифлиса, გვ. 223—224.

<sup>13)</sup> იქვე, გვ. 222—223.

<sup>14)</sup> იქვე, გვ. 224.

მელმაც ბრძანა რომ ქართველს მეფეებს „არაფითარი ნება არ ჰქონდეთ საეკლესიო ქონებათა საქმეში გარევისაო“<sup>15)</sup>.

### III

ანტონიმ მიიღო კათალიკოსობა მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთი შეერთდა ორ მეფეთა — თეიმურაზ და ირაკლი II დროს. მათი მეფობის დროს აღმოსავლეთი საქართველო წარმატების გზას დაადგა. ორთავე მეფენი სკდილობდნენ ყველგან და ყველაფერში ახალი ცვლილებანი შეეტანათ, დაემყარებიათ ევროპიული წეს-რიგი ყველაფერში; ამ დროს დაწესდა უფრო მტკიცე კავშირი მეფეთა და მათ ქვეშევრდომთა შორის. შემოიღეს სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის წყაროები და, უკანასკნელ, სკდილობდნენ დაცემული განათლება კვლავ აღედგინათ საქართველოში.

ამ დროს სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებოდა ეკლესია და თავი და თავი საზრუნავი ანტონისა იყო მისი აღდგენა. მე-XV საუკუნეში, როდესაც საქართველოს მუდმივი ომი ჰქონდა გამართული მუსულმანობასთან სარწმუნოებისა და თავის თავის დასაცველად, საქართველოს ეკლესია საშინელს განსაცდელში იყო ჩავარდნილი. საქართველოს მესამედი ნაწილი — სამცხე-საათაბაგო, ბათუმისა და ყარსის თემნი თურქებისაგან ფყო დევნილი სტამბოლის აღების შემდეგ; ისინი ამ დროს ეომებოდნენ ქართველებს მაჰმადიანობის გავრცელებისათვის მათში და ამისათვის ქრისტიანობა ოდნავდა ბუუტავდა იქ. დანარჩენ საქართველოში სარწმუნოება თუმცა შეურყვევლი იყო, მაგრამ ამასთანავე აღარ არსებობდა ის, რაც შეადგენს ქრისტეს ეკლესიის ქვემარტს ბრწყინვალებას და სიღიადეს: დაეცა ქრისტიანული განათლება, დაიკეტა შკოლები, მონასტრები ნახევრად გაოხრდნენ; საბერძნეთი,

<sup>15)</sup> იქვე, გვ. 227—228.

ეს განათლების აკენი, მოსწყდა საქართველოს. საქართველო წარმოადგენდა ერთს პატარა კუნძულს, რომელიც ყოველის მხრით იყო გარ-შემოზღუდული ბარბაროსებისაგან და უნდა-დათ გაექროთ ქრისტიანობის ლამპარი ამ ერთ მუქა ქრისტიანეთა შორის. ამ დროს ქართველი სამღვდლოება და ერი ბნელით იყვნენ გარეოცულები. ევროპაში კი ამ დროს სასულიერო განათლებამ კვლავ სკოლასტიკური და მისტიკური მიმართულება მიიღო და XVI საუკუნიდან შეეხო სხვა-და-სხვა საღვთის-მეტყველო საკითხებსა, შექმნა მრავალი სკოლები და სისტემები. საქართველო მოკლებული იყო ყველა ამეებსა. მან მიიღო უწინდებური ბიზანტიის საღვთის-მეტყველო სკოლები XI—XII საუკუნოებისა, მაგრამ აქაც საკმაოდ მოსწყდა XI—XIII საუკ. საღვთის-მეტყველო ბრწყინვალე განათლების ეპოქას. წიგნის ბეჭდვამ, რომელიც შემოვიდა ევროპაში და ძლიერ ჩქარა გავრცელდა, საქართველოში მხოლოდ XVII საუკუნეში იჩინა თავი.

საქართველოში მხოლოდ XVII საუკუნეში შემოანათა ევროპის განათლებამ. პირველად განათლების სხივი შემოიტანეს საქართველოში კათოლიკების მისიონერებმა, რომელთაც გააცნეს ქართველები სკოლასტიკურ მიმართულებას და მრავალნიც გადაიყვანეს ლათინთა სარწმუნოებაზედ. XVIII საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც პეტრე დიდის დროს რუსეთმა გაიწია დარეზბანდამდის, საქართველოს მეფეები უახლოვდებიან რუსეთის სახელმწიფოს და მასთან ერთად იღებენ ევროპიულ განათლების ახალ-ახალ წეს-რიგსა. აქედამ იწყება ვახტანგ VI დაახლოვება რუსეთთან. ამ დროს დაარსდა პირველი სტამბა საქართველოში, გამოიცა სახელმწიფო კანონები, თავი იჩინა მრავალმა სკოლასტიკურმა თხზულებებმა, სასულიერო და საერო წოდება მფარველობას ღებულობს რუსეთის მთავრობისაგან და სხ. მაგრამ საუბედუროდ ვახტანგი იძულებული ხდება რუსეთში გადავიდეს (1724 წ.). საქართველო კი იწყება ამ დროს თათრებისაგან (1723—1744

წ.), სპარსელებისაგან და ლეკებისაგან, რომელთაც იმდენი უბედურება მიაყენეს ქართველებს, რომლისთანაც არასოდეს არ უნახავსთ, ლანგ-თემურისა და ჩინგის-ხანის შემოსევის დროსაც კი; ამ დროს შეიქმნა განხეთქილება ძმათა შორის: ამილახვართა, ერისთავთა (ქსნისა და არაგვისა) და ბარათა-შვილებს შორის. ამათი ამბოხების დროს მოხდა მისთანა ამბები, რომელთ აწერაც კი ძნელია. მრავალი ეპარქიები დაიკეტა და ეპისკოპოსები გაიქცნენ რუსეთში; სტამბაში (დაარსებული ვახტანგის მიერ 1723 წ.) წიგნები აღარ იბეჭდებოდა, გაძარცვულ-გალარიბებული მონასტრები გაუქმდნენ. ეკკლესიასაც ელ-ფერი ეცვალა; ეკკლესიური ბოროტ-მოქმედებანი გავრცელდნენ, ღვთის-მსახურება შეირყა, საეკკლესიო წესი შესუსტდა. საჭირო იყო ბევრი დრო, სწავლა და შრომა, შრომა დაუღალავი, მოქმედება ჭკვიანური, რომ ივერიის ეკკლესიის წყლული გამთელებულიყო და მისცემოდა წინანდებური სხივი და გავლენა ერზედ. საჭირო იყო სასულიერო განათლების აღდგენა. სომხეთის ეკლესიამ, რომელიც გამდიდრდა მე-XVIII საუკუნეში მიხიტარისტების ნაღვაწით, წინააღმდეგობა გაუწია საქართველოს ეკლესიას და კათალიკოსის ლაზარეს შეთაურობით, რომელიც თანამედროვე იყო ანტონი I, ავრცელებდა მწვალებლობითი სწავლასა, რადგან სურდა ქართველებისათვის მიეღებინებია მონოფიზიტის მწვალებლობა. საჭირო იყო აქაც ღვთისმეტყველებით აღჭურვა.

ამისთანა რთული საქმის შესრულება უნდა ეკისრნა ანტონსა. მან კიდევ აასრულა ეს. კათალიკოსობის მიღების შემდეგ მან გამოიჩინა დაუღალავი შრომა; სიკვდილის შემდეგ (1744—1788 წ.) მან დასტოვა ეკლესია ყოველისფრით საესე და უნაკლულო; თვისის მაგალითით და შრომით ის აქეზებდა თანამედროვე საზოგადოებას განათლებისადმი სიყვარულსა და ევროპიული იდეების შეთვისებაზედ, მან შეიტანა წესი საეკლესიო ადმინისტრაციაში, მიაქცია ყურადღება საზოგადოებისა და სამღვდლოების ზნეობას, ღვთის-მსახურება

შეაშვენა; ხელ-მეორედ გამართა სტამბა; დააარსა საეპარქიო სკოლები და ორი სასულიერო სემინარია (ტფილისში და თელავში) ახალის ორგანიზაციით და პროგრამით; საეკლესიო ქონებანი უზრუნველ ჰყო ბოროტ-მოქმედებისაგან; დააწესა საეკლესიო სამსჯავრო; შექმნა დიკასტერია და, უკანასკნელ, საკუთარის შრომით და გარეშე პირთა დახმარებით შექმნა ახალი საეკლესიო ქართული მწერლობა, საკუთარი და გადმოღებული, აღზარდა მთელი გუნდი განათლებულ იერარქთა და სიკვდილის შემდეგ დასტოვა ივერიის ეკლესია მზად ევროპაში XVII—XVIII საუკუნეებში გავრცელებულის მდიდარი საეკლესიო მწერლობის მისაღებად, ხოლო ერი წარმატებისა და წინმსვლელობის გზაზედ. უკანასკნელ, კათალიკოსმა თვისის შრომით და გავლენით ხელი შეუწყო საქართველოს რუსეთთან დაახლოვების საქმეს, როგორც საეკლესიოს, ისე პოლიტიკურს, რადგან გაუთანასწორა საქართველოს ეკლესია რუსეთისას, საეკლესიო-საღვთის-მსახურო და ადმინისტრატიულის წესების დამყარებით მასში; მან მოამზადა ნიადაგი მათის შეერთებისა და განახარციელა თვისი აზრი საქართველოს ეკლესიის რუსეთისასთან დამორჩილებით 1783 წლის ხელ-შეკრულობის ძალით.

ანტონის ყოველთ უწინარეს უნდოდა დაეჭირა მტკიცე და შეურყეველი კავშირი მეფეებთან, რომ უფრო ძალა ჰქონოდა მის განკარგულებათ სასულიერო უწყებაში.

საეკლესიო ერთობას ძლიერ ხელს უშლიდა საქართველოს სამეფოებად, სამთავროებად და საერისთავოებად დანაწილება, იმისათვის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვა და სხვა მმართველნი ეძებდნენ აგრეთვე ეკლესიურ დამოუკიდებლობასაცა და თუ აშკარად არ ხმარობდნენ ძალასა, მაინც ყოველს შემთხვევაში ეწინააღმდეგებოდნენ უმაღლესს სასულიერო მთავრობას, როდესაც უკანასკნელი, ეკლესიური წესიერების დასამყარებლად, ხმარობდა სასტიკ ზომებს (სჯიდა). ეს კიდევ არაფერი. უწინდელს დროში გაძლიერდ-

ნენ ზოგიერთი მთავრები! ისინი ცალ-ცალკე ანუ ერთად დაუწყებდნენ ხოლმე ბრძოლას მეფეს და როდესაც გაჩნდებოდა მეტოქე ტახტისა, იგდებდნენ ხელში ძალას და ხან ერთს აძლევდნენ მეფობას და ხან მეორეს, იმის-და-მიხედვით, თუ ვინ უფრო ბევრს მამულს და გლეხებს შესძენდა. აქედან ყველასათვის აღვილი გასაგებია თუ რამდენად აზარალებდა ეკკლესიას ამისთანა გაძლიერებულ მთავრების წინააღმდეგობა მეფეებთან: ამითი თან და თან ეკლესიური დისციპლინა და უმაღლესი სასულიერო მთავრობაც სუსტდებოდნენ.

სასულიერო წოდება, მთავრების მამულში მცხოვრებნი, ყოველთვის სცდილობდა მათის ინტერესების დაცვასა. როდესაც კახეთი ქართლს დასცილდა, მცხეთის კათალიკოსის ძალაც დაეცა კახეთის ეპარქიებში; მათში გაძლიერდა ალავერდის ეპისკოპოზი, რომელმაც თან-და-თან დაიმორჩილა ყველა კახეთის ეპისკოპოზები, და რომელიც მმართვედა კახეთის ეკკლესიებს თითქმის მცხეთის კათალიკოსის დამოუკიდებლად. XVIII საუკუნის გასულს ალავერდელ ეპისკოპოზებმა მიტრის ნაცვლად გვირგვინი დაიდგეს თავზე კათალიკოსის ნება-დაურთველად. ერთის სიტყვით, არ ყოფილა ნამდვილი ერთობა საეკკლესიო მმართვე-გამგეობაში და ერთიც არავინ იყო უფროსი.

უმაღლესი სასულიერო მთავრობის გასაძლიერებლად და კათალიკოსობის ხარისხის აღსადგენად ანტონმა საუმჯობესოდ დაინახა მეფეს დაკავშირებოდა; მას უნდოდა საეკკლესიო საქმეები სახელმწიფოსთან დაეკავშირებინა; ჯერ ის უნდა ცდილიყო არეულობის დროს დაცემული სამეფოს ძალის აღდგენას, რომლის კეთილ-დღეობა ეკკლესიის კეთილ-დღეობაა.

თუმცა აღმოსავლეთის საქართველოს მართავდნენ მეფეები თეიმურაზ II და ირაკლი II, მაგრამ, მიუხედავად მათის გაძლიერებისა, ყველგან მაინც არ ყოფილან ისინი აღიარებულინი მეფეებად. ქსნის და არაგვის ერისთავნი, რომელთაც მოიპოვეს დამოუკიდებლობა, და განსაკუთრებით ამილახვრე-

ბი, რომელთაც ჩაიგდეს ხელში ქართლის ერთი ადგილი, მტრულად უყურებდნენ თეიმურაზ II, რადგან მან დაიჭირა ვახტანგ VI მემკვიდრეების ტახტი. მათ სურდათ ვახტანგის მემკვიდრეებისთვის დაებრუნებიათ ტახტი და ამისათვის სასტიკს წინააღმდეგობას უწევდნენ თეიმურაზ II. ისინი უწოდებდნენ თავიანთ თავს ქართველ მეფეების მოადგილედ<sup>16)</sup>. ეს კიდევ არაფერი. ანტონ კათალიკოსის ძმა, აბდულ-ბეგი, რომელმაც ორი წელიწადი იმეფა, სთვლიდა თვის თავს კანონიერს მემკვიდრედ ტახტისა და ამისათვის მან აუჯანყა მეფეს ბორჩალოელნი და გაძლიერებული მთავრები ბარათაშვილები<sup>17)</sup>.

თეიმურაზ II გასაძლიერებლად და შეამბოხეთა დასამშვიდებლად ანტონმა დაადგა გვირგვინი მეფეს და სცხო მირონი შუბლზედ<sup>18)</sup>. მეფის დაგვირგვინების წესი ანტონმა დიდის ამბით გადაიხადა. კურთხევის დროს დაესწრო მთელი ქართველი სამღვდლოება და ერი. დღე იყო ამორჩეული განგებ 1 ოქტომბერი, როდესაც ყოველის კუთხიდან თავს იყრის ხალხი მცხეთის კვართის დღესასწაულზედ (იხ. სინოდის კანტორის გუჯრები № 230). საქართველოში, როგორც მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, დიდი ხანი იყო არ ენახათ სამეფო ტახტზე ცხებული მეფენი<sup>19)</sup> და თვითონ წესიც კურთხევისა, როგორც სჩანდა, დავიწყებული და დაკარგული იყო. ანტონმა მოსძებნა და ხელ-ახლა გამოსცა

<sup>16)</sup> ქათ. ცხ. II, 375; 336, 340. Переписка грузинских царей съ Россійскимъ государствомъ 203—205; 298—299, 206.

<sup>17)</sup> იქვე, გვ. 374—376; წკენი Собрание историческихъ матеріаловъ, გვ. 258.

<sup>18)</sup> იქვე, გვ. 383—386.

<sup>19)</sup> იქვე, გვ. 382.



მეფის კურთხევის წესი <sup>20</sup>). ორი დღე ამზადა კათალიკოსმა სამღვდლოება ამ წესის შესასრულებლად <sup>21</sup>). ასე დიდებულად მეფის დაგვირგვინებამ დიდი გავლენა იქონია ქართველებზედ. „ყველანი აქებდნენ უფალსა, ამბობს „ქართლის ცხოვრება“, რომელმან მოუვლინა მხსნელი აგარიანებისაგან.“

ამავე მიზნით ანტონს უნდოდა დაემორჩილებინა მეფის წინაშე თვისი სიმამრი, გივი ამილახვარი, და ერისთავნი ბრძნულის რჩევით და დარიგებით. უფრო დიდს გულს-მოდგინებით სურდა მას შეერიგებინა მეფესთან თვისი უფროსი ძმა, უკანონო შვილი მეფე იესესი, აბდულ-ბეგი \*). ამისათვის მან მოინდომა ნათესავური კავშირის ჩამოგდება მათ შორის. დედოფლის თამარის გარდაცვალების შემდეგ <sup>22</sup>) მეფეს შერთო ცოლად აბდულ-ბეგის ნათესავი ანნა-ხანუმი თვისის თანადასწრებითა <sup>23</sup>). შემდეგ ანტონმა აბდულ-ბეგი ირაკლი II დაზედ დააქორწილა (Brossef, H. q. 1. g. Addition, IX, p. 628). ამ დროიდან აბდულ-ბეგი ისე დაუახლოვდა მეფეს, რომ როდესაც იგი წავიდა სპარსეთში შაჰისტან 1747 წ., ქართლის სამეფო დროებით მას ჩააბარა, ისე ნდობა მოიპოვა მასთან აბდულ-ბეგმა <sup>24</sup>). აბდულ-ბეგმა მაინც, როდესაც გაავრცელეს ტფილისში ცრუ ხმები შესახებ თეიმურაზ II გარდაცვალებისა სპარსეთში, აუჯანყა კახეთის მეფე ირაკლი II-ს სპარსეთის შაჰი და

<sup>20</sup>) იქვე, 383. ძველი წესი შეუკეთა კურთხევისა და ტახტისა დატყუიან. „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიში ერთი ხელთ ნაწერია ამაზედ.

<sup>21</sup>) ქართ. ცხ. II, 383—386.

\*) მას ჰქვიათ კიდევ გიორგი (Brossef q. Georgia Agóition IX, p. 628.

<sup>22</sup>) იქვე, გვ. 389.

<sup>23</sup>) იქვე, გვ. 392. Brossef Bapp. 1, 72.

<sup>24</sup>) იქვე, გვ. 398.

აგრეთვე ზოგიერთი გავლენიანი ქართველი მთავრები და ბარათაშვილები, რადგან თვითონ ჰსურდა ჩაეგდო ხელში მამის, იესეს, ტახტი. მოხდა საშინელი ჩხუბი 1747—1748 წ. კათალიკოსმა მიუხედავად მისა, რომ აბდულ-ბეგი მისი ძმა იყო, სასტიკი სასჯელი გადაუწყვიტა მას, გადაახდევინა პარაკლისი სამღვდელოებას, რომ მეფეს გაემარჯვა მტრებზედ და ომის დაწყების დროს აკურთხა ირაკლი II თვისის მხედრობით, რომელიც შესდგებოდა 8000 კაცისაგან. ირაკლი II-ემ გაიმარჯვა და დამარცხდა აბდულ-ბეგი <sup>25)</sup> 1 აპრილს 1748 წ. კათალიკოსმა ურჩია მეფეს, რომ დამნაშავენი სასტიკად არ დაესაჯა და მრავალთ აპატივეს მართლაც <sup>26)</sup>. აბდულ-ბეგის ძე დაატუსადებია მეფემ თვისის ცოლ-შვილით ციხეში, გამოირიცხა სახელმწიფო სამსახურიდან და გადაუწყვიტა 10,000 მანეთის გადახდა. კათალიკოსმა იშუამდგომლა ამის თაობაზედ და მეფემ აპატივა დამნაშავეობა მას და კიდევ დაუბრუნა მისი თანამდებობა <sup>27)</sup>. ამ გვარად კათალიკოსი სცდილობდა ახალგაზრდა მეფის გული დაერბილებინა და დაეშროა შფოთი სახელმწიფოში.

მღვდ. კ. ანთაძე.

(შემდეგი იქნება).

<sup>25)</sup> იქვე. თანამედროვეს მიერ შედგენილი თხზულება დაცულია ჩვენს სიგელებს კრებულში.

<sup>26)</sup> ჩვენი კრებულდი ხელთ-ნაწერებისა, გვ. 259. ომის შემდეგ დაჭრილი თავები სწარსელებისა წარუდგინეს მეფეს 1700 წ.

<sup>27)</sup> „ქართლის ცხოვრება“ II, იქვე.

# სოლომონ ლეონიძე

(შემდეგ \*)

როცა მეფის გიორგის სიკვდილის შემდეგ, ლეონიძემ ვერას გზით ვერ დაითანხმა დავით ბატონიშვილი თავისი თავი მეფედ გამოეცხადებინა და ვერც იულონის გამეფება მოახერხეს, გამოჩენილმა მალხაზ ანდრონიკაშვილმა ს. ლეონიძეს ურჩია საჩქაროდ იმერეთში გადავარდნა, თორემ დაგიჭერენო. ყველა ამას ესეოდა, შინაური, გარეული და მტერ-მოყვარე. ყველა ამ პირში ხედავდა თავის დაღუპვის მიზეზს.

1801 წლის ენკენისთვის ნახევარს იმერეთში გაიქცა, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი, სპარსეთიდან მოსული, რომელიც ტახტის აგრეთვე აღდგენას სცდილობდა. ძველი მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ, ბევრი იწუხეს და იტირეს ქვეყნის აოხრების და არევის გამო. სოლომონ მეფემ ლეონიძე დიდის პატივის-ცემით მიიღო და მდივნობა მისცა, მალე რჩევა იქმნა და იქ გადაწყვიტეს იმერეთა დიდებულებმა საქართველოს დაპყრობა და სოლომონ მეფის გამეფება. ამისთვის დიდ ძალას ჰპირდებოდა ალექსანდრე ბატონიშვილი. ამ ჰაზრის წინააღმდეგი იყო მხოლოდ დადიანი, რადგანაც ეს ენათესავებოდა ისეთ პირებს, რომელნიც თბილისში სცხოვრებდნენ. ს. ლეონიძე წავიდა დადიანთან და სთხოვა ერთგულება. ს. ლეონიძესთან ერთად იმერეთში ბევრნი სხვანიც გადმოცვივდნენ, მაგალითად, მალხაზ ანდრონიკაშვილი, პატრი ნიკოლა და რამდენიმეც სხვანი. იმე-

\*) იხ. „მეგზაური“ № 10.

რეთის მეფემ ყველანი დიდის პატივისცემით მიიღო. ანდრონიკაშვილს ჯარის უფროსობა მისცა და სხვა დიდი პატივი. ამ გვარათ იმერეთში თავი მოიყარეს მრავალთ. იმათ დაიწყეს თათბირი, შეადგინეს გეგმა, სხვა და სხვა სამთავროებს დაუწყეს თხოვნა, რომ იმერთა მეფეს შეუერთდით თქვენაო. ესენი იმედოვნებდნენ, რომ როცა ეს მოხდება და იმერეთს ერთი მეფე ეყოლება, მერე ქართლ-კახეთის მეფობასაც ადვილად დაეიქვრთო.

1801 წლის ბოლოს იქმნა კრება ქუთაისში. კრებაზე მეტყველებდნენ მალხაზ ანდრონიკაშვილი, პატრი ნიკოლა და ლეონიძე. პატრმა აუწყა სოლომონ მეფეს ქართლ-კახეთის მეფობის მოშლის ამბავი და უძალობა ქართველთა.

ამავე წლის 26 იანვარს, სოლომონ მეფემ ზღვით ოსმალეთში წავიდა, ბათუმით ტრაპიზონში და იქიდგან სად, ეს ჩვენ არ ვიცით, მხოლოდ იმავე წლის მესამე თვეს იმერეთშივე მოვიდა, და ბოლოს კავკასიის მთავარ-მართებლის ნებართვით თბილისშიაც ჩამოვიდა შვილების სანახავად.

სოლომონ მეფის წერილი მოიტანა, საქმე და მიზეზი შვილების ნახვა იყო და უმთავრესად კი თბილისის ნახვა და ახალი ძალის დათვალიერება, მდგომარეობის გაცნობა. ბატონიშვილები ამან ცხარე კრემლით მომტირალენი ნახა. ს. ლეონიძემ არწმუნა, თქვენ მხოლოდ ერთობა იქონიეთ, ოღონდ შფოთს თავი გაანებეთ და ადვილად მოხდება, რომ საქმე მოვაგვაროთ; ბატონიშვილებმა მისცეს პირობა ერთობისა და მღვიძარეობისათვის, მაგრამ უგულოდ, რადგანაც ჩვენ მაინც არაფერი გვერგებაო. ლეონიძე მალე დაბრუნდა უკანვე და თან გაიყოლა მკვდარი გული და წუხილი, მაგრამ უიმედობას მაინც არ ემორჩილებოდა, იმედი ჰქონდა, რომ იქნება რამე გავაწყობთო. ლეონიძის მოსვლის ამბავი თბილისში 4 ივლისს მინისტრმა კვალევსკიმ აცნობა კნორინგს: „ს. ლეონიძე ერეკლე მეფის სახლში გაიხარდა, შემდეგან აქ მსახურებდა, ერეკლე მეფის შემდეგ საქმე წაუხდა და ეს ადრედასრულდა“.

იმერეთში გადაჯარდა, თბილისში მოვიდა თავისს შვილების სანახავად, მე ნება მიჰყვიო“. შემდეგ ამისა 20 იულისს დაწერილი წერილი კნორინგისაგან როუვიდა სოლომონ მეფეს. კნორინგი სწერდა: „სოლომონ ლეონიძემ თქვენი წერილი მოიტანა, მაგრამ მე იმ დროს არ ვიყავი, და ვერ ვნახე, ეხლა ლინიაზე მომიტანეს, წერილიდამ სჩანს, რომ ვითომც სპარსნი გარეკენ რუსებს და საქართველოს გაანთავისუფლებენო“.

იმერეთის მეფე კნორინგს სთხოვდა, რომ ჩვენ შორის მტკიცე მეზობლობა იქმნეს დაცულიო, ერთმანეთს იერიშით არაფერი მოვსტაცოთო. ამას გარდა, მეფე აცნობებდა, რომ სპარსნი შემოესევნიან ქართლს აღექსანდრე ბატონიშვილის მეთაურობითაო.

მართლაც და ამავე წლის ზაფხულში აღექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში დაბრუნდა იმერეთიდან, ამას ჯარი უნდა მოეყვანა სპარსეთიდან იმერეთში და იმერეთიდან ქართლს უნდა დასცემოდნენ. აღექსანდრეს განზრახვა ბატონიშვილებმა შეიტყეს და მალე იულონი და ფარნაოზიც იმერეთში წავიდნენ, სოლომონ მეფეს მიემხრნენ და ესენი აპირებდნენ აღექსანდრეს ჯარით ქართლზე დასცემას.

ამავე დროს ლეონიძემ დიდად იმოქმედა იმერეთის სამთავროებზე, მეფის წინაშე ერთგულობის პირობა ჩამოართვა ყველას. იმერეთში სამთავროების დამორჩილების ამბავი თბილისში ლაზარევსაც აცნობეს და ლაზარევმა კნორინგს აცნობა. მალე თბილისიდან გაგზავნეს კოლ. სოვ. სოკოლოვი საქმის დასახედავად, მეფესთან მოსალაპარაკებლათ და ქვეშევრდომობის სათხოვნელად. სოკოლოვი მივიდა მეფესთან, მოლაპარაკება გამართა, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ამის გამო სოკოლოვი სწერს წერილს ლაზარევს და ატყობინებს ასე: „მე იმერეთში ვარ, და ვუყურებ თუ რაფერ ამავრებს ს. ლეონიძე მეფესა; მეფეს ჰსურს ქართლის აღება და ს. ლეონიძე კახეთშიაც კი აპირებს ამისთვის წასვლასო“.

შორს მხედველმა ლეონიძემ კნორინგს წერილი მოსწერა

და აუწყა თავისი ერთგულობითი სამსახური, მაგრამ მარტო რუსეთის წინაშე კი არა, ორსავე მხარეს. ამ ერთგულობის განცხადების მიზეზათ უფრო იმერთ აღორძინების მიზეზი იყო და ის გარემოებაც, რომ ს. ლეონიძეს რუსის გამგეობის წინაშე ხმა და ნდობა ჰქონოდა.

ლეონიძის ერთგულება რუსეთისადმი დაარღვია კავალევსკიმ 1801 წ. 7 აგვისტოს მიწერილის წერილით. აღექსანდრე ბატონიშვილმა სპარსეთში დაიგვიანა, ქართლზე დაცემა გვიანდებოდა, ს. ლეონიძემ თბილისში წასვლა-წამოსვლას თავი გაანება, რაჭის გზით კახეთში გადავიდა, საიღუმლოდ ჩავიდა თავისს მეგობართან ამბროსი ნეკრესელთან, ნიკოლოზ ხარქაშნელთან და მოილაპარაკა კახეთის შესახებ და რჩევა მისცა მათ, რომ რუსეთს მეფედ დამტკიცება სთხოვეთ ვინმეო. ს. ლეონიძემ მოისაქმიანა კახეთში, ფიცი ჩამოართვა მრავალთ და მალე დაბრუნდა იმერეთში.

მის დაბრუნების შემდეგ ზოგიერთა კახელებმა, სასულიერო და საერო პირთ აი რა თხოვნა მიართვეს მთავარ-მართებელს: „მოწყალეო ხელმწიფე! როდესაც ერთგულებასა ზედა თქვენის იმპერატორებისა დიდებულებაზე დაგვაფიცეს, მყის გამოგვეცხადა მანიფესტით, რომ ვითომც ჩვენ, მოგვეხსენებინოს კარისა წინაშე უდიდებულესობისა ხელმწიფისა თქვენი-სა, მეფე აღარ გვინდა და უმეფოდ შემოვსულვართ მფარველობასა ქვეშე. ეს ფრანციელთ მსგავსი რესპუბლიკაობა იქნებოდა ჩვენგან. ჩვენს ბატონებს რა დაუშავებიათ ჩვენზედა, რომ ვუარი ვყოთ, ათას-ორასი წელი მეტი არის, ბაგრატიონნი მემკვიდრეობენ და მრავალნი აგრეთვე ამათგანი ჩვენი გულისათვის წამებულან, ქრისტესათვის და ჩვენთვის სისხლი უღვრიათ და ჩვენც ამათ წინ ამოვწყვეტილვართ. ეს ჩვენი ჰაზრი არ არის, მაცთურთა კაცთაგან მომხდარია, ჩვენი ვედრება ეს არის, რომ ჩვენზე მრავალ გვარად გარჯილ მეფის ერეკლეს ანდერძი დაგვიტკიცოთ და ანდერძის წესით მეფე დაგვისვათ და ჩვენის მეფეთი თქვენს მფარველობის ქვეშე

გვამყოფეთ და რამდენიც ჩვენი შეძლება იყოს ისე გვიმსახურეთ, ამას ვითხოვთ თქვენის ღიდებულებისაგან გულდადგმით“.

ამ თხოვნისა და ს. ლეონიძის წინააღმდეგნი იყვნენ ივანე ორბელიანი, მეფის ირაკლის მარშალი, სოლომონ თარხნიშვილი, შამშადილოს მოურავი, დარჩია ბებუთოყი, ეგნატე თუმანოვი, მეღვქსე სოლომონ არღუთაშვილი, მთელი ერისთავიანთ გვარი, ძმა იოსებ სომეხთ პატრიარხისა, მიხეილ ერისთავი, შულავრის მოურავი, შანშე ერისთავი, გიორგი მეფის ფლიგელ ადიუტანტი, მაყაშვილი, მეფის ადიუტანტი, სახლთ-ხუცესი და მდივანი. ამათ გაამაგრეს ყოველისფერი და უზრუნველი ჰყვეს ადგილობრივი ახალი მმართველობა. ის დრო იყო, რომ საქართველოს მთავარ-მართველად ციციანოვი დაინიშნა და მალეც მოვიდა საქართველოში. ამის მოსვლა იყო და საქმის და ბატონიშვილების ვითარების ცნობა. მოსვლისათანავე ამან ბატონიშვილებს მიმართა, კამათობა დაიწყო და მცირე ხნის განმავლობაში შიშის ზარი დასცა ყველას, ვინც მოწინააღმდეგე თავადისშვილები იყვნენ ესენი სულ დააბატიმრა და ალაგმა. ვინც აქა-იქ ჩუმად იფარავდნენ თავს, ესენიც შიშის გამო სამუდამოდ გამოეთხოვნენ ქართლ-კახეთს და იმერეთში გადაცვივდნენ. ციციანოვმა საჭიროდ დაინახა თვით ბატონიშვილების მოცილება საქართველოდამ და დაუწყო მეცადინეობა, რის გამოც უმაღლესი ბრძანება მალე გამოვიდა ბატონიშვილების რუსეთში გადასახლების შესახებ. ბატონიშვილებს მალე გამოეცხადათ უმაღლესი ბრძანება, ყველას რუსეთში გადასახლება ებრძანათ.

ს. ლეონიძის მხურვალე მოღვაწეობის ცნობები ციციანოვმა მალე სცნა და ჯეროვანი ყურადღებაც მიაპყრო; ამან მალე მისწერა წერილი და თვისი დარიგება მისცა, მორჩილება სთხოვა. მეფემ მალე უპასუხა და მოპასუხეთ ს. ლეონიძე გამოგზავნა. სოლომონი მალე მოვიდა და ციციანოვის წინაშე წარსდგა.

ციციშვილმა ქართლში რომ გაამაგრა საქმე, მერე გარდასწყვიტა იმერეთის დამორჩილება, სადაც წინააღმდეგად ყველაზე უსასტიკესად ს. ლეონიძეს ხედავდა. ს. ლეონიძის მოქმედებისაგან ციციანოვი დიდად მღელვარებდა. 23 მარტს ციციანოვმა წერილი გაუგზავნა ს. ლეონიძეს და უკანასკნელად ჰკითხა შეერთების პასუხი; თუ არ ნებით, მაშინ მოვალ და ძალით ავიღებ, მოგერვეითო, ვერას გააწყობთო. სოლ. ლეონიძემ პასუხი მისცა და წერილში თავის თავი პატრიოტად აღიარა.

მალე ს. ლეონიძე თბილისში მოდის (1804 წ.), ციციანოვი ემუდარება მორჩილებას, ამას აძლევს ნოტას, მაგრამ ლეონიძე შეერთების შესახებ პასუხს ვერას აძლევს, ათ დღეს სთხოვს ვადას და ამის შემდეგ პასუხს მიიღებთო.

წინააღმდეგნი მეფისა და მსაჯულისა ციციანოვს ცუდს ცნობებს ატყობინებდნენ. მალე კაცები გაგზავნეს იმერეთში მოსალაპარაკებლად და დასამშვიდებლად ქვეყნისა, ანუ დასამორჩილებლად.

ზურაბ წერეთელმა სოლომონ ლეონიძეს სასტიკად დაუწყო მტრობა და ბეზღობა, შენ არიე ქართლ-კახეთი და შენვე რევ იმერეთსაო. ხუთი წელიწადია მეფეს შენს გზაზედ ატარებ და ქვეყანას ღუბავო. ზურაბ წერეთლის ცნობებით ციციანოვი ძლიერ აღელდა ს. ლეონიძეზე და მეფეზე. მეფემ ისურვა ს. ლეონიძის და ზურაბ წერეთლის ციციანოვთან გაგზავნა, წერეთელმა არ ისურვა ლეონიძესთან წასვლა და მარტო ს. ლეონიძე წავიდა. ციციანოვი შუშაში იყო ამ დროს, ს. ლეონიძეც შუშაში მივიდა მთავარ-მართებელი ნახა, მაგრამ ვერა გაარიგა-რა.

8 ოქტომბერს 1805 წელს ციციანოვმა მეფეს წერილი გაუგზავნა და აცნობა, რომ შენ ს. ლეონიძე გღალატობსო, ეს შენ თხუთმეტჯერ გაგყიდისო, მაგრამ მეფემ არ ირწმუნა ციციანოვის ასეთი ცნობები. ზ. წერეთელმა ციციანოვს წერილი მისწერა და აცნობა შემდეგი: სოლ. ლეონიძის გამო



**სოლომონ ლეონიძე**

ძნელია ერთობაო, მეფეზე ისეთი გავლენა აქვს, რომ მათის კავშირის დარღვევა ადვილათ არ მოხდება და უამისოდ კი საქმე არ გაკეთდებაო.

ციციანოვმა ზოგიერთ ქართველთ რჩევით 3 დეკემბერს სოლომონ მეფეს წერილი მისწერა და სთხოვა ს. ლეონიძის თბილისში ჩამოსვლა მოსალაპარაკებლად, მაგრამ ეს თხოვნა არ იქმნა მალე შესრულებული, რადგანაც წერილის ამბები მალე სცნა ს. ლეონიძემ და საქმე ფრთხილად დაიჭირა.

ციციანოვი თვით აპირებდა იმერეთზე გალაშქრებას, მაგრამ ამ დროს მოხდა სპარსთ-რუსთა ომი ბაქოსთვის, ციციანოვი ბაქოში წავიდა და იმერეთის საქმე შემდეგისათვის გადასდო. მაგრამ ბაქოდამ ველარ დაბრუნდა, რადგან იქ მოკლულ იქმნა.

ია მარუშიძე.

(შემდეგი იქნება).

# ბიბლიოგრაფია

„საგულისხმიერო ყრმათა“ \*].

ამის შემდეგ ავტორი მოგვითხრობს სომხეთის მეფეებზე: არმენაკზე, არამზე, პარურზე, ალექსანდრე მაკედონელისაგან სომხეთში მოსვლასა და ვაჟე მეფის მისგან მოკვლაზე და სხვ. და სხვა. შინ გვერდიდამ ავტორი მოგვითხრობს სომეხთ მწიგნობრობაზედ, სომხეთის სიდიდეზედ, სომხების რიცხვზე და ნიშანზე, რომელნიც მოკლებულნი არ არიან საზოგადო ინტერესსა და ამიტომ მოგვეყავს აქ სრულად:

„ვართანი მოგვითხრობს, რომ ლეონ მეფის დროს კერპთ-მსახურობის დროის ფული პოვნილი იქმნა, რომელზედაც სომხის ძველი ნაწერიტ დაწერილი იყო სომხის გვარის მეფეების სახელი.

პარურ მეფისა და ტიგრანის დროს უფრო აღყვავებული იყო სასომხეთოს მწიგნობრობა, ასე რომ მგალობლობა და გალექსვათ შესულ იყო, ვიდრე რომ ვარდდეს მთავარზედ გალობა გაეკეთებინათ და გალობდნენ, ხ- ვაჰაგნის დროს, ზრადაშტ მოგვიც აღყვავდა, რომ წიგნი გააკეთა, როგორც მოგვითხრობს კლემენტოს ალექსანდრელი. ვარნა უმეტესად ვადარშაკ მეფემან აღყვავა სწავლება, ბრძენი კაცნი განმრავლდნენ სიტყვის გამომთქმელობითი გალობების კითხვითა. შეიტყო რომ თავისგან უწინარეს ჩინებულნი მეფენი ყოფილან, მოინდომა გამოძებნა: ვინაით მარიბას მცო-

\*) იხილეთ „ჩოგვისურნი“ 8 და 9, გვ. 914.



დინე მუსულს გაგზავნა, რომ იქ შენახული ქურმების ვითარე კერპების მღუდლების წიგნებისაგან სომეხთ მოთხოვნა გარდმოიღონ. ეს ძველი მოთხოვნა რიგით მოუთხოვს რაჲც რამ ქმნილიყო სასომხეთოში ჰაიკისაგან ვიდრე აღექსანდრე მეფისა.

იმის მერმე მარიბამ დასწერა ვალარშაკისა და ძმის ცხოვრება დაღაცა შვილების საქმენი. ამ წიგნისაგან ხორენელმანც გარდმოიღო სომეხთ მოთხოვნა.

მიპირდატის დროს ენის ლაპარაკი რამ აღყავებული იყო: 22 ენას ლაპარაკობდა მაპირდატი, გარნა აზგარ მეფემან სიტყვის გამოთქმითი რამების აღყავებითა თეატრონი აღაშენა თავის ქალაქში, მერმე ყლი საკერპო წიგნები მწბნიისაგან ედესიას მოატანინა, სად მერმე ორი საკითხავი სკოლაც გააღეს.

ბ არტაშე მეფემან სკოლანი და საოსტატო სახლნიც აღაშენა, რომ სხვა-და-სხვა ხელობანი და სწავლანი ისწავლონ. ვარსკვლავთ მქვრეტელობა და მრიცხველობა იკითხონ, იგოდნათ რომ სხვა ადგილებიღამაც სასომხეთოში მოვიდოდნენ სასწავლებლად. მიწის მოქმედებაც ფედ აღყავავა, რლისაგან შეუდგების ვაჭრობა, აქედგან ხელონობა და თვალ-ღიაობა და სხვა-და-სხვა ქკვიანობა, რომ სხვა გვარის ნახვითა და აღებ-მიცემის ქმნით იქმნება, გარნა ყლი დროსაგან უმეტესად აღყავდა მწიგნობრობა სასომხეთოში, ვრამშაბუჰიას და არტაშირ მეფეების და მოთარგმანების დროში, ვითამც წა საბავოსა და მესრობისა 407. რადგან რომ უწინ სომხის ნაწერი არ იყო, ამისთვის ბერძნებისა და ასორების ნაწერს ასაქმებდნენ. წა მესრობმან ამ სიძნელის აღებისათვის ბევრი ყაირათი გასწია, სახეები გამოიღო, ვინ ასო ვაკეთა (8) ანუ ძველი რომ აღარ ხმარობდნენ, იმისი ასოს სახე მოიტანა და ნაკლები შეავსო.

მას მერმედ დაიწყეს სამლო წერილის გარდმოთარგმანება, რომ ურუმულათ კითხულობდნენ საყდრებში, იმ დროს

სკოლაებიც განაღდეს და დაიწყეს შეგირდებთან სომხურად წერვა-კითხვის სწავლება, ვიდრე რომ სასომხეთო სიბრძნით აღივსო, ყლი სწავლების მოადგილე გახდნენ და მრავალი მცოდინე კაცი გამოვიდნენ და წიგნები გააკეთეს და სხვა გვართა სასარგებლო წიგნებიც სთარგმნეს, შარავანი გააკეთეს და საეკლესიო კანონები განსაზღურეს, იმისთვის ჩვენი კურთხევანი რომ მაშტოცსა ვეტყვიტ წა მესრობის სახელითა, მაშტოციც ეთქმოდა. ხ იგოდენ შეგირდებთაგან ჰმ გვაძი ფდ ჩინებული მცოდინე იქმნენ და ფდ ალაყავეს მწიგნობრობა და გრძელს ხანს არ მოაკოდნენ მასწავლებლნი.

ხ ნერსეს შნორჰალი ვტ ნერსეს მადლით სავსემ და სხვათაც კარგათ ალაყავეს სწავლება, გარნა მეფობის აღხუნის მერმედ ყლი საქმე დაბნელდა და უმეცრებამ იუფლა, თუმც ყდ სახიერმან ღთნ სრულიად უნუგეშოდ არ დასტოვა ერი და გვარი, გამოიყვანა ბედნიერი მხითარ აბბა დიდის ძალითა, რომ ხელმეორ სწავლება და მეცნიერება ალაყავოს გვარსა შს და განათლება მისცეს სულისა და ფიქრისა და მას შემდეგთ მოუშორებლად.

### წაოდენათ დიდი არის სასომხეთო.

სასომხეთოს განთენილობა არს 150 ათასი მილი ზღვებითა და ადებითა და დიდ-დიდი მდინარებითა და მთიებით შემკობილი არის, მდებარება და ჰაერი ფდ კარგი, წყალიც უვნო, დიად სხვა-და-სხვა ადგილად განიყოფვის.

ძველს დროს ოთხ წილად განიყოფოდა: ა. სომეხნი, ბ. სომეხნი, გ. სომეხნი, დ. სომეხნი და 25 ქვეყნად განიყოფოდა, კიდევცა 190 დიდი თემი და 520 პატარა თემი აქუნდა, რომ შავი ზღვიდამ დაიწყობის და საქართველოსაგან და თათართაგან გავლითა მიახლოვდება კასპის ზღვასა, იქიღამ ყიზილბაშის გვერდით განვლითა, მოვა მუსულს ვც ნინვეს



და ურვას ვიდრე თეთრი ზღვისა, კიდევცა ტოროსის მთიე-  
ბილამ დაბრუნებითა მიაწევს ამასიას შავი ზღვისა, სად 120  
სამთავრონი იყუნენ, რლი თვითო თითო სამეფო იყო. მრავალი  
ჩინებული ქალაქნი იყუნენ. წყლის რღუნის მერმედ პირვე-  
ლი ქალაქი სასომხეთოში აღშენდა, რლ არს ნახჩევანი,  
აქუნდა 30 ათასი სახლი. მერმე ჰაიკი მოვიდა არარატის ქვე-  
ყანასა, ჰაიკაშენ ქალაქი აღაშენა, სადაც მეფენი დასხდებო-  
დნენ.

მერმე ვალარშაპატმა დიდებული ქალაქი ჰყვეს, რომ  
არშაკუნის მეფენი იქ დასხდებოდნენ, მერმე მერინს დასხ-  
დნენ და იქილამაც ურვიას წარვიდნენ, რომ დიდი ქალაქნი  
იყუნენ.

ხ ბაგრატოვან მეფებმან ანის ქალაქი განადიდეს და  
მრავალი საკვირველი დიდი საქმით აღშენებითა შეამკეს და  
იქ დაჯდებოდნენ: იგოდნათ მრავალი ერიანი და დიდებული  
ქალაქი იყო, რომ მხდ 1000 საყდარი ჰქონდა და 100 ათასი  
სახლი. ხ რუბინიანთ მეფენი კილიკიას დასხდებოდნენ და იქ  
მრავალი უდაბური ციხენი და ქალაქები აღაშენეს.

### და რაოდენ არს სომხის გვარი.

იგოდნად დიდი იყო სომხის გვარი, რომ ჯერ არ და-  
თვლილა და მრავალს ქვეყანას ათროლოებდნენ ჰინასტანამ-  
დინ. მხდ ერთს თემში ბივრეულ ბივრეულთა კაცი  
იყვნენ, გარნა ყლ კერძო მტერთ შორის ყოფნითა მრავალ-  
ნი გასწყდნენ, ათასეული კაცი მოკუდებოდა მხოლოდ ერთი  
ქალაქისაგან და არ ილეოდნენ, მრავალი კაციც უცხო  
ქვეყნებში დაიფანტნენ, ვინაით ეს ზღვასავით გვარი გწ-  
ყვეტითა, ახლა ძლივ 10 მილიონი სომეხი გამოვა.

ამ გვარს ოთხ-გზის მეფობა აქუნდა, ჰაიკილამ ვაჰემდინ  
59 სომხის გვარის მეფენი დასხდნენ. 171 ვალარშაკილამ არ-  
ტაშირამდინ. 28 არშაკუნის მეფენი დასხდნენ ამოტისგან

გაგიკამდინ. 9 ბაგრატუნის მეფენი დასხდნენ და 24 რუბენიანთ მეფენი დასხდნენ რუბენისაგან ლეონამდინ. კიდევცა მრავალნი ეპარხოსნი, მთავარნი, ჯარის მთავარნი დასხდნენ 50 მეტნი. აწე სომხის გვარის მფლობელობამ გასძლო 1779 წელსა, 175 წელიც ცარიელა დარჩა არშაკუნელთ 480 წელი, ეპარხებისა 455 წელი, ბაგრატუნელთა 220 წელი, რუბინიანთა 295, ვინაით განიკიდან აქამომდე 3925 წელი.


**სომეხებს და ნაშანა ჭქონდათ.**

ხორენელი მოსთხოვს რომ არტაშე მეფის ნიშანი დაწერილი იყო არწივი, ტრედი და ვეშაპის თავი. ხ რუბენიანთზედ ნიშანი იყო ლომი. კდცა ძველი მეფეთა ღთიული პატივი აქუნდა ერის წინა. ამისთვის ჩამს რომ ჩასაცმელნიცა საშინელი და ფდ დიდებული იყო, ეგრეთვე მთავრებიც ფდ საშინელნი იყვნენ. ზედ სამურს ჩაიცვემდნენ, რომ სრულიად სამკაულით ბრწყინვიდა თავზედ ოქროს დიადიმი, წელზედ მარგალიტის ქამარსა, ყურებზედ მანიაკნი ვც რგოლი, მკლავებზედ ოქროს სამკაული და შიგნით ჩასაცმელი ძოწეული, ოქრო მკედით; ხ სამოსზედ სამი დაუფასებელი თვალნი ჩამოკიდებულნი.

აჰა ამ დიდებულმან სამეფომ 453 წელი არს რომ დაბოლოვდა უფრთობითა და შურითა:

უწყი რომ სწუხხარ ჩვენს გვარსა ზედა  
თუ რომ რათ იქმნა ესრეთ საწყლობა,  
შური არს მიზეზ, სხვა რამ არა არს არა,  
რომ სრულ მიაგო ეს ზომ საწყლობა;

თუ ახლა არ გყავსთ მეფე და მთავარ,  
მაინცა გქონდეს სწავლა ცოდნისა!  
კარგი არს ყოფნა ბრძენი გლახაკი,  
ვირემც თუ მეფე უსიტყვ უჭკუო!..



## მ ც ი რ ე მ ე ნ ი შ ვ ე ნ ა .

(ბ. გვარამაძის წერილების გამო, „გურია“, „მოგზაური“ № 1—10).

ბ. გვარამაძე „ქის“ წყალს და „საცივის“ წყალს, ორივეს ერთ და იმავე სახელით იხსენიებს, ე. ი. „ქის წყალი“ და „საცივის“ ერთი და იგივე ჰგონია \*), მაშინ როდესაც ამ ორ წყალთა შორის თვალსაჩინო განსხვავებაა. იმ ადგილებში, სადაც საცივი ან და კარგი ღირსების მდინარე არ მოიპოვება, მცხოვრებნი სთხრიან „ქას“ ამ ნაირად: იღებენ დედამიწის გულიდგან მიწას მანამდის, სანამდის წყალი არ აღმოჩნდება. იმისი სიღრმე ორი საჟენიდან ხუთ საჟენამდის იქნება, ღიაშტრი კი არშინიდან არშინ ნახევრამდის. ასეთ ამოთხრილ ორმოს „ქას“ ეძახიან და თავზედ გვირაბოს ადგამენ. გვირაბო გამოქუთული ხეა, რომლის სიმაღლე არშინ-ნახევრამდის შეიძლება იყოს. მისი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ წყლის სისუფთავე დაიცვას და ბავშვები არ ჩაცვივდნენ ჭაში. აი ამ ნაირად აკეთებენ ჭას. „საცივს“ კი ეძახიან ისეთ წყაროს, რომელიც დედამიწის გულიდგან თავის-თავად ამოჰქუხს. იმისი (დამდგარი წყალის) სიღრმე ნახევარ არშინს იშვიათად აღემატება. შემდეგ ავტორი ამბობს, რომ გურიაში წყალი საზოგადოთ არ ვარგაო. ჩვენ წინააღმდეგი აზრისა ვართ: პირ-იქით, კარგი და მარგებელი წყლებით არის გურია ცნობილი. პირველი, რომ მდ. სუფსა, ბახვის წყალი, ნატანები, ბჟუჯი, აქის-წყალი და სხვებიც ისე-

\*) ჭის წყალს, სადაც გინდა იქ ამოიყვან გურიაში და საცივისას-კი ვერა; ეს უკანასკნელი იქ ამოდის დედამიწის გულიდგან, სადაც ეს ბუნებას მოუსურგებია.

თი წმინდა, კანკარისო წყლებია, რომლებიც სასმელად ერთობ მშვენიერია; მეორე, საცივების რიცხვი გურიაში ფრიად ბევრია და ამასთან წმინდა და თითქმის ყველა კარგი ღირსების. რომელ ოჯახსაც საცივი ახლო არ აკრავს, ასეთი ოჯახი იღებს თავიანთ ეზოში „ქას“, რომელიც თავისი სიწმინდით და ღირსებით არ დაუფარდება საცივის წყალს. ამიტომაც ადამიანის დახაშვებაში სასმელ წყალს (გურიაში) არავითარი წილი არ უღვევს. ციებ-ცხელების და ხაშმის მიზეზი შავი ზღვის და ნარიონავის (რიონის ძველი ნაკადული) სიახლოვეა გურიაზედ. მოგვხსენებათ, რომ გურია ტყეშია გაშენებული; ასე რომ გურიას ზევიდგან გადმოჰხედოთ, შეუვალი ტყე გვეგონებათ. ეს იმიტომ, რომ თვითველ ოჯახს თავიანთი ეზო და არე-მარე ხეხილებით და აგრეთვე სხვა ბევრი უსარგებლო ხეებითაც (მაგ. თხმელები) სავსე აქვთ. ჩამოსცვივა ნოემბერში ფოთლები ხეს თუ არა, მთელი ზამთარი აწვიმს და ათოვს ზედ; მარტში-კი ხელ-ახლად დაიბურება ყველაფერი ფოთლებით. შავი ზღვის წყალობით წვიმები აქ ზაფხულშიაც ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს შარშანდელი ნახევრად დამპალი ფოთლები, ახალი გადმოვლის წყალობით, მზის სხივებს სრულებით მოკლებულია და ამიტომაც ის ნელ-ნელა ჟრება, დამპალ ჰაერს ზევით ფუტივით უშვებს; ეს ფუტი შემდეგ ადამიანის წმინდა სასუნთქავ ჰაერს ერევა და იმას უსათუოდ აფუჭებს; ამას თუ მიუმატებთ კიდევ ძველი ნარიონავის დამპალი წყლის სუნს, რომელიც გურიის საზღვარს ჩრდილოეთით ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზედ ჩამოსდევს, მაშინ-კი გურულებთა ავადმყოფობის მიზეზიც ცხადი იქნება ყველასთვის.

## II

„მოგზაურის“ მეორე ნომერში ავტორს, გათოხვის (გათოხნის) აღვილას სიტყვა თოხნა აქვს ნახმარი, როცა თოხნა (მოთოხნა) და გათოხვა (გათოხნა) სულ სხვა-და-სხვა დროს



არის და სხვა-და-სხვასაც ნიშნავს. მოგვხსენებათ, რომ გურიას ვაკეებთან ერთად მთა ადგილებიც (ქედები) ახლავს. ზოგიერთ ასეთ ადგილებს გუთნიანი ხარები ვერ უდგება მოსახნავედ და ამიტომაც ასეთ ადგილებს გურულები ხელით სთოხნიან ხოლმე, ე. ი, ჯერ მოწმენდილ ადგილზედ კაკალს (სათესლეს) მოაყრიან და შემდეგ სთოხნიან (მოთოხნიან) თოხით ხელ-და-ხელ. აი თოხნა ამას ჰქვია. ამ ნაირად, თევსის დროს, ვაკე ადგილები იხვნება და ქედი ადგილები (რომელსაც ხარი ვერ უდგება) კი ითოხნება. შემდეგ, როცა სიმინდი ამოვა, იმარგლება და ორი კვირის შემდეგ გამარგვლისა (თანახმად ავტორისა) ითოხება. აი, ამ უკანასკნელს ჰქვია გათოხვა. ამავე ნომერში ავტორს აქვს მოყვანილი ნადურის და ხელხვავის სიმღერა:

1) ნადურა:



2) ხელხვავა:

ელი შენი, მელი შენი,	ღღ	ალი ფაშამ გვიღალატა,
იყო გრივალ მტერი შენი;	ღღ	გავვიყვანა კვირიკეთში,
უღლად ხარები მოგპარა,	ღღ	იმან ფულები აიღო,
შესაჯდომი ცხენი შენი.	ღღ	ჩვენ დაგვტოვა მტერის ხელში.
და სხვა. . . . .	ღღ	და სხვა. . . . .

ეს ადგილები ვინმე უცხომ რომ ამოიკითხოს, უსათუოდ, ნადურ და ხელხვავი ერთნაირი, ერთმანეთის მსგავსი სიმღერა ეგონება, მაშინ როცა ისინი სულ სხვა-და-სხვა გვარისანი არიან და სხვა-და-სხვა დროსაც მღერიან მათ გურულები, ყანაში მუშაობის დროს\*). გარდა ამისა ხელხვავს, როგორც პირველი, ისე მეორე ლექსიც ეწყობა და ყანურს ნადურს) კი ისეთი მუხლებიც აქვს, რომელზედაც, ამ ლექს-

\*) ნადურს მღერიან თესვის, მარგვლის და თოხვის დროს; ხელხვავს კი ტესა-კრეფის დროს.

თავანი, არც ერთი არ იმდერება და ამიტომაც იმას არც ხმარობენ.

გურიაში ორი სოის (ნაირი) ნადურს მღერიან ხოლმე. ერთ ნაირ ნადურს, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, ეხლა აღარ მახსოვს, მღერიან ქ. ოზურგეთის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში, მაგ., გურიათაში, ლეხაურში, მაკვანეთში, შემოქმედში და ღვაბაზუშიაც კი; ხოლო მეორე ნაირს, რომელსაც „საჯავახურა“ ეწოდება, მღერის ყანაში, მთელი დანარჩენი გურია. ამიტომაც მე ამ უკანასკნელ ნადურს გავაცნობ მკითხველს: ნადური ანუ ყანური (საჯავახურა) სიმღერა ორ-პირია. თითო კედრით (თვითეულ პირს) ოთხ-ოთხი კაცი სჭირდება; ერთი კედრით: დამწყებელი, გამყივანი (მოკრიმანჭულე) და ორიც ბანი, ამოდენივე, რაღა თქმა უნდა, მეორე კედრით. სულ-კი ორივე კედრით, რვა კაცი. ასეთი ნადი ჩამოვა ყანაში თუ არა, მაშინვე (დილას) იწყებს (მღერის) „ოდელიას“. ეს სიმღერა თავიანთი წყობილებით „ნადურს“ წააგავს (მოტივი კი სხვა ნაირი აქვს) და სჭირდება ამასაც რვა მომღერალი კაცი. შუა-დღეზედ (ნასადილევს) ნადი მღერის შუადღის სიმღერას, რომელსაც „წეროღია“ ეწოდება. ამ სიმღერასაც რვა კაცი სჭირდება. „წეროღია“ ნადურ სიმღერაზედ უფრო მოკლეა. ამას შემდეგ, დაახლოვებით ოთხ-ხუთ საათზედ (როცა მზე კარგად გადაიხრება), მასპინძელს მოაქვს ნადისთვინ ყანაში საჭამადი, რომელსაც ისინი „ზარმელს“ ეძახიან. აი, ამ ზარმლობის დროს ნადი მღერის (იმეორებს) იმ დილის სიმღერას, რომელსაც „ოდელია“ ჰქვია, და დანარჩენ დროს კი (დილიდგან მოკიდებული საღამომდის) სულ ნადურს მღერიან \*).

ნადური „საჯავახურა“ ხუთ ნაწილად იყოფა (ამათგანში სამი უმთავრესია). პირველს შეადგენს გრძელი კრიმანჭული,

\*) თუ ყანას ათავეებს ნადი, მაშინ (გათავეების დროს) ნადი „კლესას“ მღერის; ამასაც რვა კაცზედ ნაკლები ვერ იმღერებს.

თავიანთი ბანით და დამწყებელით; მეორე ნაწილს შეადგენს გრძელი ვრიმანჭულის (პირველი ნაწილის) შემოკლება; მესამეს — „ადილაფ-დილაზედ“ გადაგდება. (აქ იცვლება პირველი მუხლი: დამწყებელი „ადილაფ-დილას“ ეუბნება და გამყივანი კი უკრიმანჭულებს, მაგრამ სულ სხვა ნაირად); მეოთხეს — გრძელ იოზედ გადაგდება (გადასვლა). (აქ გამყივანი „აპოს“ ეუბნება დამწყებელს) და მეხუთე ნაწილს შეადგენს გრძელი „იოს“ შემოკლება დამწყებლიდგან და მაღალ (მოკლე) „იოზედ“ გადასვლა გამყივანიდგან. რაც შეეხება ბანს, ის ერთს მესამე მუხლზედ შეიმოკლებს და მეორეს კი უკანასკნელ მუხლზედ. ეს მუხლები, განსაკუთრებით მესამე და მეხუთე (უკანასკნელი), თავ-თავის დროზედ ისე დაჩქარდება, რომ მომღერალი მოპირდაპირეები სულის მოთქმასაც ძლივსა და ასწრობენ ერთმანეთს; ამ დროს იმათ არც დარდი ახსოვს, არც სიცხე და აღარც დაღალვა; ის ისე თავ-დავიწყებით უქნევს თოხსა, რომ მაყურებელს თვალის მოსწრებაც კი გაუჭირდება. უკვე ცნობილია, რომ რვაი მომღერალი ნადი თექვსმეტ უმღერალ ნადს უსწორდება მუშაობაში, და ამიტომაც არის, რომ მუშა კაცი არც ხარჯს უშინდება და აღარც ნადის ქირობას, ოღონდ მომღერალი ნადი კი იშოვოს. მეექვსე ნომერში ავტორი ამბობს: „ზეგნები“ უკეთესია „მერეებზედო!“ ჩვენ ვერც ამაზედ ვეთანხმებით ავტორს, რადგანაც მერეები, გურიიში, საზოგადოთ განთქმულია თავიანთი უხვი მოსავლობით. ამიტომ უმაჯობესი იქნება ვსთქვათ: მერეები უკეთესია ზეგნებზედ და ზეგნები კი ეწრებზედ \*).

\* ეწრები ისეთ ადგილებს ჰქვია, რომლებს ზედა-პირი, უმეტეს ნაწილად, მთისთა მთისგან შესდგება; ასეთ ადგილებზედ უკელაზედ უფრო გვიმბრა (ბალახია) ჰხარობს, ვინემ სხვა რაჟე. ზეგნები კი შეუყნება (მთაანი და შეკრება) ადგილებს ეწოდება. ასეთ ადგილებში მერეებზედ უკეთესი მოსავალი იცის მხოლოდ მაშინ, როცა წელიწადი მეტად ჭაღიჟორიანია, ე. ი. სულ წვიმების მუშაობის დროს.

ქვევით ავტორს ჩამოთვლილი აქვს ყველა ის მცენარეები, რომელნიც კი ჰხარობს გურიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, იშთაგანში ზოგიერთი მცენარეთაგანი გამორჩენია, და კარგს კი იხამს ავტორი, რომ ამ ნაკლს ცალკე წერილში შეამსებდეს. მე შემძლია, იმ გამორჩენილ მცენარეთაგანში, მხოლოდ რამოდენიმე ხე მოვავლო ავტორს: ცხმელა, მუხა, თხმელა, ძელქვა, ლეკენჩხარი, ლიცვი და ბზა. ხეხილთა შორის მხოლოდ—უნაბი (ორნაბი, სოფელში ასე ეძახიან). გარდა ამისა, ხეების რიცხვში, ავტორს შეჰპარვია უბრალო ბალახი (ჩირგვი) „ძმერხლი“. ამ ბალახს მოგრძო-მოფართო ფოთლები აქვს და ამასთან ლაქაშინა და მაგარიც. იმას (ძმერხლს) შემოდგომაზედ ჰკრებენ ანუ სჭრიან; შემდეგ რამოდენიმე ფურცელს ერთი-მეორეზედ აწყობენ და მაგრად ჰკრავენ ბაწრიი (სამ ადგილას გადაუჭირებენ წვრილ ბაწარს); ამას შემდეგ იმას თავ-წვეტიან ჯობზედ წამოაგებენ ხოლმე და დაუწყებენ იმით რეცხვას ქურს (ქვევს), შიგ ჩასახმელოს ღვინის სიწმინდის დასაცველად. ასეთ ქურის ამოსარეცხათ (ამოსაწმენდათ) მომზადებულ ძმერხს გურულები „ორჩხუბს“ ეძახიან. ამავე ნომერში ავტორი გურიის სიღარიბეს ეხება და სამართლიანადაც შენიშნავს, რომ იმათი სიღარიბის მიზეზი მათივე ხელ-გაშლილი ხარჯებიაო. ხოლო მე, რადგანაც ხელ-გაშლილი ხარჯვა მრავალ ღირსებიანი \*) და მრავალ გვარია, ნებას ვაძლევ თავის-თავს დავსძინო შემდეგი: გურიაში ისეთ ოჯახს, ისეთ გლეხს ვერ ნახავ, რომელსაც სწავლა-განათლება არა სწყუროდეს; ამიტომაც გურული არავითარი გაჭირების წინ არ დაიწვეს უკან, მხოლოდ-კი თავისი სურვილი (მომავალს სწავლა-განათლება მიაღებოს) შეასრულოს და ამ მიზნით ის იღებს ვალს და აძლევს თავის შვილებს დაბალ, საშვალ და მაღალ სასწავლებელშიაც კი იმ იმედით,

\*) ხარჯვა როგორც სისარკებლად, ისე უსარკებლად საქმეშიაც შეიძლება.

რომ ის სასწავლებელს გაათავებს, რაიმე ხელობას დაიკავებს და შემდეგ მამას ვალსაც გადაუხდის და ოჯახსაც გამოადგება. რამოდენიმე წლის განმავლობაში მამას, ვსთქვათ, შვილი ნასწავლი მოუვიდა სახლში; ახლა ამას (შვილს) ადგილის შოვნა უნდა და ამასაც, მოგვხსენებათ, კიდევ ხარჯი სჭირდება... ამ ხნის განმავლობაში ოჯახს ვალი უკვე იჯანბნებს; ორასი-სამასი მანეთი ვალი ათას მანეთად იქცევა!.. ნასწავლმა შვილმა ეხლა თავიც უნდა ირჩინოს, ოჯახსაც ხელი მიაშველოს და მამას ეს ვალებიც მოაცილოს! გურული ნასწავლი, თითქმის ყველაც ასე იქცევა; მაგრამ ამ ვალების გადახდამდის ოჯახი მაინც გაჭირვებული რჩება, რადგანაც ნასწავლი შვილი ოჯახის შემწეობას ძალა-უნებლიეთ მოკლებულია ვალების გადახდამდის \*). ასეა დღეს გურიაში გაჭირვებული ერთი, ასეა მეორეც და ასე დევა სულ-ყველა.

მერვე ნომერში ავტორი ამბობს: „ცხენისა და ხარის მოპარვა დიდ ყოჩაღობად ითვლება გურიაში, და თუ ციხეში ნამყოფი არ არის კაცი, ასეთ აღძვირს მკვდრათა სთვლიანო!“ ავტორის ასეთი აზრი გურულებზედ ჩვენ მომაკვდინებელ შეცდომათ მიგვაჩნია, რადგანაც ასეთი შეხედულება ქურდობაზედ არამც თუ გურიაში, არამედ დღეს აფხაზეთშიაც კი აღარ არის \*\*). ხოლო რაც შეეხება ციხეში (სოფლელნი აქ „ნაობახს“ ეძახიან) ნამყოფლობით თავ-მომწონეობას, ეს ხომ მეტია და მეტი (ამაზედ ავტორს ბ. ასოთ-ამწყობმაც უკვე

\*) და ვაი იმ ოჯახის მამას, რომლის შვიდი ათასობის ვერ მიდის. ასეთი ოჯახი შიშ დღეში წელსა გატყნა და დატყნიხდება.

\*\*) აფხაზეთში და, უფრო წინეთ, მეგრეთშია, სახოცადოთ მართლაც იყო ასეთი აზრი და შეხედულება კავრეტელები, აქ კარგ და საქებურ სიტყვად ეს ითვლებოდა, ვინც დახელოვნებული იყო ქურდობაში. ესდა ეს აზრი მეგრეთშია კი თითქმის გაქტა; თუმც ანის ეხდა ისევე აფხაზეთში, მაგრამ იქაც დიდთ შესუსტებულია ზირვანდელთან შედარებით.

შენიშნა). გურულებს საზოგადოთ, რომ ესთქვათ, ქურდობა თავიდგანვე სასირცხოთ მიაჩნდათ. გურული ავაზაკი პირ-და-პირ შეგხედება კაცს და აგაცლის თუ რამ გაგაჩნია (გაგცარცვავს), მაგრამ მოპარვით კი არას მოგპარავს; ამიტომაც გურიაში, მეჯიბოობა (ჯიბეში ხელის ჩაყოფა ჩუმათ, როგორც ეს მეგრელიაში იყო გავრცელებული და ეხლაც არის) და ცხენის და ხარის მოპარვა იშვიათი მოვლენაა. ოცი წლის წინეთ, გურიაში, გაცარცვა და ხელ-და-ხელ სახლის გატეხა დიდათ მეტი იყო, ვინემ ქურდობა; ისეთი შემთხვევაც ბევრი ყოფილა, რომ ფილარს (ყაჩაღს, ავაზაკს) გაუცარცვავს კაცი და შემდეგ შესცოდებია და რამოდენიმე წანართმევი უკანვე დაუბრუნებია; ბევრჯელ იმათ მდიდრებისთინ წაუერთმევიათ და ღარიბებისთინ მიუციათ. ერთ ამის დასამტკიცებელ საბუთს (რომ გურიაში ქურდობა სამარცხვინოთ მიაჩნიათ) ისიც წარმოადგენს, რომ გურულის სახლს იშვიათად შეხვდებით დაკეტილს. იქ სახლის კარები, უმეტეს ნაწილად, დაფეთილია (გაღებულთ), სტოლზედ საათი ან ოქროს ბეჭდები და აგრეთვე სხვა ნივთებიც აწყვიან; ოჯახის წევრი ნახევარჯერ არ არის შინ და ნივთები კი მაინც არ იკარგება, თუმცაღა მეზობლები და მათი ბავშვები დღეში რამდენჯერმე შევლენ და გამოვლენ იქიდგან. გარდა ამისა, გურული, გათენდება თუ არა, წახსნის საქონელს თოკს თავზედ და გაუშვებს მინდორში საბალახოთ. ის სალამოდის სადღაც ბალახობს და სალამოს (თუ ძროხა ხბოიანია) თვითონ მოდის სახლში. რაც შეეხება ხარს და ცხენს, ისინი ხომ მთელი კვირაობით არიან სადღაც გაშვებული და ან ჩაჩირებული (ჩაბმული) დღიან-ღამიანა უმწყესურად. იმას პატრონი ერთხელ თუ მოიკითხავს დღეში, ისიც ბევრია; ესეც იმისთინ, რომ პალო, რომელზედაც საქონელია თოკით მიბმული, მეორე ადგილას დაასოს მიწაში (გადაუცვალოს ადგილი). გურულებს ქურდობა რომ სამარცხვინოთ არ მიაჩნდეთ ეს ასე იქნებოდა?!

ტ. ართმელაძე.

**რედაქციამ მიიღო ასალი წიგნები:**

- 1) **დექსები და ჰემები**, ი. ვედოშვილისა, მცირედ შე-  
ვსებული, გამოცემა ავტორის სურათით გ. წ—ს და ამხ.  
ფასი ათი შაური.
- 2) **ზღაპრები** შეკრებილნი ძმ. გრიმების მიერ, ქუთათუ-  
რი ამხანაგობის გამოცემა, ფასი სამი შაური.

**ნაქერალას მთაზედ \*).**

**ჰ**კივის, გრიალებს მთაზედ გრივალი,  
 ყორედ აყენებს თოვლის ზვირთებსა,  
 ხან ღრმა უფსკრულში ჩაიხმაურებს,  
 ხან კლდეს ეხლება, თითქოს შლის ფრთებსა.  
 ბნელა, არა-რა მოსჩანს, გზა-კვალი  
 სრულიად თოვლით წაღებულია,  
 ნაძვი და ფიჭვი, კლდე-ღრე, ნაკადი  
 ერთ-ერთმანეთში არეულია.  
 შიშის ზარსა სცემს თვით ტყის ნადირებს  
 სასტიკ ნამქერის ნამოქმედარი.  
 უცებ გამოჩნდა მთისა კალთაზედ  
 ზევით მავალი ვიღაც მხედარი.  
 აზვირთებული ბუქი მიფარდა  
 და თოვლის ზვავე ზედ მიაყარა...

\*) ნაქერალას მთა სძევს იმერეთისა და რაჭის საზღვარზედ.

არც მხედარი და არც მისი ცხენი  
 რამდენსამე ხანს სჩანდნენ აღარა.  
 ძლივს სდგამს ერთგული პირუტყვი ფეხსა,  
 შესაბრალისად დაიხვიხვინებს,  
 მითქარათქურებს თოვლში, იფლება,  
 ტორს სცემს, ქშინავს და სიმწრით ჭიხვინებს.  
 მგზავრს ეკარგება თავის იმედი  
 და უფალს შესთხოვს: „ჰოი, გამჩენო!  
 გვედრი ამ მთაზედ გადამიყვანო  
 და აქ დაღუპვას გადამარჩინო!  
 „მთას იქით ჩემი სამშობლო მხარე  
 მოვლის თავისს შვილს დაკარგულსა,  
 შორის ქვეყნიდგან მოვეჩქარები,  
 რომ კვლავ მხურვალედ ჩავეკრა გულსა!“  
 ოჰ, სასწაული! წამსვე დაწყნარდა  
 ქარი და ელვამ გზა გაანათა,  
 მგზავრმა პირჯვარი გადაიწერა  
 და წინ გასწია ცხენიანათა.

ნაქერალას მთის გადასავალზედ  
 ახლა ღვთიური ხატი ჰსვენია,  
 რომელსაც თავისს გარშემო თითქოს  
 ზეგარდმო მადლი მოუფენია.  
 ამბობენ, აქ ეს ხატი დასდგაო  
 იმ მგზავრმა ნიშნად სასწაულისა,  
 რომ მეოხ ექმნეს ყოველს მაშვრალს მგზავრს  
 წინაშე ყოვლის შემძლე უფლისა.

მელიტონ გობეჩია.



## სახალხო ლექსები

(მთაუღმეთში გაგანილი და ჩაწერილი ნიკოლოზ ფარკაშიშვილის-მიერ).

ღაჯექ, დათოლე, პაპაო,  
ძველი რამ გეცოდინება,  
თუ კარქ რამეებს გვიამბობ,  
ცრემლები დაგვედინება.

გვითხარი ვინ შაგვაწუხა,  
ვინ გაგვიბედა გინება,  
ვინ იყო რომ მოგივარდათ,  
მთიულთ მოსპობა ინება?

ჩვენი ხუცესიც ვერ დასთვლის,  
რაც საქმე გადაგვხედია,  
ბევრჯელ დაგვეცნენ თათრები,  
ლექების ჯარი დიდია.

მაგრამ დაგვეთარეს სალოცავთ,  
იმათი მადლი დიდია,  
ეს ჩვენი მთა და მამული  
ზურგზედ ისევ ჩვენ გვკიდია.

ბევრს ვაფშეკინეთ ფეხები,  
არაგვში გადავუძახეთ,  
ჩაკვდიო, ბილწო თათარო,  
ცოცხალ-მკვდარს ზევით დაეძახეთ.

მაგზურა

სულ მოვრწყეთ არაგვის პირნი,  
იმ ურჯულოთა სისხლითა,  
ზოგი ტყვედ წამოვიყვანეთ,  
ზოგიც გარბოდენ შიშითა.

კარგით დამეხსენთ, ბაღდებო,  
ნულარ მაგონებთ ძველ ამბებს,  
ვაჰმე ჩვენ ძველსა დევ-გმირებს  
და დიდ ბატონსა ერგვლეს!

რატომ არ მოვკვდი მეც მაშინ,  
როცა ერგვლე გაგვშორდა,  
მთიულნი, თუშ, ფშავ, ხევსურნი  
როცა მას ცრემლით ამკობდა.

გიორგი ბატონიშვილის ლექსი \*)

**გ**იორგი ბატონიშვილსა თავი უკვდავი ეგონა,  
შვიდი ტყვია გულში მოხვდა, თხილის კაკალი ეგონა,  
სისხლის ღვარში როს სცურავედა, კოხის აბანო ეგონა,  
კუბოში რომ ჩააწვინეს, ბუმბულში იწვა ეგონა,  
ცოლი და შვილის ტირილი ცისკრის გალობა ეგონა,  
ეკლესიას წაასვენეს, აღდგომა დილა ეგონა,  
სამარეში ჩაასვენეს, ოთახში იყო ეგონა,  
შავი ქვაი თავს დაადვეს, თბილი ბალიში ეგონა,  
სამარხში მატლმა უკბინა, ცოლმა უბწკინა ეგონა.

\*) ს. მათხაჯში ჩაწერილი ვარლამ ხუროძის-მიერ.

სოლოლა

(ს. ანაკში ჩაწერილა რამანოზ ახმეტელაშვილისაგან).

( დგა სოლოლა წაეიდა,  
 დადგა სტამბოლის გზაზედა;  
 შვიდი დღე-ღამე იარა,  
 ხვანთქარს მიადგა კარზედა.  
 ხვანთქარი შინ არ დაუხვდა,  
 სეითა დაჰხვდა კარზედა;  
 არაბმა შეიპატიჟა ორხუა-ხალიჩაზედა.  
 — „სოლოლავე, შენცა გაქებენ  
 ჯირითის გაგდებაზედა!“  
 — „მე ჯირითისა რა ვიცი,  
 გლახა გახლავარ კარზედა“.  
 ადგა, სოლოლა გაექცა,  
 გაჰყვა არაბი კვალზედა,  
 შვიდი ესროლა არაბმა,  
 არც ერთი იხლო ტანზედა.  
 ადგა გაექცა არაბი,  
 გაჰყვა სოლოლა კვალზედა.  
 ერთი ესროლა სოლოლამ,  
 მოარტყა ბეჭის თავზედა,  
 მეორე რომ დააყოლა,  
 დადგა ცალ აბჯანდაზედა,  
 მესამე რომ დააყოლა,  
 სულიც არ დაჰყვა ტანზედა.  
 მაშინ მისცვივდნენ თათრები,  
 ქითაბს \*) აბღერტენ თავზედა,  
 მაინც აღარ გაცოცხლდებოდა,  
 გინდა დააჯ... თავზედა.

\*) რჯულის წიგნი თათრებისა. წიგნს თათრულათ ქითაბი ჰქვიან.

(გაგანილი გრიგელ მანძულაშვილისაგან და ჩაწერილი „ქართული  
სსკპ-ის“-ში).

ჩემს საჩივარს რომ მოგიყვე,

იტყვი: ვა შენი ბრალია.

შვიდი დღის ფეტვები ვხანი,

შიგ ამოვსწყვიტე ხარია.

იმას ნამი არ ეღირსა,

გვალვა დაადგა, დარია.

ავდექ და წავედი ტყეში,

გამოვსქერ დიდი ღარია,

დუშეთის წყალი მოუგდე,

იმაზედა ქნა ტანია.

სამკალათ რომ მოვემზადე,

შევები საბძელს კარია,

გავლესე ჩემი ნამგალი,

მაგრა დავაგე ტარია.

დედაჩემი მეუბნება,

შვილო, იჩინე ძალია,

სადილათ შეგაპატივებ,

დავნიშნე სამი ვარია.

მე მინამ იქ ჩავიდოდი,

შემოსეოდა კალია,

ისე მიბრუნდა-მობრუნდა,

როგორც ბინაში ცხვარია

ავდექი და დავუძახე,

რაც ქვეყანაზედ ქალია,

ქალებმა ვერა უყვეს-რა,

ქვრივებმა უყვეს ძალია.

გადავხტი მარდათ ვენახში,

მოვგლიჯე დიდი სარია,

მივიქნიე-მოვიქნიე,

დაოსდა ერთი კალია,  
 მე იმას ზედ დავაჯექი,  
 ქვაზედ უხალე თავია.  
 შვიდი ადლი კბილი ჰქონდა,  
 რვა და ცხრა ადლი მხარია.  
 ვაი მე რაზედ შემქამდა,  
 ღმერთო, შენ მომეხმარეა!

(გაგანილი მარიაჲ ჯანაშვილისაგან და ჩაწერილი „ქართული  
 ოსებუის“-შიერ).

**ქ**ალი ტიროდა ქართლელი,  
 ქართლისა შუა გზასაო.  
 დავჰყარე წვრილი ობლები,  
 ვერ გამოვრეკე წყალსაო.  
 იმისიმც სული კრულია,  
 ვინც ქალი ენდოს ქმარსაო,  
 კობტასა, ამპარტავანსა,  
 უწვერ-ულვაშო ვაჟსაო.  
 წუხელი შუალამეზედ  
 მოადგა ეზოს კარსაო,  
 შორიდგან შემომიძახა:  
 რათ არ გამიღებ კარსაო?  
 ავდექ, ავანთე სანთელი,  
 მივარდი სახლის კარსაო,  
 ოქროსა სკამი მივართვი,  
 დაბრძანდი, ღვთისა მადლსაო.  
 წალის სახდელათ ვიახელ,  
 მუშტი მიღერა ყბასაო,  
 დახე ამ კახვა დიაცსა,  
 რათ არ გაივლის კარსაო.

ავდექ და გამოვიარე, უფა იმისთვის  
დავადექ შარა გზასაო, ანუ ენა მისი  
უკუ ვიხედე მომდევდა, ანუ ცნობა  
მოაპრიალებს ხმალსაო. ანუ ითუა იმის  
ვაჟო, რა გინდა, რას მომდევ,  
შენი რა წამილიაო? ანუ ენა მისი  
ცივი წყლით სახლი მომირწყამს,  
ზედ ვარდი მომიშლიაო.

დედამთილი, მამამთილი  
ბოსტანში გამიშვიაო, ანუ ენა მისი  
ცხრა მაზლი ნამგლის მქნეველი  
ნაფუზვარს გამიშვიაო.

ის ჩემი დამტირებელი  
აკვანში გამიშვიაო. ანუ ენა მისი  
უსურვაზის ხელსახოცი  
კამარას მიმიგდიაო. ანუ ენა მისი  
ჩემი ნეკისა ბეჭედით  
კუტალში ჩამიგდიაო, ანუ ენა მისი  
აილო და დამიქნია, ანუ ენა მისი  
ხმალი მიღირა ყელსაო, ანუ ენა მისი  
უმალ ხელი მივაშველე, ანუ ენა მისი  
ნუ მომკლავ ხოსროს მზესაო! ანუ ენა მისი  
მე ხოსრო-მოსრო არ გვიცი, ანუ ენა მისი  
ეხლავ გამოგჭრი ყელსაო! ანუ ენა მისი  
გავშორდი და გადაესძახე, ანუ ენა მისი  
ჩემსა ივანე ძმასაო: ანუ ენა მისი  
დას გიკვლენ, ძმაო ივანე, ანუ ენა მისი  
ცხვარივით სჭრიან ყელსაო, ანუ ენა მისი  
ეგ შენი ნეკის ბეჭედი, ანუ ენა მისი  
გამოუგზავნე დსაო, ანუ ენა მისი  
შენსა დას წაიყვანებენ, ანუ ენა მისი  
შვიდი წლის სავალ გზასაო.

შეუკერენ ხელსა და ფეხსა,   
 შეაჯივრებენ ზღვასაო.   
 ზღვა დაჰკრავს. ქვიშა დაღვკავს   
 ძუძუ კოკობსა ქალსაო.   
 იმისი ქამხის სარტყელი   
 გარს შემოურტყამს ზღვასაო,   
 იმისი მოვის პერანგი   
 თავს დაჰფრიალებს ზღვასაო,   
 იმისი ხუჭუჭ კავები   
 თევზს მიაქვს საბუდრადაო,   
 იმისი ლალის თვალები   
 ამოუსილამს ლამსაო,   
 მისი შავ-შავი წარბები   
 ვადულამია შლამსაო.

**ჩიტო**, ჩიტო წკრიალა,   
 რად დამძახი ძრიელა,   
 დედამ კაბა შემიკერა,   
 დარაია შრიალა,   
 უცხოეთით მოტანილი,   
 ზედ მომიფლო არშია,   
 აბა, მაზლო, შემომხედე,   
 როგორ მადგა ტანშია?   
 „ღმერთმა შენცა შეგარცხვინა,   
 შენი კაბის არშია“!   
 გავჰკარ ხელი, გავიხადე,   
 ჩავდე ზანდუკაშია.   
 ნაპერწკალი ჩაჰყოლოდა   
 სახელ, აზღუდაშია.   
 მიველ და ზანდუკს ავხადე,   
 ფერფლი მეცა თვალშია,

დავჯექ და პევრი ვიტირე  
 იმ ოხერ დარბაზშია.

მამამთილი შემომესწრო:

რა გატირებს ხოშია?

დედამთილი შემომესწრო

ერთი ჩამკრა თავშია,

უნცროსმა მაზღმა გაიგო,

გაუჯავრდა სახლშია:

„ნეტა ერთი, დედაჩემო,

რძალს რათ ჩაჰკარ თავშია,

არა გწყინდება მაინცა.

მარტო ამ დარბაზშია!“.

ამილახერისა ყმობითა,

ფქვილი ვერ დავდგი გოდრითა,

ვერცა ვხან და ვერცა ვთესე,

ვერც კალო ვლევწე მოზერითა.







# „მოამბე“-„ცნობის

## სურათებიანი და მატებით. || ფურცელი“-ჴი

ჟოგელ თვიური ჟურნალი

### „მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:

1 წლით . . . . .	10 მ.
6 თვით. . . . .	6 „
3 „ . . . . .	3 „

სახლვარ ვარეთ:

1 წლით . . . . .	13 მ.
6 თვით. . . . .	7 „
3 „ . . . . .	5 „

ჟოგელ თვიური გაზეთი

### „ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:

1 წლით . . . . .	6 მ.
6 თვით. . . . .	4 „
1 „ . . . . .	75 კ.

სახლვარ ვარეთ:

1 წლით . . . . .	11 მ. —
6 თვით . . . . .	6 „ 50კ.
1 „ . . . . .	1 „ 10 „

განც „მოამბე“-ს მთელას წლით გამოა წერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქაღაჩე გაწვდ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათვის უნდა იქმნეს შემოტანილი.

## სურათებიანი და მატებით

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება ს. მივე გამოცემაზე: პირველად—6 მან.,

1-ლ მარტამდე 3 მან., 1 აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრ.—10 კ., მე-4-ზე—5 კ. თუ

განცხადება მ-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაიბეჭდა ნაკლები ელირება.

რედაქცია და კონტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩ. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრები: Тифлисъ, въ редакцію „Моამბე“ и „Цნობის-ფურცელი.“

Съ разрѣшенія главнаго управленія по дѣламъ печати,

понижена подписная плата

\_\_\_\_\_ НА \_\_\_\_\_

ежедневную полит. и литерат. газету

# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Какъ для городскихъ, такъ и для иногородныхъ подписчиковъ подписная плата: за годъ—7 р., за полгода—4 р., 3 мѣс.—2 р. 50 к., 2 мѣс.—2 р., 1 мѣс.—1 р.; отдѣльный № въ Тифлисъ—3 коп., внѣ Тифлиса—5 коп.


Допускается разсрочка платежа: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня—3 руб.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьных библиотекъ и благотворительныхъ учреждений сдѣлана скидка: год. плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ—5 руб.

Программа газеты, сотрудники и другія условія изданія останутся прежнія.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается въ Тифлисъ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.

Изд. К. Тумановъ. Ред. Г. Тумановъ.



პირველი ნომერი 1902 წლის ჟურნალს

## „მოგზაურისა“

გამოვა ახალის წლის პირველ იანვრისათვის,  
ამიტომ, ვისაც ჰქვია, რომ ჟურნალი თვის დროზედ მიუ-  
ვადეს, გსთხოვთ ახლავე დაიკეთონ აგი.

1902 წელს ჟურნალი „მოგზაური“ გამოვა  
იმევე პროგრამით, შედგამატებით წერილებით:

- 1) შედაგოგადამ.
- 2) მეურნეობა-მრეწველობადამ,
- 3) ჭიკაძენა-მკურნალობადამ და
- 4) სამეცნიერო კითხვებადამ.

განცხადების ბეჭდვა „მოგზაურის“ ფურცლებზედ ღირს  
სტრიქონი 5 კაპ.

ფასი ჟურნალისა ვაგზავნით: წლით—ხუთი მანეთი; ნახევარ  
წლით—სამი მანეთი.

ფული და წერილები უნდა გამოგზავნოს: *Въ Тифлисе,*  
*въ Редакцію „МОИЗАУРИ“.*

თბილისში ხელის მოწერა მიიღება თვითონ რედაქ-  
ტორთან (დავითის ვიწრო ქუჩა, № 20) და წერა-კითხვის  
გამავრცელებელის საზოგადოების მაღაზიაში, შიო ქუჩუკა-  
შვილთან.

Краткое объясненіе рисунковъ и древнихъ надписей и др. болѣе важныхъ статей № II грузинскаго журнала „МОГЗАУРИ“.

	стр.
1. Коджорская крѣпость (Коръ-оглы), съ рис.	1015.
2. Веранасъ-цихе („Гомборка“), съ рис.	1016.
3. Ахтала (лечебн. грязи въ Сигнах, уѣздѣ) съ рис.	1018.
4. Подъ столѣтнимъ кленомъ въ с. Бакурцихъ, съ рис.	1019.
5. Распятіе (перковь), А. Мерквиладзе.	1022.
6. Нѣсколько словъ изъ исторіи первыхъ временъ Грузіи, Месха.	1029.
7. Историч. и географ. опис. Эрети, ингилойца Джанашвили	1037.
8. Борчалинскій уѣздъ, Б.	1045.
9. Русуданъ, ист. драма, четвертое дѣйствіе.	1052.
10. Антоній I, каталикосъ-патріархъ Грузіи, Θ. Жорданія, пер. свящ. К. Антадзе	1064.
11. Соломонъ Леонидзе, канцлеръ царей Ираклія II и Соломона II, I. Марушидзе	1077.
12. Библіографія.	1084.
13. Народныя пѣсни	1099.
14. Объявленія о подпискѣ на 1902 годъ на газеты: „Моамбе“-„Цнобисъ-Пурцели“, „Новос Обозрѣніе“ и на журналъ „Могзаури“.	1107.

— Принимается подписка:

На 1902 годъ на журналъ „МОГЗАУРИ“.

Будетъ выходить по той-же программѣ съ прибавленіемъ статей по предметамъ педагогіи, сельскаго хозяйства-промышленности, гигиены-медицины и научныхъ вопросовъ.

Цѣна на годъ—5 рублей, на полгода—3 рубля.

Статьи и деньги просимъ адресовать: въ Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“ (Давид. пер. № 20).